

# რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო



სსიპ რელიგიის საკითხთა  
სახელმწიფო სააგენტო

## 2023-2025 წლების ანგარიში

თბილისი 2026



## სარჩევი

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2023-2025 წლებში..... 5
2. 2023 წლის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიში ..... 22
3. 2024 წლის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიში ..... 54
4. 2025 წლის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ანგარიში ..... 85

# რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2023-2025 წლებში

## სარჩევი

1.	ზოგადი მიმოხილვა .....	5
1.1.	რელიგიური ვითარება ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.....	9
1.2.	რელიგიური ვითარება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში .....	9
2.	ქართული მართლმადიდებლური ტაძრების უმძიმესი მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე .....	10
3.	ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირების გადაადგილების შეზღუდვა და შევიწროება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ..	13
4.	რელიგიური დაპირისპირებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2023-2025 წლებში.....	13
4.1.	რელიგიური დაპირისპირებები ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ში.....	14
4.2.	რელიგიური დაპირისპირებები ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში .....	16
5.	ვითარება საოკუპაციო ხაზთან.....	19
6.	ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირის დაკავება.....	20
7.	რელიგიური უმცირესობების საკულტო ნაგებობები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე .....	21
	დასკვნა.....	21

## 1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, როგორც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (შემდგომში ა/რ), ასევე შიდა ქართლის ოკუპირებულ ნაწილში (ცხინვალის რეგიონი), რელიგიის თავისუფლების მიმართულებით მდგომარეობა უკიდურესად რთულია, კერძოდ: დარღვეულია ეროვნებით ქართველების რელიგიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, რწმენის გამჟღავნება აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით, გადაადგილების თავისუფლება, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება. აფხაზეთის და სამაჩაბლოს (ცხინვალის რეგიონი) ოკუპირებულ ტერიტორიებზე უამრავი ქართული მართლმადიდებლური ტაძარია, რომელთაც მრავალჯერადი თვითნებური გადაკეთებისა და დაზიანების კვალი ეტყობათ.

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდება, ინფორმაციის მოპოვება რთულია. შესაბამისად, მონიტორინგი ვერ ხორციელდება და იქ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილის მდგომარეობაა ცნობილი, ძეგლების უმეტესობის ბედი კი უცნობია. მით უფრო, არ არსებობს ინფორმაცია იქ არსებული არქეოლოგიური ძეგლების მდგომარეობის შესახებ. ნათელია, რომ იქ დარჩენილი ყველა ისტორიული ძეგლი დღეს დაუცველია და საფრთხის ქვეშაა. მიუხედავად ამისა, რელიგიის სააგენტომ სხვადასხვა წყაროებიდან მოიპოვა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რელიგიური მდგომარეობის შესახებ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ში და შიდა ქართლის ოკუპირებულ ნაწილში (ცხინვალის რეგიონი) რელიგიის თავისუფლების მიმართულებით მდგომარეობა კვლავ უკიდურესად რთულია. ორივე რეგიონიდან დევნილთა რაოდენობა დაახლოებით 500 000-მდეა.

ფაქტია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე წლებია მიმდინარეობს ქართველი მართლმადიდებლების ეთნიკური და რელიგიური დისკრიმინაცია და სეგრეგაცია. ამის ნათელი დასტურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2021 წლის 21 იანვარის გადაწყვეტილება საქმეზე (საქმის N 38263/08)<sup>1</sup> „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“. საქართველოს სახელმწიფოს გამარჯვებით დასრულდა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ საქმე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება. საქართველოსთან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რუსეთის ფედერაციამ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის შემდეგი მუხლები:

- სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი);

<sup>1</sup>[https://hudoc.echr.coe.int/eng?fbclid=IwAR0y\\_72uhd5rMqFRMQ44ttzAFp5c3uEfmW9MFzqSwa5WfPEXyb740m\\_I9f4#%22appno%22:%2238263/08%22,%22itemid%22:%22001-207757%22](https://hudoc.echr.coe.int/eng?fbclid=IwAR0y_72uhd5rMqFRMQ44ttzAFp5c3uEfmW9MFzqSwa5WfPEXyb740m_I9f4#%22appno%22:%2238263/08%22,%22itemid%22:%22001-207757%22)

- წამების აკრძალვა (მე-3 მუხლი);
- თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მუხლი);
- პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი);
- მიმოსვლის თავისუფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი);
- საკუთრების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი).

რუსეთის ფედერაციამ არ ითანამშრომლა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, რითაც დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 38-ე მუხლი (საქმის განხილვა).

სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ რუსეთი ახორციელებდა ცხინვალის რეგიონზე და აფხაზეთზე ეფექტიან კონტროლს და აქედან გამომდინარე, მას ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს მოქალაქეების უფლებების დარღვევისათვის. შესაბამისად, სასამართლომ დაადასტურა საქართველოს მოთხოვნა, რომ ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია და ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ამასთან ერთად, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის ომის დროს რუსეთმა განახორციელა ქართველების ეთნიკური წმენდა.

სტრასბურგის სასამართლოს შემდეგ, 2022 წლის 16 დეკემბერს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა, კარიმ ხანმა, „საქართველოს სიტუაციის“ გამოძიების ეტაპის დასრულების შესახებ განაცხადა, რომ 2022 წლის 30 ივნისს პირველმა წინა სასამართლო პალატამ სამი ეჭვმიტანილის დაპატიმრების ორდერები გასცა, რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციის მიერ, 2008 წლის აგვისტოში, საქართველოში განხორციელებული ოკუპაციის დროს ეთნიკურად ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, წამებას, სასტიკ მოპყრობას, მძევლად აყვანასა და, შემდგომში, მათ უკანონო გადაადგილებას (ეჭვმიტანილთაგან ერთი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, ორი კი სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენელი). ასევე, დასტურდება ქართული სოფლებისა და ქართველების კუთვნილი სახლების მასობრივი მარცვა, განადგურება და ცხინვალის რეგიონის ქართველი მოსახლეობისთვის დაბრუნების უფლებაზე უარის თქმა. აღნიშნული ფაქტები მიუთითებს საერთაშორისო სასამართლოებში ქართული მხარის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წარმატებას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ<sup>2</sup>.

2016 წლის 19 მაისს, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ე.წ. აფხაზმა მესაზღვრემ, რაშიდ კანჯი-ოღლიმ შეუიარაღებელი, მშვიდობიანი მოქალაქე, ეროვნებით ქართველი გიგა ოთხოზორია მოკლა. ინციდენტის შემდეგ, რაშიდ კანჯი-ოღლი, თანმხლებ პირებთან ერთად, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიიძალა. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ.-მა სამხედრო პროკურატურამ ოთხოზორიას მკვლელობის საქმეზე გამოძიება დაიწყო. ბრალდებულ რაშიდ კანჯი-ოღლის აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის სასამართლომ აღკვეთი ღონისძიების სახით შინაპატიმრობა შეუფარდა. 2017 წლის 31 მაისს, საქართველოს ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო სამხედრო პროკურატურამ, მტკიცებულებების

<sup>2</sup> <https://www.icc-cpi.int/news/prosecutor-international-criminal-court-karim-aa-khan-kc-announces-conclusion-investigation>

არარსებობის მოტივით, გიგა ოთხოზორიას საქმის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა. აღნიშნული მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, გ. ოთხოზორიას ოჯახის წევრებმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით 2018 წლის 11 იანვარს მიმართეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო 2018 წლის 8 ნოემბერს. 2023 წლის 19 დეკემბერს კი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „მატკავა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (*Matkava and Others v. Russia (no. 3963/18)*)<sup>3</sup>, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა დაადგინა და გიგა ოთხოზორიას ოჯახს არამატერიალური ზიანის სახით 130 000 ევროს კომპენსაცია მიანიჭა. მოცემულ საქმეში ასევე, დადგინდა 38-ე მუხლის დარღვევა, რადგან რუსეთის ფედერაციამ სასამართლოში არ წარადგინა შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მასალები. რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ოკუპაციის და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეფექტიანი კონტროლის განხორციელების გამო, სწორედ რუსეთის ფედერაციას ეკისრება პასუხისმგებლობა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევისათვის და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნების შუამდგომლობა და დაავალა რუსეთის ფედერაციას, წარმოედგინა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების ფარგლებში მოპოვებული საგამომიებო მასალების სრული ასლები. მიუხედავად აღნიშნულისა, რუსეთის ფედერაციამ ვალდებულება არ შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ სეპარატისტი მკვლელი „მესაზღვრე“ ჯერაც დაუსჯელია, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვასა და ტარებაში ბრალდებული, მიმალვაში მყოფი რამიდ კანჯი-ოლლი დაუსწრებლად სცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა<sup>4</sup> განუსაზღვრა. 2017 წლის 7 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი, რამიდ კანჯი-ოლლი დამნაშავედ იქნა ცნობილი გიგა ოთხოზორიას განზრახ მკვლელობის და იარაღის უკანონო შეძენისა და ტარებისთვის და მას სასჯელის სახით 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. დღეის მდგომარეობით რამიდ კანჯი-ოლლი ინტერპოლის წითელი ცირკულარის მეშვეობით იძებნება. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება რამიდ კანჯი-ოლლის საქართველოს ხელისუფლებისთვის გადაცემაზე უარს აცხადებს.

2024 წლის 9 აპრილს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოთაშორის დავაზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (IV) (CASE OF GEORGIA v. RUSSIA (IV) (Application no. 39611/18))“<sup>5</sup> („განგრძობადი ოკუპაციის საქმე“), რუსეთს დააკისრა სრული პასუხისმგებლობა

<sup>3</sup> <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-188046%22%5D%7D>  
<sup>4</sup> <https://pog.gov.ge/news/sasamarTlom-giga-oTxozorias-ganzrax-mkvllobashi-braldebuli-rashid-kanji-oRli-damnashaved-scno>  
<sup>5</sup> <https://coe.mfa.gov.ge/news/134408-strasburgis-sasamartlom-sakhelmtsiphotashoris-davaze-saqartvelo-rusetis-tsinaaghmddeg-iv-rusets-daaki>

ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის მასობრივი შევიწროების, დაკავების, თავდასხმების, მკვლელობებისა და ამგვარი ფაქტებისადმი შემწყნარებლური პრაქტიკისათვის, რაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და „ბორდერიზაციის“ ფონზე მიმდინარეობს.

საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (IV)“, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, დადგინდა „ბორდერიზაციის“ უკანონობა; ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოდ გამოცხადდა დე ფაქტო ორგანოების მიერ დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა; დადგინდა რუსეთის მიერ სიცოცხლის უფლების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების, საკუთრების უფლებისა და გადაადგილების თავისუფლების უფლების, ასევე, წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის დარღვევა. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ სასაზღვრო ხაზების გამკაცრებით გამოწვეული ადამიანის უფლებების დარღვევის გამო რუსეთმა საქართველოს 253 მილიონ ევროზე მეტი უნდა გადაუხადოს. მათივე ცნობით, რუსეთის ქმედებების გამო 29 000-ზე მეტი ადამიანი დაზარალდა<sup>6</sup>. სასამართლომ საქართველოს მთავრობას მიანდო ეფექტიანი მექანიზმის შექმნა მსხვერპლთათვის თანხების გასანაწილებლად, რომლის თანახმადაც, დაზარალებულებს კომპენსაცია 18 თვის განმავლობაში უნდა მიეღოთ. იმავე გადაწყვეტილებაში, სასამართლომ დაადგინა რუსეთის მხრიდან კონვენციის დარღვევის არაერთი ფაქტი, მათ შორის ძალის გადაჭარბებული გამოყენება, არასათანადო მოპყრობა, სახლებზე, მიწასა და ოჯახებზე წვდომის უკანონო შეზღუდვები, ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლების ჩამორთმევა და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ყოველდღიური გადაადგილების უკანონო შეზღუდვები. ამასთან, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მინისტრთა კომიტეტი აგრძელებს სასამართლოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობას იმის მიუხედავად, რომ 2022 წლიდან რუსეთი მისი ხელმძღვანელი აღარ არის.<sup>7</sup>

2025 წლის 7 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოაქვეყნა გადაწყვეტილება საქმეზე „სტორიმანს-ფერჰულსტი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ (CASE OF STORIMANS-VERHULST AND OTHERS v. RUSSIA (Application no. 26302/10))<sup>8</sup>. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აგვისტოს ომის გაშუქებისას გარდაცვლილი ჰოლანდიელი ჟურნალისტის, სტან სტორიმანსის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილი.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით, საანგარიშო 2023-2025 წლებში, ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით პროგრესი არ დაფიქსირებულა. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეზღუდულია

<sup>6</sup> <https://1tv.ge/news/2008-wlis-omtan-dakavshirebit-strasburgis-sasamartlom-saqartvelos-sasargeblod-kidev-erti-gadawyvetileba-miigho/>

<sup>7</sup> <https://justice.gov.ge/?m=events&date=2025-10-14>

<sup>8</sup> [https://hudoc.echr.coe.int/#!%22itemid%22:\[%22001-245079%22\];](https://hudoc.echr.coe.int/#!%22itemid%22:[%22001-245079%22];) <https://gyla.ge/post/GYLA-ECHR-jurnalistissaqme>

საერთაშორისო დამკვირვებლების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და ჟურნალისტების ვიზიტები.

### 1.1. რელიგიური ვითარება ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ში დღიდან ოკუპაციისა რელიგიური კუთხით უმძიმესი მდგომარეობაა. ადგილობრივი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა აღნიშნული ტერიტორიის უდიდესი ნაწილიდან გამოდევნილია, არც ერთ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ომის შემდეგ დევნილი ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირები მხოლოდ კოდორის ხეობაში მსახურობდნენ, 2008 წლის რუსეთის განმეორებითი აგრესიის შემდეგ კი, ისინი საბოლოოდ გამოდევნეს ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ის ტერიტორიიდან. გალის რაიონის ტერიტორიაზე 22 -25 ათასი ქართველი ცხოვრობს<sup>9</sup>, თუმცა ოკუპირებული აფხაზეთის არც ერთ მართლმადიდებლურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ აღევლინება. გალის რაიონში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას, რელიგიური უფლებების განსახორციელებლად ესაჭიროება ქართველი სასულიერო პირი, განსაკუთრებით დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე, როცა ისინი იძულებულნი ხდებიან, ღვთისმსახურებაზე დასასწრებად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდნენ, რაც დიდ საფრთხეებთანაა დაკავშირებული.

გალის რაიონის სკოლები სრულად გადავიდა რუსულ სწავლებაზე, შესაბამისად, ქართულ ენაზე განათლების მისაღებად და მშობლიური ენის შესწავლაზე, ქართველი მოსახლეობა იძულებულია დატოვოს საკუთარი სახლ-კარი და საცხოვრებლად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდნენ, რაც წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების უხემ დარღვევას. სახეზეა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განგრძობადი დისკრიმინაცია ყველა მიმართულებით.

### 1.2. რელიგიური ვითარება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში

ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ის მსგავსად, ურთულესი ვითარებაა ცხინვალის რეგიონშიც. უმძიმეს მდგომარეობაშია ქართული საკულტო ნაგებობები და იქ არსებულ ყველა ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე არ მიმდინარეობს, გარდა ორი ტაძრისა. ყველა ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირი ცხინვალის რეგიონიდან გამოდევნილია. იქ დარჩენილია მხოლოდ სამი სასულიერო პირი - არქიმანდრიტი ანტონი

<sup>9</sup> [https://euneighbourseast.eu/wp-content/uploads/2025/06/devniltha\\_politikuri\\_monacileoba\\_geo.pdf](https://euneighbourseast.eu/wp-content/uploads/2025/06/devniltha_politikuri_monacileoba_geo.pdf)

(ჩაკვეტადე), მონაზვნები: იოანა (ფეხშველაშვილი) და სალომე (ჩარგაზია), რომლებიც უკიდურეს შევიწროებას განიცდიან და რომელთაც საოკუპაციო ხაზის გადალახვისა და შემდეგ უკან დაბრუნების უფლება არ აქვთ. ერთ-ერთი მონაზონი იოანა (ფეხშველაშვილი) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, საჭიროებდა გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, რომელიც სეპარატისტი მხარის მიერ განზრახ გაუჭინაურდა, მხოლოდ გამონაკლისის სახით, მას ჩაუტარდა სამედიცინო კვლევები საოკუპაციო ხაზთან ქართული მხარის მიერ გაგზავნილ მოძრავ ამბულატორიაში. აღსანიშნავია, რომ 2008 წლამდე ცხინვალის რეგიონში 23 ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა და ფუნქციონირებდა 9 ქართული მართლმადიდებლური ტაძარი. ამჟამად კი მოქმედებს და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აღევლინება მხოლოდ 2 ტაძარში: დაბა ახალგორის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარსა და სოფელ იკოთის დედათა მონასტერში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ მრევლს ეზღუდება უფლება, მოინახულოს ახლობელთა და ოჯახის წევრთა საფლავები და დაესწროს ქართულ ენაზე ღვთისმსახურებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებში.

## 2. ქართული მართლმადიდებლური ტაძრების უმძიმესი მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში რელიგიის სააგენტოს ინფორმაციით, სულ შემორჩენილია საკულტო დანიშნულების მქონე 706 ნაგებობა, აქედან 151 ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ში, რომელთაგან 145 მართლმადიდებლური ეკლესიაა; ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში აღნუსხულია 555 მართლმადიდებლური ეკლესია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებში (ახალგორის რაიონის ორი ტაძრის გარდა), ვერ შედიან ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირები, ასევე შეინიშნება ეკლესიების პირვანდელი იერსახის შეცვლის, თვითნებური გადაკეთებისა და დაზიანების მრავალი ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ რუსეთს აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში დღემდე არ გაუაქტიურებია 1954 წელს მიღებული ჰააგის კონვენციის (შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ)<sup>10</sup> შესაბამისი მუხლები და ოქმები, რაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ერთ-ერთი შესაძლო გარანტი იქნებოდა.

რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლების უმრავლესობა უმძიმეს მდგომარეობაშია. მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართული კვალის წაშლა და ისტორიული კონტექსტის დამახინჯება.

---

<sup>10</sup><https://shorturl.at/AVkBP>

ოკუპირებულ რეგიონებში გრძელდება ეკლესია-მონასტრების „რესტავრაცია“, რამაც მთლიანად დაუკარგა მათ პირვანდელი სახე. მიუხედავად საქართველოს მხრიდან არაერთი შეთავაზებისა, აფხაზურ მხარესთან ერთად ჩართულიყვნენ საკულტო ნაგებობების აღრიცხვის, კონსერვაციის, შეფასებისა და აღდგენის პროცესში, მარიონეტული რეჟიმი, სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობდა დახმარების მიღებაზე, რაშიც ლომის წვლილი სწორედ რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას მიუძღვის.

საოკუპაციო ძალების მიერ ტაძრების „რესტავრაცია“ პირდაპირ მიუთითებს, თუ რამდენად ხელისშემშლელია მათთვის ოკუპირებულ აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არსებობა. ამ ფონზე აშკარად გამოიკვეთა რეალური და მზარდი საფრთხეები, რომელიც ქართულ ძეგლებს ემუქრება.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული ხელისუფლების ე.წ. კულტურის სამინისტროსთან არსებული „ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის“ შექმნის შემდეგ დაიწყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების ინვენტარიზაციის პროცესი, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო ობიექტების სადაზღვევო ღირებულების შეფასება, არქიტექტურული სტილის თავისებურებები, ისტორიული მონაცემები და ა. შ. მომზადდა ე.წ. ინვენტარიზაციის მიზნობრივი პროგრამა, რომელიც დე ფაქტო მინისტრთა კაბინეტის მიერ დაფინანსდა. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში, მარიონეტულმა რეჟიმმა მაინც ვერ მოახერხა ძეგლების აღრიცხვა და სათანადოდ მოვლა. ე.წ. კულტურის სამინისტროს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, „ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სახელმწიფო სიაში“ 2 000-მდე ობიექტია აღრიცხული, რომელთა შორის არის მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლებიც - ძირითადად ადრექრისტიანული და შუა საუკუნეების ეკლესიები და მონასტრები.

ასევე, ოკუპირებულ რეგიონებში, კულტურული და არქიტექტურული ძეგლები ხშირად ზიანდება, იცვლის იერსახეს და ვანდალიზმის შედეგად ნადგურდება. გახშირებულია უკანონო არქეოლოგიური გათხრები, საქმე ეხება უძველეს და უძვირფასეს სამკაულებს, მონეტებსა და იარაღს. მიახლოებითი შეფასებით, არაკანონიერი გზით ყოველწლიურად ასეულობით არტეფაქტი მოიპოვება, მათი ნაწილი იყიდება უცხოეთის აუქციონებზე და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე.

უკანონო არქეოლოგიური გათხრების მხრივ ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა სოხუმის, ახალი ათონის, გაგრის, გუდაუთის რაიონებსა და კოდორის ხეობაშია. ვრცელ და ძნელად მისადგომ ტერიტორიებზე უკანონო გათხრების ფაქტების დროულად აღმოჩენასა და აღკვეთას ტექნიკური საშუალებების სიმწირე ართულებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არაპროფესიონალების მიერ შესრულებული ნებისმიერი „არქეოლოგიური“ სამუშაო, თვითნებური და უკანონოა. ამ „შავი არქეოლოგიის“ ცალსახა ნიმუშია 2025 წელს სეპარატისტი აფხაზი არქიმანდრიტის დღორითე დბარის მიერ ბოლო პერიოდში თვითნებურად და არაპროფესიონალურად განხორციელებული „არქეოლოგიური გათხრების“ შედეგად გუდაუთაში აღმოჩენილი XI

საუკუნის ქართული ასომთავრული წარწერა<sup>11</sup>. ულამაზეს ორნამენტულ ქვაზე ქართულად დაქარაგმებულად წერია იოანეს სახარების დასაწყისი სიტყვები: „ქ. პირველითაგან იყო სტყ[სიტყვაჲ]“. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიები, ერთიანი ქართული ცივილიზაციის განუყრელი ნაწილია, რომელსაც ოკუპაციის პირობებში უდიდესი საფრთხე ემუქრება.

ქართული მართლმადიდებლური ტაძრების მდგომარეობა უკიდურესად რთულია ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონშიც, კერძოდ:

2023 წელს ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ზონკარში, VIII-IX საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესიაში თვითნებური და უკანონო „სარემონტო სამუშაო“ ჩატარეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, გვარად ვალიევიძემ.

2025 წლის ივნისში, გორის მუნიციპალიტეტის ქალაქ ცხინვალში მდებარე მე-19 საუკუნის წმ. გიორგის ეკლესიაზე (წითელი ეკლესია) თვითნებური და უკანონო სამუშაოები სქიზმატური დაჯგუფების სასულიერო პირებმა აწარმოეს.

2025 წლის ივნისში, სქიზმატური ე.წ. ალანის ეპარქიის ინიციატივით, ქუთაის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაგუროვოში მდებარე ღვთისმშობლის შობის ეკლესიის (XIV საუკუნე) თვითნებური და უკანონო “რესტავრაცია” დასრულდა.

ამავე პერიოდში, ჯავის მუნიციპალიტეტის სოფელ სოხთაში ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლესიის თვითნებური და უკანონო „რესტავრაცია“ დაიწყო, თუმცა სამუშაოები ე. წ. სამხრეთ ოსეთის კულტურის სამინისტრომ შეაჩერა, რადგან მათი განცხადებით, სამუშაოები სამინისტროს თანხმობისა და არქეოლოგებისა და რესტავრატორების ჩარევის გარეშე ჩატარდა.

2025 წლის ოქტომბერში, თიღვის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდარაში გვიანი შუა საუკუნეების ეკლესია ადგილობრივი ძალებით თვითნებურად და უკანონოდ “აღადგინა” ამავე სოფლის მკვიდრმა დათო ქელეხსაევმა, რითაც დაიკარგა ძეგლის ავთენტურობა.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ რელიგიის სააგენტომ 2021 წელს გამოსცა წიგნი „ოკუპირებული მემკვიდრეობა“, სადაც გაერთიანდა ყველა საკულტო ნაგებობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მათი დღევანდელი სავალალო ვითარების აღწერით<sup>12</sup>.

---

<sup>11</sup> <https://shorturl.at/7EVV2>

<sup>12</sup> <https://religion.gov.ge/publikaciebi/okupirebuli-memkvidreoba>

### 3. ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირების გადაადგილების შეზღუდვა და შევიწროება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში ეროვნებით ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი სასულიერო პირების გადაადგილება სრულიად აკრძალულია. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ადმინისტრაციამ, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ჩაკეტა ე.წ. გამშვები პუნქტები, რითაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლა და უკან დაბრუნება აკრძალა ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს. შესაბამისად, მათ არ ეძლევათ ქართველი მრევლისათვის მშობლიურ ენაზე ღვთისმსახურების ჩატარების საშუალება. რუსეთის მიერ, საქართველოს ორი ძირძველი რეგიონის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული დემოკრატიული პოლიტიკის გათვალისწინებით, ხელს უწყობს საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს (კათოლიკური, ლუთერული, სომეხთა სამოციქულო ეკლესიების სასულიერო პირებს), ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დაცვით, შეუფერხებლად გადავიდნენ ოკუპირებულ აფხაზეთის ა/რ-ში, შეხვდნენ საკუთარ მრევლს და რელიგიური მსახურება აღასრულონ. ეროვნებით ქართველ და აღმსარებლობით მართლმადიდებელ სასულიერო პირებს კი რელიგიური მსახურების მიზნით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა ეკრძალებათ, რაც ცალსახად ეთნიკური და რელიგიური დისკრიმინაციაა მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურთა მიმართ, რომელსაც ოკუპანტი ქვეყანა-რუსეთი და მისი მარიონეტი, სეპარატისტული რეჟიმები ახორციელებენ.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ მეუფე ისაიას (ჭანტურია) არ ეძლევა ეპარქიის კუთვნილ ტერიტორიაზე შესვლისა და საკუთარი რელიგიური მოვალეობების განხორციელების უფლება და საშუალება. 2020 წლის პირველი იანვრიდან მეუფე ისაია კვლავ უშედეგოდ ელოდება ოკუპირებული ტერიტორიების შესაბამისი სტრუქტურულიდან ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესასვლელი საშვის მიღებას

### 4. რელიგიური დაპირისპირებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე 2023-2025 წლებში

საქართველოს ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში, რელიგიის თავისუფლების თვალსაზრისით კვლავ უმძიმესი მდგომარეობაა. საანგარიშო წლებშიც ეროვნებით ქართველ და აღმსარებლობით მართლმადიდებელ სასულიერო პირებს კვლავ ეკრძალებოდათ და ეკრძალებათ ოკუპირებულ რეგიონებში გადაადგილება. საოკუპაციო ხაზის მეორე მხარეს მცხოვრებ ქართველ მრევლს არ აქვს

უფლება, დაესწროს ღვთისმსახურებას მშობლიურ ენაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ტაძრებში და მოინახულოს ახლობელთა და ოჯახის წევრთა საფლავები. ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში კვლავ უკანონოდ მსახურობენ ოკუპანტი ქვეყნის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს წარმომადგენლები და კვლავ მოქმედებს უკანონოდ აშენებული სამი რუსული ტაძარი (წმინდა სამების ტაძარი ქ. ცხინვალის ცენტრში; წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარი რუსულ სამხედრო უბანში ქ. ცხინვალის ჩრდილოეთით და წმ. ნიკოლოზის ტაძარი ქ. ცხინვალის გარეუბანში). ოკუპანტის მხარდაჭერით წაქეზებული, ერთმანეთთან დაპირისპირებული სქიზმატური საეკლესიო დაჯგუფებები შეჭრილები არიან ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე საშინელ რელიგიურ ქაოსს ქმნიან. და ეს იმ ფონზე, როცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებში კვლავ ფიქსირდება მრავალჯერადი თვითნებური გადაკეთებისა და დაზიანების ფაქტები.

#### 4.1. რელიგიური დაპირისპირებები ოკუპირებულ აფხაზეთის ა/რ-ში

2013 წლიდან, ოკუპირებულ აფხაზეთის ა/რ-ში ერთდროულად ორი საეკლესიო სქიზმატური დაჯგუფება ფუნქციონირებს: ე.წ. „სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქია“ სამღვდელოების ძველი თაობის წარმომადგენლის, ბესარიონ აპლიას (ძველი გვარი ფილია) ხელმძღვანელობით და მოსკოვის საპატრიარქოს პატრონაჟით და ე.წ. „აფხაზეთის წმ. სამიტროპოლიტო“, რომლის საკათედრო ტახტი ახალი ათონის სიმონ კანანელის ტაძარია და რომელსაც ხელმძღვანელობენ ახალი თაობის წარმომადგენლები, დოროთე დბარი და ანდრია ამპარი. სწორედ მათ სახელებს უკავშირდება ე.წ. „ავტოკეფალიის საკითხის“ დაყენება, მოსკოვის საპატრიარქოსგან გამიჯვნა და ე.წ. „აფხაზეთის წმ. სამიტროპოლიტოს“ დაარსება<sup>13</sup>.

ავტოკეფალიის სტატუსის მინიჭებაზე ოკუპირებული აფხაზეთის „პრეზიდენტებმა“ - არძინბამ და ანქვაბმა ოფიციალური წერილებით მიმართეს მოსკოვის საპატრიარქოს, მაგრამ მათ მცდელობას რუსეთის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ამასობაში კი, აფხაზეთის ეკლესიაში განხეთქილება მზადდებოდა. განხეთქილების პირველ მცდელობად კვალიფიცირდება ახალი თაობის სასულიერო პირების: დოროთეს, პალადის, დოლმატის (გოპრა), მათეს (ტუჟბა) და ნიკიტას (ადლეიბა) 2009 წლის აპრილში მოსკოვის საპატრიარქოსადმი გაგზავნილი საიდუმლო მიმართვა. თხოვნა ითვალისწინებდა აფხაზეთის ეკლესიის ეტაპობრივ შესვლას რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში; მიმართვაში არ დაფიქსირებულა ავტოკეფალიის მოთხოვნა. რუსეთის მხრიდან უყურადღებობის მომიზეზებით, სამღვდელოების ახალმა თაობამ თვითნებურად დაიკავა ახალი ათონის მონასტერი და ძველი თაობის სამღვდელოებას იქ მღვდელმსახურება აუკრძალა. ამ ფაქტს უკავშირდება პირველად ავტოკეფალიის საკითხის დაყენება 2011 წლის მაისში, როდესაც ე.წ.

<sup>13</sup> <https://patriarchate.ge/news/1726>

„საეკლესიო-სახალხო კრებამ“ ახალ ათონში ერთხმად მიიღო „ავტოკეფალიის“ მოთხოვნის გადაწყვეტილება და დააარსა ე.წ. „აფხაზეთის წმ. სამიტროპოლიტო.“

ოკუპირებული აფხაზეთის ა/რ-ის ე.წ. „სასულიერო პირთა“ საერთო მიზანი ავტოკეფალიის მიღწევაა: ერთნი ამ გზას მოსკოვის საპატრიარქოში ხედავენ, მეორენი კი – კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში. აღნიშნული საკითხი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის. 2021 წლის თებერვალში, საქართველოს საპატრიარქომ ოფიციალურად უპასუხა დეკანოზ ბესარიონ აპლიას აფხაზეთი მედიისთვის მიცემულ ინტერვიუს. განცხადებაში მიმოხილულია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საეკლესიო ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები და გაცემულია პასუხი ბესარიონ აპლიას ბრალდებებზე, სადაც აღნიშნულია, რომ დეკანოზმა ბესარიონ აპლიამ, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერაა ხელდასხმული მღვდლად და დღემდე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის იურისდიქციაში იგულისხმება, უხეშად დაამახინჯა აფხაზეთში საეკლესიო ისტორიის საკითხები. საპატრიარქოს მიმართვაში ასევე ნათქვამია: „1921-1993 წლებში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელები ყოველთვის იყვნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციაში. თავდაპირველად ეპარქია, 300 000 კაცთან ერთად, დევნილი აღმოჩნდა თავისი ისტორიული მიწა-წყლიდან 1993 წლის ცნობილი მოვლენების დროს და 2008 წლამდე დევნილი სასულიერო პირები მხოლოდ კოდორის ხეობაში მსახურობდნენ, ვიდრე ისინი საბოლოოდ არ იქნენ გამოდევნილნი აფხაზეთის ტერიტორიიდან. რაც შეეხება პატრიარქ ტიხონის მიერ აფხაზეთში უკანონოდ გაგზავნილ ეპისკოპოსს, პატრიარქი ტიხონი არ სცნობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას და ცდილობდა მისი პოზიციების შესუსტებას აფხაზეთში, მაგრამ პატრიარქ ტიხონს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია არასდროს განუხილავს რუსეთის ეკლესიის იურისდიქციის ფარგლებში. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში XX საუკუნეში ყოველთვის ქართველი მღვდელმთავრები იყვნენ და ეპარქია საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, როგორც საქართველოს ეკლესიის განუყოფელი ნაწილი, დაადასტურა 1943 წლის ოქტომბერში რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდმა, როდესაც სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თავის ისტორიულ საზღვრებში“<sup>14</sup>.

2024 წელს, აფხაზეთმა მღვდელმსახურმა ბესარიონ აპლიამ რუსეთის პატრიარქს კიდევ ერთხელ მიმართა „თავისი ომოფორის ქვეშ მიეღო“ აფხაზი მრევლი<sup>15</sup>. ბესარიონ აპლიამ საქმეში ჩართო დე ფაქტო „აფხაზეთის რესპუბლიკის“ პრეზიდენტი ასლან ბჟანია და ე.წ. პარლამენტის თავმჯდომარე ლაშა აშუბა, რომლებიც მოსკოვში, აპლიასთან ერთად უნდა შეხვედროდნენ პატრიარქ კირილეს. უკვე შეთანხმებული იყო აუდიენციის დროც, მაგრამ განსახილველი საკითხების (აფხაზეთის ეკლესიის კანონიკური სტატუსის დადგენა, აფხაზეთის ეპისკოპოსის ხელდასხმა და მოსკოვში აფხაზეთა დიასპორისთვის ტაძრის გამოყოფა) გაცნობის შემდეგ, მეორე დღისთვის დანიშნული შეხვედრა ჩაიშალა.

<sup>14</sup> <https://shorturl.at/jGkHh>

<sup>15</sup> <https://shorturl.at/yvmX3>

ე.წ. აფხაზეთის წმ. სამიტროპოლიტოს წინამძღვარი, არქიმანდრიტი დოროთე (დბარი), რომელსაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია 2023 წლიდან განკვეთილად მიიჩნევს, სკეპტიკურად უყურებს „აფხაზეთის ეკლესიის“ საკითხის კანონიკური გადაწყვეტის პერსპექტივას. ახალი ათონის მონასტრის ”წინამძღვარის“, ბერდიაკვანი დავითის (სარსანია) აზრით კი, აუცილებელია შეწყდეს „აფხაზეთის ეკლესიის“ არსებობის ილუზიით ცხოვრება: „დროა, დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან ეკლესიასთან, რომელსაც კანონიკური პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს ეპარქიაზე, ანუ საქართველოს ეკლესიასთან. და, რა თქმა უნდა, შუამავალი უნდა იყოს რუსეთის ეკლესია. იმიტომ, რომ ეს პირდაპირ კავშირშია ჩვენს მდგომარეობასთან. იმიტომ, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები, მართალია შესაბამისი კანონიკური კურთხევის გარეშე, მაგრამ მაინც ასრულებენ ღვთისმსახურებას აფხაზეთის ტერიტორიაზე<sup>16</sup>“.

2025 წლის ივნისში ე.წ. აფხაზეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ არქიმანდრიტი დოროთესგან მოითხოვა, დატოვოს ახალი ათონის მონასტერი — ყველაზე დიდი მართლმადიდებლური ტაძარი აფხაზეთში და ერთ-ერთი მთავარი ტურისტული ღირშესანიშნაობა. მთავარი მიზეზი ის არის, რომ ეკლესიის ხელმძღვანელობა, დეკანოზ ბესარიონის მეთაურობით, მონასტერზე კონტროლის აღებას ცდილობს<sup>17</sup>. სასულიერო პირების ჯგუფმა (18-მა კაცმა) ხელი მოაწერა მოთხოვნას, რომ დოროთემ მონასტერი დატოვოს, მათ შორისაა ბერ-დიაკონი დავით სარსანიაც, რომელიც ადრე დოროთეს მომხრე იყო, მაგრამ თებერვალში პოზიცია შეიცვალა.

რელიგიის სააგენტო წლიურ ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნავს იმ საეკლესიო ქაოსს, რასაც საქართველოს ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე აქვს ადგილი. აფხაზეთის ორი, თვითმარქვია საეკლესიო დაჯგუფება, მიუხედავად დეკლარირებული განსხვავებული შეხედულებებისა, პირდაპირ მართულია ოკუპანტი სახელმწიფოს, რუსეთის მიერ.

#### 4.2. რელიგიური დაპირისპირებები ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მოქმედებს საეკლესიო დაჯგუფება - ე.წ. ალანის ეპარქია, რომელიც დაფუძნდა 2003 წელს. თავდაპირველად თვითგამოცხადებული ეპარქიის „ეპისკოპოსი“ გიორგი პუხატე გახდა<sup>18</sup>.

2005 წელს, ოსმა სქიზმატიკოსებმა გადაწყვიტეს კავშირი არ ჰქონოდათ არც ქართულ და არც რუსულ ეკლესიებთან და მიმართეს საბერძნეთის ერთ-ერთ სქიზმატურ საკრებულოს. თვითადიარებული „ალანის ეპარქია“ კანონიკურად არ მიეკუთვნება არც ერთ ოფიციალურ საპატრიარქოს, რის გამოც ოსი საეკლესიო სეპარატისტები იძულებულნი გახდნენ კავშირი დაემყარებინათ საბერძნეთის „ჭეშმარიტ მართლმადიდებელ“ „ძველმესტილეთა ეკლესიასთან“, რომელიც 1984 წ. დაფუძნდა ათენში („ქრიზოსტომოსის სინოდი“).

<sup>16</sup> <https://shorturl.at/BXKxZ>

<sup>17</sup> <https://jam-news.net/ge/brdzola-akhali-atonis-monastristvis-afkhazetshi-eklesiashi-gankhetqilebaa/>

<sup>18</sup> <https://shorturl.at/0Q81>

„ქრიზოსტომოსის სინოდი“ ასევე სქიზმაშია, არ ემორჩილება არცერთ ოფიციალურ მართლმადიდებელ ეკლესიას და ევქარისტულ კავშირშია რუსეთის ემიგრანტული ეკლესიის სქიზმატურ საეკლესიო ჯგუფთან. ზემოხსენებულმა თვითგამოცხადებულმა „ალანიის ეპარქიამ“ დაარსებისთანავე ანტიქართული საეკლესიო და პოლიტიკური პოზიცია დაიკავა; მიმდინარეობდა ქართული ისტორიული საეკლესიო კულტურის ძეგლების მისაკუთრების, მათი ოსურ წარმომავლობასთან დაკავშირების მცდელობისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების გადაკეთების აქტიური პროცესი<sup>19</sup>.

ე.წ. ალანიის ეპარქიის მთავარ ტაძარს წარმოადგენს ქ. ცხინვალის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი. 2011 წელს ალანიის ეპარქიის მმართველი „ეპისკოპოსი“ ამბროსი მეთონელი (ადრიან ბაირდი)<sup>20</sup> გახდა, ხოლო ადგილზე მსახურობს მღვდელი იაკობ ხეთაგუროვი. ბაირდი 1998 წლიდან რეგულარულად სტუმრობდა რეგიონს და 2003 წელს მაშინდელმა „პრეზიდენტმა“ ედუარდ კოკოითმა „რესპუბლიკის“ მოქალაქეობა მიანიჭა.

2017 წლის 22 სექტემბერს, ამბროსი ბაირდმა საზოგადოებას ამცნო დამოუკიდებელი, ადგილობრივი „ალანიის სახელმწიფოს მართლმადიდებელი ეკლესიის“ დაფუძნების შესახებ, ხოლო 2018 წლის 18 აპრილს, ამბროსი ბაირდს ოსმა მესაზღვრეებმა ზემო როკის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ახსნა-განმარტების გარეშე ჩამოართვეს პასპორტი. ეს ინციდენტი „ეპისკოპოს“ ამბროსისა და ცხინვალის რეგიონის იმდროინდელი დე ფაქტო პრეზიდენტის, ანატოლი ბიბილოვის დაპირისპირებამ გამოიწვია. ბიბილოვი რამდენჯერმე შეხვდა „ეპისკოპოს“ ამბროსის და ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ ის შეერთებოდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. მათ შორის დაპირისპირება 2017 წელს დაიწყო, როდესაც ანატოლი ბიბილოვი მოსკოვში რუსეთის პატრიარქ კირილეს შეხვდა და იქიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ ოსური ეკლესია რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში უნდა გადასულიყო.

ამის შემდეგ დე ფაქტო „პრეზიდენტი“ რუსულ ეკლესიასთან შეერთების საკითხის განსახილველად ადგილობრივ სასულიერო პირებსა და მრევლს შეხვდა, მაგრამ მათგან ამ წინადადებაზე კატეგორიული უარი მიიღო. ბიბილოვი რამდენჯერმე შეხვდა „ეპისკოპოს“ ამბროსისა და ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ ის რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შეერთებოდა. ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტთან დაპირისპირებულ „ეპისკოპოს“ ამბროსის, რომელსაც ადგილობრივი ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა, ცხინვალში შესვლა აკრძალა. ბიბილოვი პირველი იყო ცხინვალის მეთაურებს შორის, რომელიც სადღესასწაულო მსახურებებს რუსულ ეკლესიაში ესწრებოდა და არა ე.წ. ალანიის ეპარქიის კუთვნილ ცხინვალის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში.

2016-2017 წლებში, ქ. ცხინვალში, ა. ჯიოევის ქუჩაზე, „ანდრია პირველწოდებულის სახელობის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. რელიგიური მსახურება იქ 2017 წლის ბოლოდან მიმდინარეობს. რელიგიურ საკითხებში „პრეზიდენტის“ მრჩევლის სონია ხუბაევას განცხადებით, ახალი ტაძრის პროექტი პირადად პატრიარქმა კირილემ შეარჩია. დე ფაქტო პრეზიდენტის, თიბილოვის განცხადებით, ქ. ცხინვალში ტაძრის

<sup>19</sup> <https://cominf.org/node/1166563497>

<sup>20</sup> <https://cominf.org/node/1166485761>

მშენებლობის გადაწყვეტილება 2014 წლის 10 სექტემბერს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილესთან შეხვედრისას მიიღეს<sup>21</sup>.

ამჟამად ტაძრის „წინამძღვარია“ ეთნიკურად ოსი მღვდელი სერგი კოკოევი<sup>22</sup>, რომელიც ემორჩილება მოსკოვის საპატრიარქოს ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპარქიას. ამავე ეპარქიის საიტზე<sup>23</sup> განთავსებულ კოკოევის ბიოგრაფიაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ერისკაცობაში იგი მონაწილეობდა 2008 წლის ომში საქართველოს წინააღმდეგ და საბრძოლო ჯილდოებიც აქვს მიღებული (არის თადარიგის მაიორი); 2010 წლიდან არის "სამხრეთ ოსეთში მართლმადიდებლობის აღორძინების ფონდის" ხელმძღვანელი; 2013 წლის 12 ივლისს, ქ. ვლადიკავკაზში, ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოსმა ზოსიმემ დიაკვნად, ხოლო 23 ნოემბერს მღვდლად აკურთხა. ხსენებული სამხედრო დამნაშავე „სასულიერო პირი“ ხელმძღვანელობდა ორი რუსული ტაძრის უკანონო მშენებლობას ოკუპირებულ ცხინვალში.

2023 წლის მაისში, ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაში დიდი რეზონანსი მოჰყვა სოციალურ ქსელ Telegram-ში ვლადიკავკაზისა და ალანიის ყოფილი მთავარეპისკოპოსის, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის აფრიკის ეგზარქოსის, მიტროპოლიტ ლეონიდეს (გორბაჩოვი) განცხადებას. რუსმა მღვდელმთავარმა ე.წ. ალანიის ეპარქიის ეპისკოპოსს ამბროსის (ადრიან ბაირდი) ბრიტანეთის დაზვერვის, MI-6-ის შტატგარეშე თანამშრომელი უწოდა და საკუთარ Telegram-არხზე დე ფაქტო რესპუბლიკის „პრეზიდენტი“ აღან გაგლოევიც მწვავედ გააკრიტიკა. ლეონიდეს თქმით, გაგლოევმა აღდგომის დღესასწაულზე ცხინვალის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარში მისვლით ე.წ. ალანიის ეპარქიას (სქიზმატებს) დაუჭირა მხარი. რუსმა სასულიერო პირმა გაიხსენა მოსკოვის მიერ ცხინვალისთვის გაწეული 1 მილიარდი რუბლის დახმარება და მოუწოდა ცხინვალის რუს კურატორებს, „არ დაუჭირონ მხარი იმ ადამიანებს, რომლებიც რუსეთის ხარჯზე მტრულ პოლიტიკას ატარებენ“<sup>24</sup>.

2023 წლის თებერვალში, „მღვდელმონაზონი“ სიმეონი (გაგლოევი) ე.წ. ალანიის ეპარქიის „ვიკარიუსად“ და „იკორთის ეპისკოპოსად“ აირჩიეს. 2025 წლის აპრილში, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში, წმ. საბას სქიზმატურ ეკლესიაში შედგა „მღვდელმონაზონ“ სიმეონის ხელდასხმა ე.წ. ალანიის ეპარქიის ვიკარიუსად<sup>25</sup>.

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში, ცხინვალის ღვთისმშობლის შობის ტაძარში; ცხინვალის კავთის ეკლესიაში; გუჯაბაურის წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედის სამლოცველოში; წუნარის წმ. გიორგის ეკლესიაში; ერედვის ამაღლების ეკლესიაში წირვა-ლოცვა ოსურ და რუსულ ენებზე მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციაში არსებული ვლადიკავკაზისა და ალანიის ეპარქიის გამოცემები ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებს ოსური კულტურის ნიმუშებად მიიჩნევენ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის

<sup>21</sup><https://shorturl.at/QYCN3>

<sup>22</sup> <https://cominf.org/node/1166560307>

<sup>23</sup> <https://blagos.ru/content/ierey-sergiy-kokoev>

<sup>24</sup> <https://shorturl.at/6T1uz>

<sup>25</sup> <https://shorturl.at/DIEKL>

შემდეგ, რუსული საინფორმაციო საშუალებები შიდა ქართლში არსებულ 650 კულტურის ძეგლს ოსური კულტურის ძეგლებად აცხადებენ<sup>26</sup>.

ცხინვალის რეგიონში, საიდანაც საქართველოს საპატრიარქოს ნიქოზის ეპარქიის სამღვდელთა თითქმის სრული შემადგენლობა გამოდევნილია, უკანონოდ მსახურობენ, ერთი მხრივ მოსკოვის საპატრიარქოს ალანის ეპარქიის წარმომადგენლები, მეორე მხრივ კი ბერძნულ-სქიზმატური დაჯგუფება, რაც თვალნათლივ აჩვენებს იმ საეკლესიო ქაოსს, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რომ სუფევს.

გარდა ზემოთ დასახელებული საეკლესიო სეპარატისტული და სქიზმატური დაჯგუფებებისა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მოქმედებს ბაპტისტების, ადვენტისტების, ორმოცდაათიანელებისა და იეჰოვას მოწმეების რელიგიური მიმდინარეობები. ოკუპირებული რეგიონის უზენაესი სასამართლოს მიერ 2017 წლიდან აკრძალულია იეჰოვას მოწმეების რელიგიური ორგანიზაცია, როგორც ექსტრემისტული ხასიათის ლიტერატურისა და იდეების გამავრცელებელი. მაშინ, რელიგიის საკითხებში ოკუპირებული რეგიონის ცხინვალის თვითგამოცხადებული „მთავრობის“ რწმუნებული, სონია ხუბაევა აცხადებდა, რომ „სამხრეთ ოსეთში იეჰოვას მოწმეების რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა, რაც მთელი მოსახლეობის დაახლოებით 2%-ია. მისი თქმით, ამ რელიგიას სამხრეთ ოსეთში „საქართველოდან გამოგზავნილი ოსები ავრცელებენ“.

## 5. ვითარება საოკუპაციო ხაზთან

2018 წელს, ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე საოკუპაციო ძალებმა საგულშაღო მოაწყვეს და კირბალის, მეჯვრისხევის, ზერტისა და ბერშუეთის მცხოვრებლებს ეკლესიასთან, რომელშიც ისინი სალოცავად დადიოდნენ, მიახლოება აუკრძალეს. წმ. გიორგის ლომისას სალოცავთან საოკუპაციო ხაზის გავლებით როგორც საყდარში, ისე მის მიმდებარედ არსებულ სასაფლაოსთან მისვლა ადგილობრივ მოსახლეობას უკიდურესად გაუჭირდა.

საოკუპაციო ძალების წარმომადგენლების მიერ საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავების მუქარის გამო<sup>27</sup>, 2023 წლის 6 მაისს გორი-ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა) აძვის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში ვერ შევიდა. 2023 წლის აგვისტოში კი საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ლომისის წმ. გიორგის ეკლესიის კარი თუნუქის ფირფიტით აჭედეს და სამშენებლო ქაფით ამოავსეს.

2023 წელს, ოკუპანტი ძალის სამხედროების ლომისის ტაძართან პატრულირების ფაქტი, საქართველოს საპატრიარქომაც დაადასტურა<sup>28</sup>.

<sup>26</sup> <https://shorturl.at/iNcU2>

<sup>27</sup> <https://shorturl.at/ogu5F>

<sup>28</sup> <https://www.radiotavisupleba.ge/a/32655296.html>

2023 წლის 7 ნოემბერს, სოფელ კირბალის (გორის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის სალოცავში მოსალოცად ასული საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური რუსეთის საოკუპაციო ძალებმა უკანონო დაკავების მცდელობისას მოკლეს, ხოლო მეორე მოქალაქე გაიტაცეს<sup>29</sup>. მომხდარი მყისვე დაგმო, როგორც საქართველოს მთავრობამ<sup>30</sup>, ასევე აშშ-ს საელჩომ<sup>31</sup> და ევროპარლამენტმა, რომელმაც სპეციალური რეზოლუციაც მიიღო<sup>32</sup>.

## 6. ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირის დაკავება

ხაზგასმით აღსანიშნავია, ყოვლად მიუღებელი და აღმაშფოთებელია ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირის დაკავების ფაქტი, რომელსაც ჯერაც არ მოჰყოლია უარყოფითი შეფასება და არ დაუგმია არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას. 2025 წელს, „უკანონო ღვთისმსახურებისთვის და ნაციონალისტური იდეების გავრცელებისათვის“<sup>33</sup> ოკუპირებული გალის რაიონის ჭუბურხინჯის წმ. გიორგის ტაძრის მღვდელმონაზონი პიმენ (რომან) ქარდავა დააკავეს. აღსანიშნავია, რომ ჭუბურხინჯის წმ. გიორგის ტაძრის მღვდელმონაზონ პიმენ ქარდავას წინააღმდეგ წარსულშიც მიუღიათ მსგავსი დისკრიმინაციული გადაწყვეტილებები, კერძოდ: 2008 წელს, გალის რაიონში ბანდიტური დაჯგუფების წევრებმა იგი გაიტაცეს, სასტიკად სცემეს და ჭუბურხინჯიდან სოხუმში წაიყვანეს. შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა მამა პიმენი ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მრევლისთვის რელიგიური ლიტურატურის გადაცემას გეგმავდა<sup>34</sup>. მოგვიანებით მამა პიმენს მსახურების უფლება ჩამოართვეს და აფხაზეთიდან გააძევეს. მომხდარი ფაქტი მკაცრად დაგმო საქართველოს საპატრიარქომ და აღინიშნა, რომ „სასულიერო პირი ხელშეუხებელი უნდა იყოს. ეს არის ადამიანის რელიგიური უფლებების შეზღუდვა, რაც დიდი დანაშაულია“<sup>35</sup>.

<sup>29</sup><https://www.facebook.com/sssgeo/posts/pfbid02JDYDqn4sMTfb2A7br7T12TswRuqhzf1akBH2qgxCs4j9eKp51VLSkb48wFzF54tFl>

<sup>30</sup> <https://1tv.ge/news/ilia-darchiashvili-okupirebul-teritoriebze-mckhovrebi-mosakhleoba-adamianis-uflebata-mdzime-darghvevis-mskhverplia-tamaz-ginturis-mkvleloba-etnikuri-qartvelebis-mimart-dzaladobis-kidev-erti-aqtia/>

<sup>31</sup> [https://www.facebook.com/usingeo/posts/747895000713769?ref=embed\\_post](https://www.facebook.com/usingeo/posts/747895000713769?ref=embed_post)

<sup>32</sup> <https://mfa.gov.ge/news/241404-evroparlamentma-rusetis-saokupatsio-dzalebis-mier-saqartvelos-moqalaqis-tamaz-ginturis-mkvlelobis-sa>

<sup>33</sup> <https://www.kavkaz-uzel.eu/articles/134906>

<sup>34</sup> <https://patriarchate.ge/news/682>

<sup>35</sup> <https://patriarchate.ge/news/682>

## 7. რელიგიური უმცირესობების საკულტო ნაგებობები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებობს რამდენიმე რელიგიური თემის, კერძოდ მუსლიმური, სომხური სამოციქულო, კათოლიკური, ლუთერული და ებრაული თემების საკულტო ნაგებობები.

მუსლიმური თემი: მეჩეთები ქ. სოხუმსა (XX ს.) და ქ. გუდაუთაში (XIX – XX სს.).

ებრაული თემი: სინაგოგა ქ. სოხუმში (XX ს.) - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. სინაგოგა ქ. ცხინვალში (XX ს.) – თითქმის სრულად განადგურდა 2008 წლის რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის დროს.

სომხური თემი: წმ. მხსნელის ტაძარი (სურბ ამენაფკრიჩ - 2013 წ.) ქ. გაგრაში.

კათოლიკური თემი: წმ. სვიმონ კანანელის კათოლიკური ტაძარი (1908 წ.) ქ. სოხუმში.

ლუთერული თემი: იოანე მოციქულის ლუთერული ეკლესია (XX ს.) - ქ. სოხუმში.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ა/რ და ცხინვალის რეგიონები ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს რა დემოკრატიულ და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, ხელს უწყობს საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა რელიგიის: კათოლიკური, ლუთერული, სომხური სამოციქულო ეკლესიების სასულიერო პირებს, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დაცვით გადავიდნენ აფხაზეთში, შეხვდნენ საკუთარ მრევლს და რელიგიური მსახურება აღასრულონ.

## დასკვნა

რუსეთის ფედერაცია, როგორც ოკუპანტი ქვეყანა, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეფექტიან კონტროლს ახორციელებს. რუსეთის მარიონეტი სეპარატისტული რეჟიმები კი რელიგიურ და ეთნიკურ დისკრიმინაციასა და სეგრეგაციას ეწევიან მხოლოდ ეთნიკურად ქართველი და აღმსარებლობით მართლმადიდებელი მოსახლეობისა და სასულიერო პირების მიმართ. ისინი ანადგურებენ და იერსახეს უცვლიან ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებსა და მონასტრებს, განზრახ შექმნილი სქიზმატური დაჯგუფებების მხრიდან იწვევენ საეკლესიო ქაოსს. ზემოთ აღნიშნული კიდევ ერთი დასტურია მიზანმიმართული დისკრიმინაციული პოლიტიკისა, რაც მიმართულია საქართველოს ოკუპირებულ, ძირძველ ქართულ მიწებზე ქართული რელიგიურ-კულტურული კვალის წასაშლელად და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული რეალობის შესაცვლელად.

# რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

## 2023 წლის ანგარიში

### სარჩევი

<b>1. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წწ.....</b>	<b>24</b>
1.1. ტრენინგები სასულიერო პირებისათვის-----	24
1.2. კოვიდ-19 პანდემია და რელიგიის თავისუფლება-----	24
<b>2. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით.....</b>	<b>26</b>
2.1. პროექტები-----	26
2.2. ყოველწლიური „ინტერრელიგიური კალენდრის“ გამოცემა-----	27
<b>3. შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა.....</b>	<b>27</b>
3.1. ტაძრებში ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ლოცვების განთავსება-----	27
3.2. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი..	28
3.3. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი კანონიკური წიგნები-----	28
<b>4. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან .....</b>	<b>28</b>
4.1. პრემიერ - მინისტრის სახელით მუსლიმი თემისთვის გამართული იფტარი .....	28
4.2. საქართველოს მთავრობის მეთაურის მიერ ებრაელთათვის ხანუქას მილოცვა	29
<b>5. ინტერრელიგიური სათათბიროს აქტივობები.....</b>	<b>29</b>
<b>6. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში .....</b>	<b>311</b>
<b>7. რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია.....</b>	<b>32</b>
7.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები .....	32
<b>8. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე .....</b>	<b>34</b>
<b>9. პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“ .....</b>	<b>35</b>
<b>10. ინტერრელიგიური ჩემპიონატი ჭადრაკში .....</b>	<b>36</b>
10.1. რელიგიის სააგენტოსა და ჭადრაკის ფედერაციას შორის მემორანდუმის გაფორმება .....	36
10.2. ჭადრაკში საქართველოს მეორე გუნდური ჩემპიონატი რელიგიურ ორგანიზაციებს შორის.....	36
<b>11. საერთაშორისო კონფერენციები.....</b>	<b>37</b>

11.1.	საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და კანონის უზენაესობა“.....	37
11.2.	საერთაშორისო კონფერენცია „სახელმწიფოს როლი ინტერრელიგიურ დიალოგში“ ...	38
<b>12.</b>	<b>საქველმოქმედო აქციები.....</b>	<b>39</b>
<b>13.</b>	<b>რელიგიის სააგენტოს სხვადასხვა შეხვედრები .....</b>	<b>40</b>
13.1.	შეხვედრა ირანის ისლამური რესპუბლიკის დელეგაციასთან.....	40
13.2.	შეხვედრა ამერიკულ რელიგიურ ორგანიზაციასთან.....	41
13.3.	რელიგიის სააგენტოს შეხვედრა „ლიმუდის“ წარმომადგენლებთან.....	41
13.4.	რელიგიის სააგენტოს სტუმრობა „ხსნის არმიის“ იუბილეზე-----	41
13.5.	შეხვედრა საქართველოს ქრისტიან-ბაპტიტთა ეკლესიების გაერთიანების ახლადარჩეულ თავმჯდომარესთან.....	42
13.6.	შეხვედრა სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ეპისკოპოსთან-----	42
13.7.	შეხვედრა საქართველოს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ხელმძღვანელთან-----	42
13.8.	რელიგიის სააგენტო ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სინოდის სხდომაზე-----	43
13.9.	საკათედრო ტაძრის გახსნა ჭიათურაში -----	43
13.10.	შეხვედრა ახლადარჩეულ შეიხთან -----	44
<b>14.</b>	<b>შეხვედრები კოლეგა ორგანიზაციებთან .....</b>	<b>44</b>
<b>15.</b>	<b>ვიზიტები საზღვარგარეთ.....</b>	<b>44</b>
15.1.	ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში -----	44
15.2.	საქართველოს დელეგაცია კახში -----	45
15.3.	ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში-----	46
15.4.	ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში -----	48
<b>16.</b>	<b>შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან .....</b>	<b>49</b>
<b>17.</b>	<b>მედიასთან ურთიერთობა .....</b>	<b>50</b>
<b>18.</b>	<b>დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში.....</b>	<b>50</b>
<b>19.</b>	<b>ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....</b>	<b>51</b>
<b>20.</b>	<b>ინფორმაცია მივლინების შესახებ .....</b>	<b>52</b>
<b>21.</b>	<b>რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება .....</b>	<b>52</b>
<b>22.</b>	<b>შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი .....</b>	<b>52</b>
<b>23.</b>	<b>ინფორმაცია კორესპონდენციის შესახებ.....</b>	<b>53</b>

## 1. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის

საანგარიშო წელს საქართველოს სახელმწიფო ხელმძღვანელობდა „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის“ გეგმის, პრიორიტეტი I (მართლმსაჯულების, სამართლის უზენაესობის პრინციპების, ინსტიტუციური დემოკრატიის გამყარება და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით ეფექტიანი სარგებლობა - რელიგიისა და რწმენის თავისუფლება) ფარგლებში. სააგენტო სისტემატურად ატარებდა ღონისძიებებს ტოლერანტობისა და არადისკრიმინაციული გარემოს მხარდასაჭერად, ასევე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

### 1.1. ტრენინგები სასულიერო პირებისათვის

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რელიგიის თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების კუთხით რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლების (სასულიერო პირების) ცნობიერების ამაღლების, ასევე, სეკულარიზმისა და ტოლერანტობის კულტურის გაძლიერების მიზნით, სისტემატურად ატარებს ტრენინგებს.

2023 წლის 28 ნოემბერს, ქ. მარნეულში, „კულტურული მრავალფეროვნების ჰარმონიული განვითარების ცენტრის“ პროექტის - „ქვემო ქართლის რელიგიური ლიდერები ადამიანის უფლებების დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისთვის“ ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა თემაზე - „რელიგიური მრავალფეროვნების მართვის საერთაშორისო და საქართველოს გამოცდილება“. პროექტი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს სასულიერო პირები და მრევლი, რომელთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი დავით დავითაშვილი.

### 1.2. კოვიდ-19 პანდემია და რელიგიის თავისუფლება

„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის“ გეგმის, პრიორიტეტი I (ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები პანდემიის დროს) მიხედვით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ აქტიურად ითანამშრომლა საქართველოს მთავრობასთან, შედეგად, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დასაცავად მიღებული გადაწყვეტილებები და რეგულაციები შეეხო საქართველოში არსებულ ყველა კონფესიას და ძალაში იყო 2023 წლის ზაფხულამდე, პანდემიის დასრულებამდე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2023 წლის 5 მაისს გამოაცხადა<sup>36</sup>, რომ COVID-19 აღარ წარმოადგენს გლობალურ

<sup>36</sup> [https://www.who.int/news/item/05-05-2023-statement-on-the-fifteenth-meeting-of-the-international-health-regulations-\(2005\)-emergency-committee-regarding-the-coronavirus-disease-\(covid-19\)-pandemic](https://www.who.int/news/item/05-05-2023-statement-on-the-fifteenth-meeting-of-the-international-health-regulations-(2005)-emergency-committee-regarding-the-coronavirus-disease-(covid-19)-pandemic)

საგანგებო მდგომარეობას საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის. შესაბამისად, ქვეყანა ეტაპობრივად დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულ რიტმს და მოიხსნა ის შეზღუდვები, რაც პანდემიის პერიოდში ვრცელდებოდა.

პანდემიის სამწლიანი ტალღის დროს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მოქმედებდა “იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის დადგენილება N322 – ის შესაბამისად (ძალადაკარგულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 4 ივლისის N244 დადგენილებით) და პირდაპირი და აქტიური კონტაქტი ჰქონდა რელიგიურ ორგანიზაციებთან. 2020 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის განკარგულება №2632-ის შესაბამისად, ცვლილება შევიდა 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში: „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (კოვიდ-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, სადაც „ქ“ პუნქტად დაემატა სასულიერო პირთა ტესტირების შესახებ მუხლი.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო, სეკულარიზმის პრინციპების დაცვით, დროულად უზრუნველყოფდა პროცესის გამჭვირვალობას და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს უშუალო ჩართულობით, სწრაფადვე ახდენდა რელიგიური ორგანიზაციების ინფორმირებას. სამწლიანი პანდემიის დროს, რელიგიის სააგენტომ კრიზისულ პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია არა მხოლოდ ინტერრელიგიურ სათათბიროში შემავალ რელიგიურ ორგანიზაციებს, არამედ იმ ორგანიზაციებსაც, რომლებიც არ შედიან სათათბიროში, მაგრამ შესაბამისი თხოვნით მიმართეს სააგენტოს („ხსნის არმია საქართველო“, „სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, „მაცხოვრის ბიბლიური ეკლესია“, „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტიტისტა ეკლესია“, „წმინდა სამების პროტესტანტული ეკლესია“, იეჰოვას მოწმეების ქრისტიანული კრება; ბათუმის „ბიბლიური რწმენის ეკლესია“; საქართველოს ბაჰაისტა ეროვნული სასულიერო კრება). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობა რელიგიის სააგენტოს დახმარებით ხელს უწყობდა, როგორც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდესი დღესასწაულების (შობა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და სხვ.), ასევე საქართველოში არსებული ისტორიული რელიგიების უმთავრესი დღესასწაულების შეუფერხებლად, დისტანციისა და ყველა წესების დაცვით ჩატარებას.

კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, კომპეტენციის ფარგლებში, რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ნაწილში, კრიზისის მენეჯმენტის ფუნქცია იტვირთა და საქართველოში არსებულ სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებს ქვეყანაში მოქმედი რეგულაციები გააცნო (პირბადის ტარების, სოციალური დისტანციისა და ჰიგიენური წესების დაცვის, ხატების, საეკლესიო თუ სხვა საკულტო ინვენტარის სპეციალური სადეზინფექციო ხსნარით დამუშავების აუცილებლობის, უფასო აცრებისა და პისიარ ტესტირების, სასულიერო პირთა გადაადგილებისათვის საშვების აღების წესების, ჰუმანიტარული და სოციალური აქტივობების განხორციელების შესახებ).

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ხელისუფლებასთან ერთად, რელიგიური ორგანიზაციების საჭიროებების გასათვალისწინებლად განსაკუთრებით აქტიურად ურთიერთობდა კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისული სიტუაციების მართვაში ჩართულ ცენტრალურ და რეგიონულ უწყებებთან. სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და აჭარის ა/რ-ში რელიგიის სააგენტოს რეგიონული წარმომადგენლების უშუალო ჩართულობით, 2023 წელსაც გაგრძელდა რელიგიური ორგანიზაციების საქველმოქმედო და სოციალური საქმიანობის ხელშეწყობა.

პანდემიის პერიოდში, ხელისუფლება რელიგიის სააგენტოს ინტერრელიგიურ სათათბიროსთან და ასევე რეგიონულ წარმომადგენლებთან აქტიური კომუნიკაციითა და უშუალო მონაწილეობით, კრიზისულ სიტუაციებში წარმატებით ახერხებდა ინფორმაციის დროულ მიწოდებას, სასულიერო პირების ცნობიერების ამაღლებას ვაქცინაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით, ყველა კონფესიის რელიგიური ლიდერების, სასულიერო პირებისა და მრევლის რელიგიური უფლებების განხორციელების ხელშეწყობას. კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი დეტალურად არის აღწერილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2020-2022 წლების ანგარიშში<sup>37</sup>.

## 2. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

### 2.1. პროექტები

საქართველოში რელიგიებს შორის, რელიგიებსა და საზოგადოებას შორის ჯანსაღი დიალოგისა და ტოლერანტული გარემოს შექმნის მიზნით, პროექტმა „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში“ (შსს-ს არქივის მონაცემების მიხედვით) გაიმარჯვა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით, წარმოადგინა მნიშვნელოვანი განაცხადი, საფუძვლიანად შეესწავლა და გაეანალიზებინა ინფორმაცია საბჭოთა პერიოდში საქართველოში რელიგიური ნიშნით განხორციელებული რეპრესიების შესახებ და საარქივო მასალებზე დაყრდნობით გამოეცა ნაშრომი.

პროექტი ითვალისწინებდა საქართველოში საბჭოთა პერიოდში (1921-1991 წწ.) რელიგიური ნიშნით განხორციელებული რეპრესიების ფაქტების შესწავლას და გამოვლენას. საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის (1921 წ.) შემდეგ, აქტიურად დაიწყო „წითელი ტერორი“ და ათეისტური რელიგიური პოლიტიკის გატარება: დაიხურა ასობით საკულტო ნაგებობა, რელიგიური სკოლები, განსაკუთრებული სისასტიკით დაიწყო მართლმადიდებლური,

<sup>37</sup> <https://religion.gov.ge/wliuri-angarisebi/religiis-sakitxta-saxelmwifo-saagentos-2020-2022-wlebis-angarisi>

კათოლიკური, სომეხთა-სამოციქულო, იუდაური, ისლამური თემებისა და ქრისტიანულ-პროტესტანტული მიმდინარეობების სასულიერო პირთა რელიგიური მოტივებით დევნა. რელიგიური ნიშნით პირთა დევნის საფუძვლად იყენებდნენ ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციურ აგიტაცია-პროპაგანდის და სხვა სახის ბრალდებას.

აღსანიშნავია, რომ პროექტის იდეას მხარი დაუჭირა სააგენტოსთან არსებულმა ინტერრელიგიურმა სათათბირომ, რომელშიც წარმოდგენილია თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისტორიული რელიგიებისა და სხვა მცირერიცხოვანი კონფესიების ჩათვლით.

## 2.2. ყოველწლიური „ინტერრელიგიური კალენდარის“ გამოცემა

2023 წელს, ტრადიციულად გამოიცა ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი, სადაც ერთი კალენდრის ფორმატში თავმოყრილია სხვადასხვა რელიგიური თემის ძირითადი დღესასწაულები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა კონფესიებს შორის ურთიერთობის განმტკიცებასა და რელიგიური ცნობიერების ამაღლებას.

ინტერრელიგიური კალენდარი აერთიანებს საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი რელიგიური თემის (სულ 12) - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ებრაული, კათოლიკე, მუსლიმი, სომეხთა სამოციქულო, სულიერ ქრისტიანთა-მოლოკანი, ეზიდის, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-პროტესტანტული, ბაპტისტური თემებისა და სახარების რწმენის ეკლესიის მთავარ რელიგიურ დღესასწაულებს.

## 3. შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად და შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინკლუზიური ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, რელიგიის სააგენტომ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა 2023 წლისთვის. დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რომელიც 2023 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. სამოქმედო გეგმის მიხედვით საანგარიშო წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

### 3.1. ტაძრებში ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ლოცვების განთავსება

რელიგიის სააგენტოს ინიციატივითა და საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით, 2023 წელს თბილისის სამ ტაძარში: ფონიჭალის წმ. თამარ მეფის სახელობის ტაძარში, ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარსა და ქვაშვეთის წმ. გიორგის

სახელობის ეკლესიაში ხატებთან განთავსდა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ლოცვები და ტროპარ-კონდაკები.

### 3.2. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი

აღსანიშნავია, რომ რელიგიის სააგენტო 2018 წლიდან „უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ მოქალაქეთა მხარდასაჭერად“, ბეჭდავს ინტერრელიგიურ კალენდრებს და საჩუქრად გადასცემს საქართველოს უსინათლოთა კავშირსა და სსიპ ქ. თბილისის N202-ე (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლას.

### 3.3. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი კანონიკური წიგნები

რელიგიის სააგენტო, უსინათლოთა კავშირის წევრთა სურვილის გათვალისწინებით, 2020 წლიდან, ბრაილის შრიფტით გამოსცემს ბიბლიის წიგნებს. ძველი აღთქმის კანონიკური წიგნები: „დაბადება“, „გამოსვლათა“, „ლევიტელთა“ მათ საჩუქრად უკვე გადაეცათ.

2023 წლის 25 იანვარს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ საქართველოს უსინათლოთა კავშირისა და სსიპ ქ. თბილისის N202-ე (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლის წარმომადგენლებს უმასპინძლა და ინტერრელიგიურ კალენდართან ერთად ბიბლიის წიგნი - „რიცხვთა“ გადასცა.

## 4. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით და რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლები, ტრადიციულად ესწრებიან საქართველოში არსებული ისტორიული რელიგიების უმთავრეს დღესასწაულებს, მათ შორის – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდეს დღესასწაულებს – აღდგომას, შობასა და სვეტიცხოვლობას; მუსლიმი თემის მთავარ დღესასწაულებს და რამადანის მარხვის დაწყებასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი იფტარის ვახშამს მართავს მუსლიმი სასულიერო პირებისათვის; ებრაელთა თემის ხანუქას დღესასწაულზე, სინაგოგაში, პრემიერ-მინისტრი სიმბოლურად, პირველ სანთელს ანთებს. ასევე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რეგულარულად ხვდება სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებს და მონაწილეობს მათ მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულებში როგორც თბილისსა და რუსთავში, ისე რეგიონებში, ესწრება წლიურ ანგარიშებს, მართავს საქველმოქმედო აქციებს, კონფერენციებს, განიხილავს მათგან შემოსულ მიმართებებსა და განცხადებებს და ეხმარება საჭიროებების მიხედვით.

### 4.1. პრემიერ - მინისტრის სახელით მუსლიმი თემისთვის გამართული იფტარი

2023 წლის 20 აპრილს, პრემიერ-მინისტრმა მუსლიმებს რამადან-ზაირამი მიულოცა და თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მუსლიმი მოქალაქეების წარმომადგენელთა გამორჩეულ როლს ქვეყნის აღმშენებლობაში. მან აღნიშნა, რომ 2014 წელს,

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნით რელიგიების გაძლიერებაზე ზრუნვა უმაღლეს სახელმწიფოებრივ რანგში ავიდა. ღონისძიებაზე რელიგიის სააგენტოს თემჯდომარემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებაზე რელიგიური უმცირესობების, მათ შორის, მუსლიმი თემის წარმომადგენელთა მიმართ.

#### 4.2. საქართველოს მთავრობის მეთაურის მიერ ებრაელთათვის ხანუქას მილოცვა

2023 წლის 7 დეკემბერს, ქართველმა ებრაელებმა ხანუქა იზეიმეს. დღესასწაულის აღსანიშნავად, თბილისის მთავარ სინაგოგაში შეიკრიბნენ იუდაური თემის, საქართველოს ხელისუფლებისა და რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლები. ხანუქას პირველი სანთელი კი სიმბოლურად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აანთო, რომელმაც სინაგოგაში შეკრებილ საზოგადოებას ხანუქას დღესასწაული მიულოცა.

დღესასწაულზე შეკრებილთ მიესალმნენ საქართველოს ებრაელთა კავშირის თავმჯდომარე მერაბ ჩანჩალაშვილი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰადას მეიცადი, მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი იაკობ გაგულაშვილი და თბილისის მთავარი სინაგოგის მთავარი რაბინი რახამინ მურდუხაშვილი.

### 5. ინტერრელიგიური სათათბიროს აქტივობები

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან ფუნქციონირებს ინტერრელიგიური სათათბირო, რომელშიც საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება მონაწილეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისტორიული რელიგიებისა და სხვა მცირერიცხოვანი კონფესიების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ინტერრელიგიურ სათათბიროს შემოუერთდა ორი რელიგიური ორგანიზაცია: „ხსნის არმია საქართველოში“ და საქართველოს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია. ინტერრელიგიური სათათბიროს შემადგენლობა დღეს ასე გამოიყურება:

1. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
2. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;
3. სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
4. ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია;
5. საქართველოს ებრაელთა კავშირი;
6. თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია;
7. საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანება;
8. საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
9. საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
10. საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია;
11. საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭო;
12. კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება;
13. „ხსნის არმია საქართველოში“;
14. საქართველოს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია.

2023 წლის 12 იანვარს, თავდაცვის სამინისტროში რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარე და სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს წევრები თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, გრიგოლ გიორგაძეს შეხვდნენ და გაეცნენ თავდაცვის ახალი კოდექსის პროექტს, რომლის მიხედვით მღვდელმსახურება სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების საფუძველს აღარ წარმოადგენს. ყველა რელიგიის წარმომადგენელი სამხედრო ვალდებულია და დისკრეციული პირობებით სარგებლობის შესაძლებლობა არცერთ კონფესიას არ ექნება. სასულიერო პირებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური, რომლის პირობები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

2023 წლის 14 მარტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა ინტერრელიგიური სათათბიროს წარმომადგენელთა შეხვედრა ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელთან საქართველოში, ალექსანდრ ვინიკოვთან. შეხვედრაზე რელიგიურმა ლიდერებმა გაიხსენეს მათი ვიზიტი ნატოს შტაბ-ბინაში და შეხვედრები ნატოს წარმომადგენლებთან. გაიჟღერა იდეამ - კვლავ შედგეს ვიზიტი ბრიუსელში, მხოლოდ უფრო გაფართოებული შემადგენლობით.

2023 წლის 20 მარტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე და სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების ლიდერები სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს, ნიკა ცხვარაშვილს შეხვდნენ. შეხვედრის თემას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რელიგიური უფლებების დაცვა წარმოადგენდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა რა დროსაც გაჩნდა იდეა რელიგიის სააგენტოსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმების თაობაზე.

2023 წლის 5 აპრილს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ინტერრელიგიური სათათბიროს სხდომა გაიმართა. სათათბიროს წევრებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ გააცნო სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან შემოსული დოკუმენტი ინტერრელიგიური სათათბიროს პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორთან ზემოსხენებულ შეხვედრაზე წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულთა რელიგიური უფლებების დაცვას ეხებოდა. სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებმა პენიტენციურ დაწესებულებასთან ურთიერთობისას აღნიშნული დოკუმენტით უნდა იხელმძღვანელონ.

2023 წლის 5 მაისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ინტერრელიგიური სათათბიროს სხდომა გაიმართა, სადაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ სათათბიროს წევრებს წმინდა საყდრის დესპანის, ჟოზე-აველინო ბეტანკურის იდეა გააცნო, რელიგიური კონფესიების ერთობლივი ღონისძიების გამართვის შესახებ, დევიზით: „ჩვენ გვინდა მშვიდობა“. რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოთქვეს წინადადებები სამუშაო ჯგუფის შექმნის, ღონისძიების ჩატარების ფორმებისა და ადგილმდებარეობის შესახებ.

2023 წლის 15 ივნისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ინტერრელიგიური სათათბიროს სხდომა გაიმართა. სათათბიროს წევრებმა მოისმინეს საქართველოს ებრაელთა

კავშირის თავმჯდომარის, მერაბ ჩანჩალაშვილის ინფორმაცია თბილისში, დიდუბის რაიონში, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის (მთავარეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი) შენობაში რეფორმისტული სალოცავის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს ებრაული თემის დამოკიდებულების თაობაზე.

2023 წლის 8 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ინტერრელიგიური სათათბიროს წევრები და რელიგიის სააგენტოს თანამშრომლები სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის წარმომადგენელს, ია იმერლიშვილს შეხვდნენ. მან ინტერრელიგიური სათათბიროს წევრებს გააცნო ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით. კერძოდ, სამოქალაქო, რელიგიურ დღესასწაულებზე თუ სხვა დღეებში ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და აქტივობების მოწყობა, რომლებიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოწყვლადი ჯგუფებისთვის. რელიგიურმა ორგანიზაციებმა ღონისძიებების ერთობლივად ჩატარების მზადყოფნა გამოთქვეს, რაც მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობისკენ იქნება მიმართული.

## 6. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში

საქართველოს მთავრობის N117-ე (27.01.2014) დადგენილების თანახმად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაევალა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი თანხის საქართველოში არსებული რელიგიური თემებისთვის განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. რელიგიურ გაერთიანებებთან კონსულტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების (მრევლის, სასულიერო პირების, საკულტო შენობა-ნაგებობების რაოდენობა) შესწავლის საფუძველზე, სააგენტომ მოამზადა რეკომენდაცია N 1/7. 13.01.2023 საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე, საქართველოს კანონით „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით განსაზღვრული 5 500 000 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი, მიმდინარე წელს, რელიგიურ გაერთიანებებს გაუნაწილდეთ შემდეგი ოდენობებით:

- 1) საქართველოს მუსლიმი თემი - 3 350 000 (სამი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ლარი;
- 2) საქართველოს სომეხთა სამოციქულო ეკლესია - 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი;
- 3) საქართველოს რომაულ-კათოლიკური ეკლესია - 650 000 (ექვსას ორმოცდაათი ათასი) ლარი;
- 4) საქართველოს იუდეური თემი - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი.

2023 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში შეადგინა: 43 250 000 ლარი (იხილეთ ცხრილი).

წელი	მუსლიმი თემი	რომაულ-კათოლიკური თემი	სომეხთა სამოციქულო თემი	იუდეური თემი	სულ
2014	1 100 000	200 000	300 000	150 000	1 750 000
2015	2 200 000	400 000	600 000	300 000	3 500 000
2016	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2017	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2018	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2019	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2020	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2021	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2022	3 350 000	650 000	1 000 000	500 000	5 500 000
2023	3 350 000	650 000	1 000 000	500 000	5 500 000
სულ	26 500 000	5 200 000	7 700 000	3 850 000	43 250 000

*\*თანხები მოცემულია ლარში*

ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას იღებენ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისათვის დაბრუნების პროცესის შესაბამისად მუსლიმ თემს დაუბრუნდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ჩამორთმეული 16 მეჩეთი და მიწის ნაკვეთი.

## 7. რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია

### 7.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები

2023 წელს, გაიმართა რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის 4 (ოთხი) სხდომა. ჯამში, კომისიამ განიხილა 181 საკითხი, კერძოდ:

- მართლმადიდებელი ეკლესია: დაკმაყოფილდა – 119, ხარვეზი – 6, უარი – 13;
- მუსლიმი თემი: დაკმაყოფილდა – 28, ხარვეზი – 0, უარი – 1;
- სომხური თემი: დაკმაყოფილდა – 4, ხარვეზი – 0, უარი – 0;

- სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია: დაკმაყოფილდა – 10, ხარვეზი – 0, უარი – 0.

**2023 წლის 15 მარტი - I სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	66	62	2	2
მუსლიმი თემი	26	25		1
სომხური თემი	3	3		

**2023 წლის 22 ივნისი - II სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	36	29	3	4
მუსლიმი თემი	2	2		
სომხური თემი	1	1		

**2023 წლის 19 სექტემბერი - III სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	9	7		2

სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია და სომხური თემი	9	9		
---	---	---	--	--

**2023 წლის 28 ნოემბერი - IV სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	27	21	1	5
სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია	1	1		
მუსლიმი თემი	1	1		

სულ 2023 წელს, რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის 4 (ოთხი) სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტოს მიერ დადებითი რეკომენდაცია გაიცა მოთხოვნილი - 3 666 274.23 ლარიდან 1 470 313,94 ლარის გადაცემის თაობაზე.

## 8. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (16 ნოემბერი), რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაამკვიდრა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, საქართველოში არსებული ერთ-ერთი რელიგიური თემი სხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებსა და მრევლს მორიგეობით მასპინძლობს. ქვემოთ იხილეთ მასპინძელი რელიგიური ორგანიზაციები წლების მიხედვით:

- 2016 წელს - საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ რელიგიურ თემებს საქართველოს საპატრიარქოში უმასპინძლა;
- 2017 წელს - მასპინძელი ებრაელი თემი იყო, მიღება დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში შედგა;
- 2018 წელს - რელიგიურ ორგანიზაციებს ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციამ უმასპინძლა;
- 2019 წელს - რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ უმასპინძლა;

- 2020 წელს - საქართველოს ქრისტიან-ბაპტიტთა ეკლესიების გაერთიანება იყო მასპინძელი;
- 2021 წელს - მასპინძელი საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია იყო;
- 2022 წელს - საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიამ გამართა მიღება.

2023 წელს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ტრადიციული ღონისძიება, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მასპინძლობით, ეპარქიის კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ ცენტრში „ჰაიარტუნ“ გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების ლიდერები და წარმომადგენლები.

საზეიმო შეხვედრა გახსნა მასპინძელმა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელმა, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსმა კირაკოს დავთიანმა და რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ. სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის ლიდერებმა ყველას მიულოცეს ეს დღე და ხაზგასმით აღნიშნეს რელიგიის სააგენტოს დადებითი როლი ტოლერანტული გარემოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის გამორჩეული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ტოლერანტობის საერთაშორისო დღე 1995 წლიდან, UNESCO-ს ინიციატივით აღინიშნება, რომლის მიზანი შეუწყნარებლობის, ექსტრემიზმისა და დისკრიმინაციის საფრთხეებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგების ატმოსფეროს დამკვიდრებაა. ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ტრადიციული შეხვედრები, რელიგიური შემწყნარებლობის ქართული კულტურის გამოვლინებად იქცა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება ქ. ბათუმის ხელოვნების ცენტრში გაიმართა, რომლის ორგანიზატორი საქართველოს ევანგელური ალიანსი იყო. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აჭარაში მოქმედი ევანგელური ეკლესიები და საქართველოს ევანგელურ ალიანსში შემავალი კონფესიები, სასულიერო პირები და მრევლი თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან და უზბეკეთიდან. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ რომელმაც მაღალი შეფასება მისცა საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების როლს ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებაში.

## 9. პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“

2019 წელს დაიწყო სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, სახელწოდებით: „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“, რომლის ფარგლებშიც სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან ერთად საქართველოში მოღვაწე სასულიერო პირები სახელმწიფო ენას სწავლობენ. პირველ ეტაპზე პროექტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მუსლიმი თემის, სომხური სამოციქულო ეკლესიისა და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სასულიერო პირებმა. ასევე, აღსანიშნავია, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებმა საქართველოში ადამიანის უფლებების,

რელიგიური მრავალფეროვნებისა და რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პედაგოგებისთვის ტრენინგები გამართეს.

2023 წლის ოქტომბერში, რელიგიის სააგენტომ პროექტის „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“ მესამე ეტაპი დაიწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მუსლიმი თემის, სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიისა და კათოლიკე თემის სულ 58-მა წარმომადგენელმა. ქართული ენის შესწავლის პროცესში ასევე ჩართულები იყვნენ რელიგიური ლიდერებიც - ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი როლფ ბარაისი, აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი ეტიბარ ემინოვი და სრულიად საქართველოს შეიხი რამინ იგიდოვი.

## 10. ინტერრელიგიური ჩემპიონატი ჭადრაკში

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო უზრუნველყოფს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მხარდაჭერას, ასევე ტოლერანტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას. რელიგიის სააგენტოს ინიციატივითა და სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობით, არაერთი ერთობლივი პროექტი თუ აქტივობა ხორციელდება, მათ შორისაა ყოველწლიური გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში.

### 10.1. რელიგიის სააგენტოსა და ჭადრაკის ფედერაციას შორის მემორანდუმის გაფორმება

2023 წლის 22 მარტს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, აკაკი იაშვილმა რელიგიის სააგენტოსა და ჭადრაკის ფედერაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომელიც სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებში ჩართულ პირთა შორის ჭადრაკის პოპულარიზაციას და ამ მიზნით, რელიგიური ორგანიზაციების გუნდებს შორის ჭადრაკის ყოველწლიური ჩემპიონატების ჩატარებას, ჭადრაკის სფეროში ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებში ჩართულ პირთა დაახლოებას.

### 10.2. ჭადრაკში საქართველოს მეორე გუნდური ჩემპიონატი რელიგიურ ორგანიზაციებს შორის

2023 წლის 4-5 ივლისს, თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში, გაიმართა საქართველოს მეორე გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში რელიგიურ ორგანიზაციებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, სომეხთა

სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს ებრაელთა კავშირის, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის, საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის, საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიის, საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის, საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭოსა და ასევე, რელიგიის სააგენტოს გუნდები. მეორე საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებული საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს გუნდი გახდა, მეორე ადგილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გუნდმა დაიკავა, ხოლო, მესამე საპრიზო ადგილზე საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის გუნდი გავიდა.

## 11. საერთაშორისო კონფერენციები

### 11.1. საერთაშორისო კონფერენცია „რელიგია და კანონის უზენაესობა“

2023 წლის 26 ივნისს, „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების არასამთავრობო ორგანიზაციის „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის“ ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, თემაზე: „რელიგია და კანონის უზენაესობა“. სამდღიან კონფერენციაში აგრეთვე მონაწილეობდნენ ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხეთის, გერმანიის, ყაზახეთის, მოლდოვას, პოლონეთის, უნგრეთისა და სინგაპურის წარმომადგენლები.

კონფერენციის პირველი სესია გახსნეს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ და „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის (IGE)“ ვიცე-პრეზიდენტმა, ჯეიმს ჩეინმა, რომელთაც ხაზი გაუსვეს კონფერენციის თემის აქტუალურობასა და მნიშვნელობას თანამედროვე მსოფლიოსთვის.

პირველი მოხსენებით, თემაზე - რელიგიის თავისუფლების გლობალური მიმოხილვა, კონფერენციის მონაწილეებს მიმართა ამერიკელმა ექსპერტმა, ნადინე მანუხამ, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ადამიანის უფლებებზე ისაუბრა პროფესორმა ელიზაბედ კლარკმა (აშშ), რელიგიის თავისუფლებასა და ეროვნულ უსაფრთხოებაზე - სამართლის პროფესორმა დოქტორ ერიკ ჯენსენმა (აშშ), საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების მრგვალი მაგიდის გლობალურ ქსელზე - გრეგ მიტჩელმა (აშშ).

რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა თემაზე: “რელიგიის თავისუფლების საფრთხეები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე”. მან ხაზი გაუსვა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე დარჩენილი ქართველი მოსახლეობის უმძიმეს ვითარებასა და სხვადასხვა რელიგიური კონფესიის საკულტო ნაგებობების, განსაკუთრებით, მართლმადიდებლური ტაძრების სავალალო მდგომარეობას, ქართული კვალის წაშლის მცდელობებს აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ და რელიგიის თავისუფლების კუთხით საქართველოში არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებმა.

კონფერენციის მეორე დღე რელიგიის სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დავით დავითაშვილის მოხსენებით გაიხსნა, რომელმაც საქართველოში რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზაზე ისაუბრა.

საქართველოში ადამიანის რელიგიური უფლებების დაცვის საკითხებზე ისაუბრეს: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორმა, გიორგი ოსაძემ, საქართველოს გენერალური პროკურატურის, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა, სალომე შენგელიამ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, თამარ როსტიაშვილმა.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვებზე მოხსენებით გამოვიდა, მარკ ჰილი (დიდი ბრიტანეთი). კონფერენციის ფორმატში, რელიგიისა და კანონის კვეთის პრაქტიკის თემაზე, გაიმართა ევროპული და აზიური პანელი. ევროპულ პანელში მონაწილეობა მიიღეს: დოქტორმა ეველია ოჩაბიმ (პოლონეთი), ვალერიუ ლილეჩიმ (მოლდოვა), მარკ აურელერ ზეგიმ (უნგრეთი) და დოქტორმა მარკ ჰილიმ (დიდი ბრიტანეთი). ხოლო აზიურ პანელში მონაწილეობდნენ: პროფესორი პაულ ლიუ (ჩინეთი), პროფესორი, ეუგენე ტანი (სინგაპური) და ბულატ სარსანბაევი (ყაზახეთი).

კონფერენციის ფარგლებში ორგანიზატორები და მონაწილეები საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, მიხეილ სარჯველაძეს ეწვივნენ. საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ასეთი ფორუმის ჩატარების მნიშვნელობას საქართველოში, რელიგიის სააგენტოს აქტიურ საქმიანობას რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის რელიგიური უფლებების დაცვის კუთხით. შეხვედრაზე სტუმრებმა გამოთქვეს ინიციატივა, რომ თბილისი საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების რეგიონული ჰაბი გახდეს, რასაც პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარისა და სააგენტოს მხარდაჭერა მოჰყვა და დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა.

საერთაშორისო კონფერენციის „რელიგია და კანონის უზენაესობა“ მესამე დღე ორგანიზაცია „გიყვარდეს შენი მეზობელი თემისა“ (LYNC) და ყაზახეთის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციით დაიწყო. უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთი დიდი ხანია, რაც თანამშრომლობს ამ ორგანიზაციასთან და სწორედ თბილისის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში შედგა LYNC-ყაზახეთის ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა. შემდგომ, ქალთა პარალელური ღონისძიების ანგარიში წარმოადგინა ჰალინა კუსაკმა.

## 11.2. საერთაშორისო კონფერენცია „სახელმწიფოს როლი ინტერრელიგიურ დიალოგში“

2023 წლის 27 სექტემბერს, სასტუმრო „ბილტმორში“ ქართულ-აზერბაიჯანული საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, თემაზე: „სახელმწიფოს როლი ინტერრელიგიურ დიალოგში“.

საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, მუბარიზ გურბანლიმ, აზერბაიჯანის ელჩმა საქართველოში, ფაიგ გულიევმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, ნიკო თათულაშვილმა, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მუფთმა სალმან მუსაევმა, რელიგიის სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით დავითაშვილმა, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხმა, რამინ იგიდოვმა. გამომსვლელებმა ისაუბრეს საქართველო-აზერბაიჯანის კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე, რელიგიის როლზე თანამედროვე მსოფლიოში არსებული გამოწვევების ფონზე, ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობაზე და სახელმწიფოს როლზე ინტერრელიგიურ დიალოგში.

კონფერენციის მეორე პანელი მიემდვნა ჰეიდარ ალიევის დაბადებიდან 100 წლისთავს. პანელის მონაწილეებმა ისაუბრეს აზერბაიჯანის პრეზიდენტის როლზე დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ფორმირებაში. პანელი შეაჯამეს ზაზა ვაშაყმაძემ და მუბარიზ გურბანლიმ.

## 12. საქველმოქმედო აქციები

რელიგიის სააგენტო საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების მხარდაჭერით სისტემატურად ატარებს საქველმოქმედო აქციებს სხვადასხვა რელიგიური თემების საჭიროებების მოსაგვარებლად. 2023 წელს განხორციელდა შემდეგი საქველმოქმედო აქციები:

2023 წლის 27 იანვარს, სსიპ ქ. თბილისის N 202-ე (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლას რელიგიის სააგენტოსა და თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენლები ეწვივნენ და 52 უსინათლო მოსწავლეს სააგენტოს მიერ ბრაილის შრიფტით გამოცემული ბიბლიის მეოთხე კანონიკური წიგნი - „რიცხვთა“ და ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდრები გადასცეს;

2023 წლის 7 თებერვალს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ბათუმის N3 პენიტენციურ დაწესებულების პატიმრებს საჩუქრად 300 ეგზემპლარი ახალი აღთქმა და ფსალმუნები გადასცა რელიგიის სააგენტოს რეგიონულმა წარმომადგენელმა აჭარის ა/რ-ში და საქართველოში ქრისტიანული ასოციაცია გედეონის წარმომადგენლებმა;

2023 წლის 21 აპრილს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომ ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს - თბილისის ჯუმა მეჩეთში მუსლიმი თემის წარმომადგენლებს რამადან ბაირამი მიულოცეს და ჰუმანიტარული დახმარება გადასცეს. სოციალურად დაუცველ ადამიანებს 500 ყუთი სხვადასხვა სახის საკვები დაურიგდათ;

2023 წლის 8 ნოემბერს, რელიგიის სააგენტოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსა და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა

ეკლესიების გაერთიანების ორგანიზებით თბილისში, ავჭალაში მდებარე დევნილთა განსახლების ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ მიერ მოწოდებული ჰუმანიტარული ტვირთი - ქალის, მამაკაცისა და ბავშვის 19 ყუთი ტანსაცმელი გადასცეს;

2023 წლის 17 ნოემბერს, რელიგიის სააგენტოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსა და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების ორგანიზებით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფოცხოში მცხოვრებ, აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ მიერ გადმოცემული ჰუმანიტარული დახმარება - ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმელი დაურიგდათ;

2023 წლის 27 დეკემბერს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ წალკის ეპარქიის მაცხოვრებლებს საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული ტვირთი - ქალის, მამაკაცისა და ბავშვის 25 ფუთა ტანსაცმელი და 20 ყუთი ტკბილეულობა გადასცეს;

2023 წლის 28 დეკემბერს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ გერმანიის საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული დახმარება - 20 ფუთა ტანსაცმელი და 20 სასაჩუქრე ყუთი-ტკბილეულობა მართლმადიდებელი ეკლესიის ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის სოფელ საირხის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს გადასცეს.

### 13. რელიგიის სააგენტოს სხვადასხვა შეხვედრები

#### 13.1. შეხვედრა ირანის ისლამური რესპუბლიკის დელეგაციასთან

2023 წლის 18 იანვარს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარე ირანის ისლამური რესპუბლიკის დელეგაციას შეხვდა, კერძოდ: აჰლ ბეითის მსოფლიო ასამბლეის გენერალურ მდივანს, აიათოლა რეზა რამეზანს, აჰლ ბეითის მსოფლიო ასამბლეის საერთაშორისო საქმეთა ხელმძღვანელის მოადგილეს, აბდოლრეზა რაშედის და აჰლ ბეითის მსოფლიო ასამბლეის დსთ-სა და თურქეთის სამმართველოს უფროსს, ჰასან სადეციანს. ირანელ სტუმრებთან ერთად, სააგენტოს ეწვივნენ ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მაჰმუდ ადიბი, კულტურის საკითხებში საელჩოს მრჩეველი, აჰმად ალი მეჰრი არდესტანი, აღმოსტაფას უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ჰასან იუსეფზადე და კულტურის განყოფილების თანამშრომელი, მაჰდი ზარე.

სააგენტოს თავმჯდომარემ სტუმრებს გააცნო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობები. მან ხაზი გაუსვა ისლამის ქართულ ფენომენს, შიიტი და სუნიტი მუსლიმების ჰარმონიულ და მშვიდობიან თანაარსებობას საქართველოში და ამის ნათელ მაგალითად მათი ერთ მეჩეთში ლოცვა მოიყვანა.

სტუმრები დაინტერესდნენ რელიგიის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტებით და ინტერრელიგიური სათათბიროს საქმიანობით. მათ მადლობა გადაუხადეს სააგენტოს თავმჯდომარეს მიღებისათვის და იმედი გამოთქვეს, რომ საქართველოში სხვადასხვა რელიგიებს შორის არსებული თანამშრომლობა მაგალითი გახდება სხვა ქვეყნებისთვისაც.

### 13.2. შეხვედრა ამერიკულ რელიგიურ ორგანიზაციასთან

2023 წლის 23 იანვარს, მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის (IGE) წარმომადგენელს, ვეიდ კუსაკს შეხვდა, რომელმაც სააგენტოს თავმჯდომარეს მოკლედ გააცნო IGE-ს საქმიანობა, რომელიც აძლიერებს რწმენის თავისუფლებას მთელს მსოფლიოში, და ყველას აძლევს შესაძლებლობას იცხოვროს ისე, როგორც სწამს. ვეიდ კუსაკი ამავდროულად, არაკომერციული ორგანიზაცია „გიყვარდეს შენი მეზობელი თემის“ (LYNC) დამფუძნებელი და პრეზიდენტი, რომელიც მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და რელიგიურ თემებთან პარტნიორობით ხელს უწყობს რელიგიის თავისუფლებას აღმოსავლეთ ევროპაში.

### 13.3. რელიგიის სააგენტოს შეხვედრა „ლიმუდის“ წარმომადგენლებთან

2023 წლის 30 იანვარს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ ებრაული ორგანიზაცია „ლიმუდის“ წარმომადგენლებს უმასპინძლა. სტუმრებმა ისაუბრეს ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო კონფერენციის, „ლიმუდი“, შესახებ, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან სესიებს, სემინარებს, შეხვედრებს სხვადასხვა ასაკის ადამიანებისათვის. „ლიმუდი“ იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების ებრაულ თემებში, როგორებიცაა ნიუ-იორკი, ტორონტო, კიევი, ბაქო, იერუსალიმი, ლონდონი, სიდნეი.

თავის მხრივ სააგენტოს თავმჯდომარემ სტუმრებს რელიგიის სააგენტოს ჩამოყალიბებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და განსაკუთრებული ყურადღება ქართულ-ებრაულ უნიკალურ ურთიერთობებზე გაამახვილა.

### 13.4. რელიგიის სააგენტოს სტუმრობა „ხსნის არმიის“ იუბილეზე

2023 წლის 14 ოქტომბერს, „ხსნის არმიამ“ საქართველოში მსახურების 30 წლისთავი აღნიშნა. იუბილესთან დაკავშირებით გამართულ მიღებაზე იმყოფებოდნენ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს წარმომადგენლები და აღმოსავლეთ ევროპის ლიდერები.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ ორგანიზაციას იუბილე მიულოცა, კმაცოფილება გამოთქვა რელიგიის სააგენტოსა და „ხსნის არმიას“ შორის ურთიერთობების გაღრმავების თაობაზე და მათ ინტერრელიგიური სათათბიროს ფორმატში თანამშრომლობის წინადადებით მიმართა.

ამავე წლის 2 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე საქართველოში „ხსნის არმიის“ წარმომადგენლებს შეხვდა.

„ხსნის არმიის“ წარმომადგენლობის დირექტორმა, კაპიტანმა რევაზ ბახტაძემ და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერმა, მაიორმა სოფიო ბახტაძემ რელიგიის სააგენტოს თავიანთი ორგანიზაციის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების შესახებ უამბეს. თავის მხრივ, სააგენტოს თავმჯდომარემ სტუმრებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობა, საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა გააცნო და განაცხადა, რომ მოხარული იქნება, „ხსნის არმია“ ინტერრელიგიური სათათბიროს წევრთა შორის იხილოს. სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს სააგენტოს თავმჯდომარეს მიღებისთვის და რელიგიის სააგენტოსთან ინტენსიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

### 13.5. შეხვედრა საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების ახლადარჩეულ თავმჯდომარესთან

2023 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების ახლადარჩეულ თავმჯდომარეს, ეპისკოპოსს ანერი გიუნაშვილს შეხვდა და ეპისკოპოსად არჩევა მიულოცა. ეპისკოპოსმა მადლობა გადაუხადა რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარეს მასპინძლობისთვის და სააგენტოსთან ინტერრელიგიური სათათბიროს ფორმატში თანამშრომლობისთვის მზადყოფნა აღუთქვა.

საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების ახალი ეპისკოპოსი საერთაშორისო კონფერენციაზე აირჩიეს, რომელშიც სომხეთის, ესტონეთის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, ლიეტუვის, ისრაელის, გერმანიის ბაპტისტური ეკლესიების წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ხელმძღვანელობა მონაწილეობდნენ.

### 13.6. შეხვედრა სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ეპისკოპოსთან

2023 წლის 1 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ახლად არჩეულ ეპისკოპოსს, კირაკოს დავითიანს შეხვდა და ეპისკოპოსად არჩევა მიულოცა. ეპისკოპოსმა თავის მხრივ მადლობა გადაუხადა სააგენტოს თავმჯდომარეს მასპინძლობისთვის.

### 13.7. შეხვედრა საქართველოს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ხელმძღვანელთან

2023 წლის 6 ნოემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქართველოს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ხელმძღვანელი ღვთისმსახური ბორის ჭარაია ეწვია. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე სტუმარი გაეცნო ინფორმაციას სააგენტოს შექმნის, მიზნების, ამოცანების, განხორციელებული პროექტებისა და სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს შესახებ. სტუმარმა თავის მხრივ ისაუბრა მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის საქმიანობაზე საქართველოში. შეხვედრის დასასრულს გამოითქვა სურვილი, აღნიშნული ორგანიზაცია გაერთიანდეს ინტერრელიგიურ სათათბიროში და მიიღოს აქტიური მონაწილეობა მის საქმიანობაში.

### 13.8. რელიგიის სააგენტო ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სინოდის სხდომაზე

2023 წლის 25 ნოემბერს, თბილისის შერიგების ეკლესიაში, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის VII სინოდის მე-2 სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოს, აზერბაიჯანისა და გერმანიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიების მაღალი რანგის სასულიერო პირები ესწრებოდნენ.

სინოდის სხდომაზე მოისმინეს თბილისის შერიგების ეკლესიის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლების მოხსენებები, სიახლეები ცალკეული სამრევლოებიდან. დასასრულს კი, დახურულ ფორმატში განიხილეს 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა.

ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსის, როლფ ბარაისის მოწვევით, სინოდის სხდომის პირველ ნაწილში, რომელსაც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ხაზი გაესვა საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიისა და რელიგიის სააგენტოს წარმატებულ თანამშრომლობას ინტერრელიგიური სათათბიროს ფორმატში.

### 13.9. საკათედრო ტაძრის გახსნა ჭიათურაში

2023 წლის 13 დეკემბერს, ჭიათურაში, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საკათედრო ტაძარი გაიხსნა. საზეიმო მსახურებას უძღვებოდა და ტაძარი აკურთხა ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი). ღვთისმსახურებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები.

მიტროპოლიტმა დანიელმა განსაკუთრებულად აღნიშნა სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ტაძრის მშენებლობაში და მხარდაჭერისთვის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა.

### 13.10. შეხვედრა ახლადარჩეულ შეიხთან

2023 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარეს, ზაზა ვაშყმაძესა და საქართველოს მუსლიმთა

სამმართველოს ახლადარჩეულ შეიხს, ფაიგ ნაბიევს შორის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

სააგენტოს თავმჯდომარემ შეიხს გააცნო რელიგიის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტები და მათში მუსლიმი თემის, როგორც შიიტური, ისე სუნიტური მიმართულებების წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობა. მან ასევე, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს მხრიდან მუსლიმი თემისთვის გაწეულ დახმარებაზე და აღნიშნა, რომ ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება. მუსლიმთა სამმართველოს შეიხმა, ფაიგ ნაბიევმა თავის მხრივ მაღლობა გადაუხადა ზაზა ვაშაყმაძეს მასპინძლობისთვის.

## 14. შეხვედრები კოლეგა ორგანიზაციებთან

2023 წლის 25 სექტემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ და აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, მუბარიზ გურბანლიმ.

შეხვედრაზე, რომელსაც კოლეგა-ორგანიზაციების წარმომადგენლები და სასულიერო პირები ესწრებოდნენ, განიხილეს ორ სტრუქტურას შორის თანამშრომლობის ასპექტები, საქართველოში მუსლიმი თემისა და აზერბაიჯანში მცხოვრები მართლმადიდებელი მრევლის რელიგიური უფლებრივი მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები.

## 15. ვიზიტები საზღვარგარეთ

### 15.1. ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ტრადიციად ამკვიდრებს გიორგობის დღესასწაულების (6 მაისი და 23 ნოემბერი) აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში აღნიშვნას.

2023 წლის 6 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში დელეგაცია გაემგზავრა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს, პარლამენტის, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, კახეთის გუბერნიისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები.

დელეგაციის წევრები კახის რაიონის სოფელ კახინგილოს წმ. გიორგის სახელობის ტაძარს ეწვივნენ, სადაც სადღესასწაულო წირვა მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) და კახის წმ.

გიორგის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა პეტრე ხუმარაშვილმა ადავლინეს. წირვის დასრულების შემდეგ, მართლმადიდებელ მრევლს რელიგიის სააგენტომ 50 ბიბლია გადასცა.

დელეგაციის წევრები ასევე ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ტაძარს ეწვივნენ, სადაც პარაკლისი ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) გადაიხადა.

## 15.2. საქართველოს დელეგაცია კახში

2023 წლის 23 ნოემბერს, რელიგიის საკითხთა სახელწიფო სააგენტომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში მცხოვრებ თანამემამულეებთან ერთად გიორგობის დღესასწაული აღნიშნა. 120 წევრიანი დელეგაცია საქართველოს საპატრიარქოს, მუსლიმთა სამმართველოს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს საკრებულოსა და მერიის, რელიგიის სააგენტოს წარმომადგენელთა შემადგენლობით კახის რაიონში ჩავიდა.

დელეგაციის წევრები კახის რაიონის სოფელ კახ-ინგილოს წმ. გიორგის ეკლესიას ეწვივნენ, სადაც სადღესასწაულო პარაკლისი ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითმა მმართველმა, თეოდორემ (ჭუაძე) ადავლინა. წირვის დასრულების შემდეგ, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ და სააგენტოს თანამშრომლებმა კახში მცხოვრებ მართლმადიდებლებს საჩუქრად 150 ბიბლია გადასცეს.

კახის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი სადღესასწაულო წირვის შემდეგ, დელეგაციის წევრები ქურმუხის წმ. გიორგის ტაძარს ეწვივნენ, სადაც სადღესასწაულო პარაკლისი ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) და მღვდელმა პეტრე ხუმარაშვილმა ადავლინეს. რელიგიის სააგენტოს თანამშრომლებმა ადგილობრივ ქართველ მართლმადიდებლებს საჩუქრად ბიბლიები დაურიგეს.

2023 წლის 24 ნოემბერს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მყოფი რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე ბელაქნის რაიონის სოფელ ითითალაში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას შეხვდა და სოფლის საშუალო სკოლა მოინახულა, სადაც 380 ბავშვი სწავლობს, რომელთაგან 158 - ქართულ სექტორზეა. სააგენტოს თავმჯდომარე ბელაქნის რაიონის გამგებელთან და სოფლის რწმუნებულთან ერთად შეხვდა სკოლის დირექტორს, ქართული სექტორის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რომელთაც გააცნეს სკოლის საქმიანობა და არსებული გამოწვევები.

2023 წლის 24 ნოემბერს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის რაიონის სოფელ ითითალაში რელიგიის სააგენტოს დელეგაციამ ჯუმა მეჩეთი მოინახულა, სადაც ქართველ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შეხვდა და იქ შეკრებილ მუსლიმ მრევლს ქართულ ენაზე გამოცემული ყურანი, ქრისტიან მრევლს კი ბიბლია დაურიგა.

შეხვედრაზე რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა საქართველოში არსებული ტოლერანტული გარემოს თაობაზე და იმ მხარდაჭერასა და ფინანსურ დახმარებაზე, რასაც ქართული სახელმწიფო საქართველოს მოქალაქე მუსლიმების მიმართ იჩენს. შეხვედრას ესწრებოდნენ ბელაქნის რაიონის გამგებელი, სოფლის რწმუნებული და სკოლის დირექტორი.

### 15.3. ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში

2023 წელს 30 მაისიდან 12 ივნისამდე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია, სააგენტოს თავმჯდომარის, ზაზა ვაშაყმაძისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დავით დავითაშვილის შემადგენლობით, ამერიკის შეერთებულ შტატებს სტუმრობდა და შემდეგი შეხვედრები გამართა:

2023 წლის 31 მაისს - ჯორჯიის შტატის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ჯორჯიის მთავრობაში ქრისტიანული კონფერენციის ლობისტ მაიკ გრიფინთან, რომელმაც ქართულ მხარეს გააცნო რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ამერიკული პრაქტიკა ჯორჯიის შტატის მაგალითზე. თავის მხრივ რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებების შესახებ;

2023 წლის 1 ივნისს - ტეხასის პოლიციის კაპელანთან, ბაპტისტური ეკლესიის პასტორთან, დოქტორ კლიფტონ კუმინგთან, რომელმაც სტუმრებს დეტალურად გააცნო ინფორმაცია პოლიციის კაპელანების გადამზადებისა და კანდიდატების მიმართ არსებული კრიტერიუმების შესახებ. თავის მხრივ, სააგენტოს თავმჯდომარემ პასტორ კუმინგს გააცნო რელიგიის სააგენტოს აქტივობები საქართველოში კაპელანური მსახურების დანერგვისთვის;

2023 წლის 2 ივნისს - ჯორჯიის შტატის ქ. ატლანტის შერიფის მთავარ კაპელანთან ალექს გერასიმოვთან და ატლანტის პოლიციის კაპელანთან უკრაინის სამართალდამცავების კაპელანური მსახურების „Patrol Chaplain“-ის უფროსთან, „გლობალური ქრისტიანული მხარდაჭერის“ პრეზიდენტ იაროსლავ მალკოსთან. ატლანტის შერიფის მთავარმა კაპელანმა, ალექს გერასიმოვმა, სააგენტოს დელეგაციასთან საკუთარი პრაქტიკიდან კონკრეტული საქმეები განიხილა;

2023 წლის 3 ივნისს - ამერიკის ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტის სამხედრო ჰოსპიტალის კაპელანთან, ოლგა ვესტვალთან, რომელმაც დეტალურად გააცნო სააგენტოს დელეგაციას ინფორმაცია სამხედრო კაპელანების შერჩევის, მათი გადამზადების, საქმიანობის პრაქტიკისა და მსახურების მნიშვნელობის შესახებ;

2023 წლის 5 ივნისს - ბილი გრემის ორგანიზაციის საერთაშორისო დირექტორთან, სწრაფი რეაგირების კაპელანთა ჯგუფის ხელმძღვანელთან, ჯომ ჰოლანდთან, დირექტორის მოადგილესთან, სამართალდამცავი ორგანოების კაპელანთან, ერიკ ჰუბარდთან და სამართალდამცავი ორგანოების კაპელანთა მენეჯერთან, ლეიტენანტ დევიდ რუტლეჯთან. დირექტორთა საბჭომ რელიგიის სააგენტოს დელეგაციას გააცნო ორგანიზაციის საქმიანობა, მათი კაპელანების მსახურების სხვადასხვა სფეროები, მათ შორის პოლიციელებთან, შერიფის

განყოფილებებთან და სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან კაპელანური მსახურების სპეციფიკა;

2023 წლის 6 ივნისს - ქ. შარლოტის (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) პოლიციის უფროსთან, პოლკოვნიკ ჯონი ჯენინგსთან, პოლიციის უფროსის მოადგილესა და პოლიციის აკადემიის ხელმძღვანელთან, მაიორ დეივ ჯონსონთან და მთავარ კაპელანთან, კაპელანების გადამზადების ცენტრის ხელმძღვანელთან, თეო შაფერთან, რომელთაც ისაუბრეს კაპელანების როლსა და მნიშვნელობაზე პოლიციის საქმიანობაში;

2023 წლის 7 ივნისს - საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების მრგვალი მაგიდის თანათავმჯდომარესთან, გრეგ მიტჩელთან, გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტთან, ჯეიმს ჩენტან და გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერთან, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართულების ხელმძღვანელთან, ვეიდ კუსაკთან, რომელთაც სააგენტოს დელეგაციას დეტალურად გააცნეს ორგანიზაციების საქმიანობა და განხორციელებული აქტივობები. შეხვედრაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდა საქართველოს საელჩოს კონსული ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლევან ხურციძე, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა საქართველოში არსებული რელიგიური თემებისა და სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის შესახებ;

2023 წლის 7 ივნისს - ევრაზიული ებრაელობის მხარდამჭერი ნაციონალური კოალიციის (NSCEJ) აღმასრულებელ ვიცე-თავმჯდომარესთან, მარკ ლევინთან და ორგანიზაცია ბ'ნაი ბ'რითის ინტერნაციონალის აღმასრულებელ დირექტორთან, დანიელ მარიაშინთან. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქართულ-ებრაული ურთიერთობის უნიკალურობას;

2023 წლის 8 ივნისს - ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების საგანგებო დავალებათა ელჩთან, რაშად ჰუსეინთან. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებების მიმართულებით ქართულ-ამერიკულ სტრატეგიულ თანამშრომლობაზე. შეხვედრაზე ხაზი გაესვა სააგენტოსა და ამერიკის საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების ოფისს შორის თანამშრომლობის ისტორიას, რომელიც სათავეს სააგენტოს შექმნიდან, 2014 წლიდან იღებს და მისი გაგრძელების მნიშვნელობას, სამომავლო გეგმებს. შეხვედრას ესწრებოდნენ: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდან - საგანგებო დავალებათა ელჩის მოადგილე, საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების ოფისის წარმომადგენელი, კარსონ რელიჯ როკერი, საგარეო საქმეთა ოფიცერი, საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების ოფისის წარმომადგენელი, რობინ შულმანი, საქართველოს დესკ-ოფიცერი, სიუზანა ვუდი; აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტიდან - გენერალური პროკურორის თანაშემწის მოადგილე, ჯონათან სმითი, უფროსი მრჩეველი, გენერალური პროკურორის თანაშემწის ოფისის წარმომადგენელი, რობერტ ვაინერი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, დავით ზალკალიანი, კონსული, სოფია ბალანჩივაძე;

2023 წლის 9 ივნისს - ამერიკის შეერთებული შტატების შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის სამოქალაქო უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების ოფიცერთან, პროგრამების ხელმძღვანელის მოადგილესთან, პიტერ მინასთან, საზოგადოებრივი ჩართულობის განყოფილების პოლიტიკის უფროს მრჩეველთან, ჯენიფერ ატალთან და პროგრამის

განყოფილების უფროსთან, რეზეკა ტოსადთან. მათ სააგენტოს დელეგაციას გააცნეს საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტის საქმიანობის სპეციფიკა და დეტალები. აგრეთვე, ისაუბრეს ამერიკაში ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზმის პრევენციის პროგრამებზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, დესპანი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხათუნა კვესელავა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს უფროსი კონსული, შალვა ბურდული;

2023 წლის 12 ივნისს - საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების საკითხებში (USCIRF) ამერიკის შეერთებული შტატების კომისართან, ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველთან რელიგიის საკითხებში, ფრედერიკ დეივთან, USCIRF-ის აღმასრულებელ დირექტორთან, ერინ სინგვინსუკთან, USCIRF-ის პოლიტიკის უფროს ანალიტიკოსთან, კილი ბაკკენტან და USCIRF-ის მსხვერპლთა სიისა და ხელმისაწვდომობის სპეციალისტთან, დილან შექსნაიდრესთან. მასპინძლების განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დარღვევის ფაქტებმა და ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის მხრიდან ეთნიკურმა და რელიგიურმა დისკრიმინაციამ. საუბარი ასევე, შეეხო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებს. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საელჩოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, დესპანი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხათუნა კვესელავა და საქართველოს საელჩოს უფროსი კონსული ამერიკის შეერთებულ შტატებში, შალვა ბურდული.

#### 15.4. ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში

2023 წლის 17-19 ივლისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია, თავმჯდომარის, ზაზა ვაშაყაძის, სტრატეგიული კვლევის, ანალიზისა და რეგიონების სამსახურის ანალიტიკოსის, გიორგი პატაშურისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტის, ალექსანდრე შეყილაძის შემადგენლობით, სომხეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დელეგაცია შეხვდა:

2023 წლის 18 ივლისს - სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მრჩეველს, არტაშეს თუმანიანს. შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში, გიორგი შარვაშიძე და საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი, შალვა საბაური, სააგენტოს თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრის მრჩეველს გააცნო საქართველოს სახელმწიფოს რელიგიის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციების, მათ შორის, სომხური თემისადმი მხარდაჭერის ღონისძიებები. პრემიერ-მინისტრის მრჩეველთან საუბრისას დაისვა საკულტო ნაგებობების გადაცემის, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

2023 წლის 19 ივლისს - სომხური სამოციქულო ეკლესიის პატრიარქს, ყოველთა სომეხთა კათალიკოსს, გარეგინ მეორეს. შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში, გიორგი შარვაშიძე და საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი, შალვა საბაური, სააგენტოს თავმჯდომარემ

ისაუბრა საქართველოს სახელმწიფოს რელიგიის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე. ამასთან, სააგენტოს თავმჯდომარემ გარეგინ მეორეს გააცნო ქართული მხარის პოზიცია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სომხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირების, კულტურის მეგობის თაობაზე და ყურადღება გამახვილდა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე.

2023 წლის 19 ივლისს, სომხეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაციამ, ახტალის ქართული მონასტერი მოინახულა.

## 16. შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ტრადიციულად აქტიურად თანამშრომლობს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მართავს გაცნობითი და სამუშაო ხასიათის შეხვედრებს და აცნობს მათ სააგენტოს საქმიანობას, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებს. 2023 წელს შემდეგი შეხვედრები გაიმართა:

- საქართველოში დანიის სამეფოს პირველ რეზიდენტ ელჩთან ანე ტოფტ სორენსენთან - 18.01.2023;
- საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს რელიგიის ატაშესთან, აჰმედ ერდემთან - 02.02.2023;
- საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებთან, კრისტინა პფლანცსთან, მედეა ქოჩორაძესთან და ჯონათან პინოლისთან - 07.02.2023;
- საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ფაიგ გულიევთან - 17.02.2023;
- საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ქალბატონ შერაზ გასრისთან - 20.02.2023;
- საქართველოში საუდის არაბეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, სალმან ბინ აბდულრაჰმან ალ ალ-შეიხთან - 17.03.2023;
- საქართველოში წმინდა საყდრის (ვატიკანი) საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, არქიეპისკოპოს ჟოზე აველინო ბეტანკურთან - 28.04.2023;
- საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან, დიმიტრიოს კარაბალისთან - 17.05.2023;
- საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ალი ქაან ორბაისთან და თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის ატაშესთან, მაჰმუთ გოლისთან - 19.06.2023;
- საქართველოში კატარის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ჰასან ბინ აჰმად ალ-მუტავასთან - 18.08.2023;
- საქართველოში არაბთა გაერთიანებული საამიროების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, აჰმად ან-ნუაიმისთან - 12.09.2023.

## 17. მედიასთან ურთიერთობა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს ღია და გამჭვირვალე ურთიერთობას მედიასთან.

სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთულია რელიგიის სააგენტოს ნებისმიერი პუბლიკაცია, ინტერრელიგიური კალენდარი და რელიგიური რუკები. ინფორმაცია სააგენტოს წარმომადგენელთა ნებისმიერი აქტივობის შესახებ, იქნება ეს შეხვედრები, ვიზიტები, კონფერენციები, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა იტვირთება სააგენტოს ვებგვერდზე, „ფეისბუქზე“, „ტვიტერზე“, შუქდება და ვრცელდება მედიასამუშაოლებით, ასევე, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მეშვეობით.

2023 წელს, სააგენტოს ვებგვერდსა და „ფეისბუქზე“ გავრცელდა 200 ინფორმაცია თავისი ფოტომასალით; „ტვიტერით“ გავრცელდა 40 ინგლისურენოვანი ინფორმაცია; 194 ინფორმაცია საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მეშვეობით; სხვადასხვა ტელევიზიების საინფორმაციო პროგრამებში გაშუქდა რელიგიის სააგენტოს 51 ღონისძიება.

## 18. დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში

**დანართი - სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხარჯების შესახებ ინფორმაცია**

2023 წელს ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გაფორმებულია 44 (ორმოცდაოთხი) ხელშეკრულება, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერით 13 (ცამეტი) ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით 5 (ხუთი) ხელშეკრულება, ხოლო გამარტივებული შესყიდვით 26 (ოცდაექვსი) ხელშეკრულება.

ყოველთვიურად ელექტრონულად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილია ელექტრონული დეკლარაციები.

ყოველ კვარტალურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ელექტრონულად (<https://www.ebudget.ge/>) წარდგენილია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონულად ატვირთულია გეგმა (EPLAN), ყველა ხელშეკრულება და ყველა ხელშეკრულების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც CMR-ზე, ასევე SPA-ზე.

განხორციელდა 6 (ექვსი) ელექტრონული ტენდერი. ატვირთულია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ტექნიკური დოკუმენტაცია, შესაბამისი ოქმები, ხელშეკრულებები, შესრულებები და გადახდები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირებულია 44 (ორმოცდაოთხი) ადმინისტრაციული ხელშეკრულება (ორგანიზაციული კოდი 5001) და 4 (ოთხ) სხვადასხვა რელიგიურ წარმომადგენლობებთან (ორგანიზაციული კოდი 5002)

გაფორმებული ხელშეკრულებები (სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო (1), სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი (1), სსიპ სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია (1) და სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია (1)).

## 19. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა 2023 წელი	საკასო შესრულება	შესრულების პროცენტული მაჩვენებელი საკასო შერულების დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში
<b>50 00</b>	<b>სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო</b>			
	ჯამური	6,450,000.00	6,421,406.12	99.56%
2	ხარჯები	6,440,000.00	6,411,617.12	99.56%
2.1	შრომის ანაზღაურება	715,000.00	693,004.76	96.92%
2.2	საქონელი და მომსახურება	223,500.00	217,170.36	97.17%
2.5	სუბსიდიები	5,500,000.00	5,500,000.00	100.00%
2.8	სხვა ხარჯები	1,500.00	1,442.00	96.13%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,000.00	9,789.00	97.89%
<b>50 01</b>	<b>სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო-ადმინისტრაცია</b>			
	ჯამური	950,000.00	921,406.12	96.99%
2	ხარჯები	940,000.00	911,617.12	96.98%
2.1	შრომის ანაზღაურება	712,000.00	693,004.76	97.33%
2.2	საქონელი და მომსახურება	226,500.00	217,170.36	95.88%
2.8	სხვა ხარჯები	1,500.00	1,442.00	96.13%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,000.00	9,789.00	97.89%
<b>50 02</b>	<b>რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება</b>			
2	ხარჯები	5,500,000.00	5,500,000.00	100.00%
2.5	სუბსიდიები	5,500,000.00	5,500,000.00	100.00%

## 20. ინფორმაცია მივლინების შესახებ

მივლინება	ხარჯი (ლარი)
მივლინება ქვეყნის შიგნით	2820
მივლინება ქვეყნის გარეთ	30350

სულ მივლინების ხარჯი	33170
----------------------	-------

## 21. რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება

დასახელება	2023 წელი ბიუჯეტი
სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო	3,350,000
სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია	650,000
სსიპ სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია	1,000,000
სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი	500,000
სულ	5,500,000

## 22. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი		
საგრანტო ხელშეკრულების ნომერი	FR-22-21090	2023 წლის საკასო ხარჯი ლარი
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	10.03.2023	
ხარჯვის კატეგორიები	გრანტის ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული ასიგნება  პირველი ტრანში	
- ჯამი	45640	33785
01 - ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება	39960	29970
02 - დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება	4980	3320
04 - საქონელი და მომსახურება	700	495

### 23. ინფორმაცია კორესპონდენციის შესახებ

კორესპონდენცია	რაოდენობა
შემოსული წერილები	362
გასული წერილები	831
სამართლებრივი აქტები	262
შიდა დოკუმენტები	196

# რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო 2024 წლის ანგარიში

## სარჩევი

1.საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2024-2026 წწ.....	57
1.1. ტრენინგები სასულიერო პირებისათვის .....	57
1.2. საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისათვის დაბრუნების პროცესი	58
2. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით.....	58
2.1. ყოველწლიური გამოცემა „ინტერრელიგიური კალენდარი“ .....	58
3. შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა.....	58
3.1.ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი ...	59
3.2. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი კანონიკური წიგნები .....	59
4. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან .....	59
4.1. პრემიერ - მინისტრის სახელით მუსლიმი თემისთვის გამართული იფტარი .....	59
4.2. საქართველოს მთავრობის მეთაური ხანუქაზე .....	60
5. ინტერრელიგიური სათათბირო.....	60
6. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში .....	62
7. რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია.....	63
7.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები.....	63
8. რელიგიის სააგენტოს პუბლიკაციები.....	66
9. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე .....	66
10. პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“ .....	67
11. საერთაშორისო კონფერენციები .....	67
11.1. საერთაშორისო კონფერენცია: „რელიგიური განათლების როლი თანამედროვე გლობალური გამოწვევების დასაძლევად“ .....	67
11.2. საერთაშორისო კონფერენცია გერმანიაში .....	688
11.3.საქართველოს ეროვნული არქივის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ..	688

12.	საქველმოქმედო აქციები.....	69
13.	საქართველოს მესამე გუნდური ინტერრელიგიური ჩემპიონატი ჭადრაკში.....	72
14.	ვიზიტები საზღვარგარეთ.....	72
	14.1. ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში .....	72
	14.2. ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.....	73
	14.3. ვიზიტი უნგრეთში.....	74
15.	მემორანდუმების გაფორმება.....	74
	15.1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება შპს "ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქსთან" .....	74
	15.2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება შპს „ჯეო ჰოსპიტალსთან“ .....	75
16.	რელიგიის სააგენტოს სხვადასხვა შეხვედრები .....	75
	16.1. შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელთან.....	75
	16.2. შეხვედრა სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან .....	75
	16.3. შეხვედრა საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს დელეგაციასთან.....	76
	16.4. შეხვედრა ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან.....	76
	16.5. შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის დელეგაციასთან .....	76
	16.6. შეხვედრა ეზიდური თემის წარმომადგენლებთან .....	77
	16.7. შეხვედრა საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ქალ წარმომადგენლებთან.....	77
	16.8. შეხვედრა სახალხო დამცველთან.....	77
	16.9. იმამ ჰასანის სახელობის მეჩეთის გახსნა .....	78
	16.10. შეხვედრა საქართველოში საინტოლოგიური ეკლესიის წარმომადგენლებთან.....	78
	16.11. შეხვედრა აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენელთან.78	
	16.12. შეხვედრა ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის VII სინოდის მე-4 სხდომის წევრებთან. ....	79
17.	შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან .....	79
18.	მედიასთან ურთიერთობა .....	80
19.	დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში.....	80
20.	ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....	81
21.	ინფორმაცია მივლინების შესახებ .....	82

22.	რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება .....	82
23.	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი .....	83
24.	ინფორმაცია კორესპონდენციის შესახებ .....	84

## 1. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2024-2026 წწ.

სახელმწიფო, შესაბამისად რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ხელმძღვანელობს „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით“ და ამ სტრატეგიის შესაბამისი, წლების მიხედვით დამტკიცებული „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით“.

2024-2026 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში (მიზანი 9. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფა და სეკულარიზმის პრინციპების შემდგომი განმტკიცება), სააგენტო სისტემატურად ატარებდა ღონისძიებებს ტოლერანტობისა და არადისკრიმინაციული გარემოს მხარდასაჭერად. ამასთანავე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველსაყოფად და სეკულარიზმის პრინციპების განსამტკიცებლად საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

### 1.1. ტრენინგები სასულიერო პირებისათვის

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის 9.1.2. პუნქტის (რელიგიისა და რწმენის თავისუფლების და მისი გარანტიების შესახებ ცნობიერების ამაღლების ტრენინგები საქართველოში რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის) შესაბამისად, 2024 წლის 5 მარტს რელიგიის სააგენტომ და არასამთავრობო ორგანიზაცია „კულტურული მრავალფეროვნების ჰარმონიული განვითარების ცენტრთან“ ერთად ყვარელში, გამართა შეხვედრა თემაზე „ადამიანთა ფსიქოლოგიური დამოკიდებულება - ალკოჰოლიზმი და აზარტომანია. პრობლემის დანახვა, პრევენცია და დამლევის გზები“. საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ხელშეწყობით გამართულ ტრენინგში მონაწილეობდნენ საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს სასულიერო პირები და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მარნეულისა და ჰუჯაბის, ბოლნისის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე, რომლის მიზანი იყო საქართველოს ქრისტიანი და მუსლიმი სასულიერო პირების მიერ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და რელიგიებს შორის მშვიდობიანი, ჰარმონიული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, მოხსენებით გამოვიდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურისტი, ალექსანდრე შეყილაძე. მან ისაუბრა რელიგიების როლზე ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზების საქმეში. შეხვედრის მონაწილე მუსლიმმა და ქრისტიანმა სასულიერო პირებმა იმსჯელეს სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე.

## 1.2. საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისათვის დაბრუნების პროცესი

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის 9.1.6. პუნქტის (საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისათვის დაბრუნების პროცესის გაგრძელება) შესაბამისად, საანგარიშო წლის პერიოდში მუსლიმ თემს დაუბრუნდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ჩამორთმეული 18 საკულტო ნაგებობა და მიწის ნაკვეთი.

## 2. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

### 2.1. ყოველწლიური გამოცემა „ინტერრელიგიური კალენდარი“

2024 წელს ტრადიციულად გამოიცა ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი, რომელშიც ასახულია საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი რელიგიური თემის (სულ 13) - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ებრაული, კათოლიკე, მუსლიმი, სომეხთა სამოციქულო, სულიერ ქრისტიანთა-მოლოკანი, ეზიდი, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-პროტესტანტული, ბაპტისტური თემების, სახარების რწმენის ეკლესიისა და საქართველოში „ხსნის არმიის“ რელიგიური დღესასწაულები.

კალენდარი 2014 წლიდან გამოიცემა და ვრცელდება არა მხოლოდ რელიგიურ თემებში, არამედ, ყველა საჯარო უწყებაში, საჩუქრად გადაეცემა საქართველოში აკრედიტირებულ ქვეყნების დიპლომატებს, ქართული საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს.

## 3. შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად და შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინკლუზიური ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, რელიგიის სააგენტომ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა 2024 წლისთვის. დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რომლებიც 2024 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. სამოქმედო გეგმის მიხედვით, საანგარიშო წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი აქტივობები:

### 3.1. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი

უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ მოქალაქეთა მხარდასაჭერად, 2024 წელს ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა ინტერრელიგიური კალენდარი, რომელიც გადაეცა სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლას და საქართველოს უსინათლოთა კავშირს.

### 3.2. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი კანონიკური წიგნები

რელიგიის სააგენტო საქართველოს უსინათლოთა კავშირის წევრთა სურვილის გათვალისწინებით 2020 წლიდან, ბრაილის შრიფტით გამოსცემს ბიბლიის წიგნებს.

2024 წელს, გამოიცა ძველი აღთქმის მეხუთე კანონიკური წიგნი „მეორე რჯული“, რომელიც გადაეცა სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლას და საქართველოს უსინათლოთა კავშირს.

## 4. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით და რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლები, ტრადიციულად ესწრებიან საქართველოს ისტორიული რელიგიების უმთავრეს დღესასწაულებს, მათ შორის – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდეს დღესასწაულებს – აღდგომას, შობასა და სვეტიცხოვლობას; მუსლიმი თემის მთავარ დღესასწაულებს და ტრადიციულად რამადანის მარხვასთან დაკავშირებით იფტარის ვახშამს მართავს მუსლიმი სასულიერო პირებისათვის; პრემიერ-მინისტრი ებრაელთა თემის ხანუქას დღესასწაულზე, სინაგოგაში, სიმბოლურად, პირველ სანთელს ანთებს. ასევე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რეგულარულად ხვდება სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებს და ესწრება მათ უმთავრეს რელიგიურ დღესასწაულებს, წლიურ ანგარიშებს, საქველმოქმედო აქციებს, კონფერენციებს, განიხილავს მათგან შემოსულ მიმართვებსა და განცხადებებს და ეხმარება საჭიროებების მიხედვით.

### 4.1. პრემიერ - მინისტრის სახელით მუსლიმი თემისთვის გამართული იფტარი

2024 წლის 29 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მთავრობის სახელით, რამადან ბაირამთან დაკავშირებით მუსლიმი თემის წარმომადგენლებისთვის ტრადიციული იფტარი გამართა და მათ რამადანის თვე მიულოცა. პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებულად აღნიშნა საქართველოში ქრისტიანთა და მუსლიმთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, მუსლიმი მოქალაქეების წვლილი ქვეყნის აღმშენებლობაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფომ მუსლიმ თემს დღემდე გადასცა

237 მეჩეთი, ხოლო 20 მეჩეთი უახლოეს პერიოდში გადაეცემა, ასევე გაიზარდა სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოსადმი გაწეული ფინანსური დამხარება 4 150 000 ლარამდე.

#### 4.2. საქართველოს მთავრობის მეთაური ხანუქაზე

ტრადიციისამებრ თბილისის მთავარ სინაგოგაში, ხანუქას პირველი სანთელი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აანთო. ებრაელები ხანუქას, განახლებისა და კურთხევის, სინათლის სიბნელეზე გამარჯვებას ზეიმობენ.

მთავარ სინაგოგაში შეკრებილ ებრაელებსა და მოწვეულ სტუმრებს პრემიერ-მინისტრმა სიტყვით მიმართა. მან თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ქართულ-ებრაული მეგობრობის 26 საუკუნოვან, უნიკალურ გამოცდილებას, გაიხსენა 7 ოქტომბრის ტერაქტი და აღნიშნა, რომ ისრაელს, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოს, დღეს ყველაზე მეტად მშვიდობა სჭირდება.

დიდ სინაგოგაში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმნენ საქართველოს ებრაელთა კავშირის თავმჯდომარე მერაბ ჩანჩალაშვილი, ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰადას მეიცადი და თბილისის დიდი სინაგოგის მთავარი რაბინი რახამინ მურდუხაშვილი.

#### 5. ინტერრელიგიური სათათბირო

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან ფუნქციონირებს ინტერრელიგიური სათათბირო, რომელშიც საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება მონაწილეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისტორიული რელიგიებისა და სხვა მცირერიცხოვანი კონფესიების ჩათვლით, კერძოდ:

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;
- სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია;
- საქართველოს ებრაელთა კავშირი;
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია;
- საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანება;
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია;
- საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭო;
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება;

- „ხსნის არმია საქართველოში“;
- საქართველოს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია.

2024 წლის 17 იანვარს ინტერრელიგიური სათათბიროს შეხვედრა გაიმართა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის განმარტებით შეკრების მიზეზი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინადადება გახდა, რომელმაც სამების საკათედრო ტაძარში მომხდარ ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება და ფაქტის შეფასება ითხოვა.

ინტერრელიგიური სათათბიროს წევრებმა სოლიდარობა და სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს მართლმადიდებელ ეკლესიას და აღნიშნეს, რომ ეკლესიის სივრცეში ვანდალური ქმედება და სიწმინდის შეურაცხყოფა მიუღებელია. მიუხედავად რელიგიებს შორის მსოფლმხედველობრივი სხვაობისა, საქართველოში მუდამ ტოლერანტული და ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული გარემო იყო, რომელიც უნდა შენარჩუნდეს. ინტერრელიგიური სათათბიროს წევრებმა მომხდარი ცალსახად მკრებელობად და ვანდალიზმის აქტად შეაფასეს, მათ შორის, სხვისი ქონების დაზიანების თვალსაზრისითაც.

შეკრების დასასრულს, ინტერრელიგიური სათათბიროს წევრებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება.

2024 წლის 9 თებერვალს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ინტერრელიგიური სათათბიროს მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის აშშ-სა და კანადის სამმართველოს მრჩეველი, კონსტანტინე კაპანაძე. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან და საკონსულოსთან შუამდგომლობა, კერძოდ, რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებისთვის ვიზების მიღების პროცედურაში დახმარება.

2024 წლის 2 აპრილს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ინტერრელიგიური სათათბიროს მორიგი შეხვედრა გაიმართა, სადაც განიხილეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა ინიციატივა, ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონპროექტიდან გამომდინარე, ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე.

სათათბიროს წევრებმა წინადადებით მიმართეს რელიგიის სააგენტოს, უზრუნველყოს კანონპროექტის მიწოდება, რათა მოხდეს მისი საფუძვლიანი განხილვა.

2024 წლის 16 მაისს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიის სხდომის ფორმატში, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარესა და ინტერრელიგიური სათათბიროს წარმომადგენლებს შეხვდა. საკონსტიტუციო ცვლილებების მნიშვნელობაზე ისაუბრეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა: ირაკლი ქადაგიშვილმა, დავით მათიკაშვილმა და თენგიზ შარმანაშვილმა. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის,

საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, საქართველოს ებრაელთა კავშირის, სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის, საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების და ეზიდთა სასულიერო საბჭოს წარმომადგენლებმა სრული მხარდაჭერა გამოხატეს კანონპროექტის მიმართ.

2024 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე და ინტერრელიგიური სათათბიროს წევრები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორს შეხვდნენ, რომელმაც მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ ისაუბრა. რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა მოსახლეობის აღწერის მნიშვნელობას და რელიგიურ ლიდერებს მოუწოდა, მრევლთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროცესში. თავმჯდომარის თქმით, აღწერის შედეგები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს ჩართულობას რელიგიური ორგანიზაციების საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

## 6. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო არ არის საბჭოთა რეჟიმის სამართალმემკვიდრე და შესაბამისად, საბჭოთა ტოტალიტარული პერიოდის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ აქვს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების ფარგლებში, 4 (ოთხ) რელიგიურ მიმდინარეობას – ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიურ გაერთიანებებს სიმბოლურად და ნაწილობრივ უნაზღაურებს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანს, რომელიც ხმარდება რელიგიური თემების განვითარებას, გამთლიანებასა და ქვეყანაში მშვიდობიან თანაარსებობას. (იხილეთ ცხრილი).

წელი	მუსლიმი თემი	რომაულ-კათოლიკური თემი	სომხური სამოციქულო თემი	იუდეური თემი	სულ
2014	1 100 000	200 000	300 000	150 000	1 750 000
2015	2 200 000	400 000	600 000	300 000	3 500 000
2016	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2017	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2018	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000

2019	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2020	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2021	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2022	3 350 000	650 000	1 000 000	500 000	5 500 000
2023	3 350 000	650 000	1 000 000	500 000	5 500 000
2024	4 150 000	700 000	1 100 000	550 000	6 500 000
სულ	30 650 000	5 900 000	8 800 000	4 400 000	49 750 000

*\*თანხები მოცემულია ლარში*

ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები იღებენ ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

რელიგიურ გაერთიანებებთან კონსულტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების (მრევლის რაოდენობა, სასულიერო პირების რაოდენობა და საკულტო შენობა-ნაგებობების რაოდენობა) შესწავლის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 იანვრის N146 განკარგულებით, საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის (ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხურ-სამოციქულო), საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსათვის დამატებით გამოყოფილი 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი რელიგიური თემებს შორის გადანაწილდა შემდეგი ოდენობით:

- ა) საქართველოს მუსლიმი თემი - 800 000 (რვაასი ათასი) ლარი;
- ბ) საქართველოს სომეხთა სამოციქულო ეკლესია - 100 000 (ასი ათასი) ლარი;
- გ) საქართველოს რომაულ-კათოლიკური ეკლესია - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;
- დ) საქართველოს იუდეური თემი - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

## 7. რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია

### 7.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები

2024 წელს რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი კომისიის 5 სხდომა გაიმართა. ჯამში, კომისიამ 169 საკითხი განიხილა, კერძოდ:

- მართლმადიდებელი ეკლესია: დაკმაყოფილდა – 136, ხარვეზი – 0, უარი – 14;
- მუსლიმი თემი: დაკმაყოფილდა – 3, ხარვეზი – 1, უარი – 0;
- სომხური თემი: დაკმაყოფილდა – 3, ხარვეზი – 8, უარი – 2;
- სომეხთა სამოციქულო ეკლესია: დაკმაყოფილდა – 2, ხარვეზი – 0, უარი – 0.

**2024 წლის 1 მარტი - I სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	54	51		3
მუსლიმი თემი	1	1		
სომხური თემი	1			1

**2024 წლის 24 მაისი - II სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	41	34		7
მუსლიმი თემი	1		1	
სომხური თემი	2		1	1

**2024 წლის 12 აგვისტო - III სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
----------------	--------------	--------------	---------	------

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	23	20		3
სომხური თემი	4		4	
სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია	2	2		
მუსლიმი თემი	2	2		

2024 წლის 23 ოქტომბერი - IV სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	22	22		
სომხური თემი	3		3	

2024 წლის 13 დეკემბერი - V სხდომა

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური	10	9		1

მართლმადიდებელი ეკლესია				
სომხური თემი	3	3		

სულ 2024 წელს, რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის 5 (ხუთი) სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტოს მიერ დადებითი რეკომენდაცია გაიცა მოთხოვნილი - 5 909 242,42 ლარიდან 3 332 384,54 ლარის გადაცემის თაობაზე.

## 8. რელიგიის სააგენტოს პუბლიკაციები

2024 წლის 4 ივნისს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ ფოტოალბომის, „საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობები 2023 წლის მდგომარეობით“, პრეზენტაცია გამართა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, საქართველოს პარლამენტის რელიგიური ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

პრეზენტაციაზე რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა ფოტოალბომზე და რელიგიის სააგენტოს არსებობის 10 წლისთავზე, რომელსაც სიმბოლურად დაემთხვა აღნიშნული პუბლიკაციის გამოცემა. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ ფოტოალბომი „საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობები 2023 წლის მდგომარეობით“.

## 9. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

2024 წლის 16 ნოემბერს, ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაამკვიდრა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, საქართველოში არსებული ერთ-ერთი რელიგიური თემი სხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებსა და მრევლს მასპინძლობს.

ამ დღესთან დაკავშირებული ღონისძიების მასპინძელი 2016 წელს იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია; 2017 წელს - საქართველოს ებრაელთა კავშირი; 2018 წელს - ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია; 2019 წელს - სრულიად

საქართველოს მუსლიმთა სამმართველო; 2020 წელს საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანება; 2021 წელს - საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია; 2022 წელს - საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია; 2023 წელს - სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია.

2024 წელს ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭომ საქართველოს რელიგიური ორგანიზაციებისთვის ღონისძიება გამართა, რომელსაც ესწრებოდნენ რელიგიის სააგენტოსთან არსებული ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების ლიდერები და წამომადგენლები.

## 10. პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“

2019 წელს დაიწყო სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, სახელწოდებით: „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“, რომლის ფარგლებშიც სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან ერთად მიმდინარეობს საქართველოში მოღვაწე სასულიერო პირებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლა. პირველ ეტაპზე პროექტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მუსლიმი თემის, სომხური სამოციქულო ეკლესიისა და ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის წარმომადგენლებმა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებმა ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პედაგოგებისთვის საქართველოში ადამიანის უფლებების, რელიგიური მრავალფეროვნებისა და რელიგიურ ორგანიზაციათა შესახებ ტრენინგები გამართეს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით რელიგიის სააგენტომ განაგრძო პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისათვის“ რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მუსლიმი თემის, სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიისა და კათოლიკური ეკლესიის სულ 35-მა წარმომადგენელმა.

## 11. საერთაშორისო კონფერენციები

### 11.1. საერთაშორისო კონფერენცია: „რელიგიური განათლების როლი თანამედროვე გლობალური გამოწვევების დასაძლევად“

2024 წლის 9 ივლისს ბათუმში, სასტუმროში „რედისონ ბლუ“ გაიხსნა მეორე ქართულ-ამერიკული საერთაშორისო კონფერენცია, თემაზე: „რელიგიური განათლების როლი თანამედროვე გლობალური გამოწვევების დასაძლევად“, რომლის ორგანიზატორები იყვნენ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და ამერიკის შეერთებული შტატების არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტი“.

კონფერენციაზე პირველი მოხსენებით, წარსდგა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე, რომელმაც ისაუბრა თემაზე: „განათლება რადიკალიზმის წინააღმდეგ“; „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის“ პრეზიდენტმა ბობ რობერტსმა ისაუბრამ თემაზე: „ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მულტირელიგიური ურთიერთობის მშენებლობით“; რელიგიური ტოლერანტობის თანამედროვე გამოწვევებზე ისაუბრა საქართველოს სახალხო დამცველმა ლევან იოსელიანმა; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რელიგიის თავისუფლების დარღვევებს შეეხო რელიგიის სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დავით დავითაშვილი; „ინტერ-კულტურული რელიგიური განათლების აუცილებლობა“ განიხილა თავის მოხსენებაში „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის“ უფროსმა თანამშრომელმა დენის ჰოვერმა; რელიგიის როლზე მშვიდობისა და ერებს/ეთნოსებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის ჩამოყალიბების საკითხზე ისაუბრა კულტურული მრავალფეროვნების ჰარმონიული განვითარების ცენტრის დირექტორმა კობა ჩოფლიანმა.

## 11.2. საერთაშორისო კონფერენცია გერმანიაში

2024 წლის 9-10 ოქტომბერს, რელიგიის სააგენტოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ქ. ბერლინში (გერმანია) საერთაშორისო კონფერენციაში „როგორ შეუძლია ინკლუზიური რელიგიასა და რწმენის თავისუფლებას პრევენცია მოახდინოს ან/და აღკვეთოს რადიკალიზაცია, ექსტრემიზმი და ძალადობა“. კონფერენციაზე სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა საქართველოს რელიგიურ ლანდშაფტზე, შეეხო სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკას, კერძოდ, რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებით გაწეულ მატერიალურ კომპენსაციასა და რელიგიური ორგანიზაციებისათვის საკულტო ნაგებობების დაბრუნების პრაქტიკას, ინტერრელიგიური სათათბიროს საქმიანობას, რომელიც 14 ძირითად რელიგიურ ორგანიზაციას აერთიანებს, ქართული ისლამის ფენომენს, რომელიც სუნიტებისა და შიიტების კეთილმეზობლურ ურთიერთობას გულისხმობს, საქართველოში ებრაელთა ცხოვრების 26 საუკუნოვან, უნიკალურ ტრადიციას, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართული მოსახლეობის გადაადგილების, რელიგიური, განათლების, ჯანდაცვის უფლების სრულ უგულებელყოფასა და ქართული მართლმადიდებლური ტაძრების უმძიმეს მდგომარეობას.

## 11.3. საქართველოს ეროვნული არქივის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2024 წლის 10 ოქტომბერს, მუშაობა დაიწყო საქართველოს ეროვნული არქივის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ თემაზე - „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა

- ტენდენციები და გამოწვევები“, რომელიც წმ. ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი აღსასრულიდან 400 წლისთავს მიემდგნა.

კონფერენციაზე მოხსენებით „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში“ (შსს არქივის მონაცემების მიხედვით) გამოვიდა პროექტის ხელმძღვანელი, რელიგიის სააგენტოს ანალიტიკოსი ზვიად ტყაბლაძე. მოხსენება წარმოადგენდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მიერ დაფინანსებული 2022 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის - „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (შსს არქივის მონაცემების მიხედვით)“ მიმოხილვას, რომელიც ხორციელდება რელიგიის სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით.

თემა ითვალისწინებდა მკვლევართა ჯგუფის მიერ საქართველოში, საბჭოთა პერიოდში (1921-1991 წლებში) რელიგიური ნიშნით განხორციელებული რეპრესიების და რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ ჩატარებული კვლევის გაშუქებას. დამუშავდა ინფორმაცია იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომლებიც სასჯელის სამი კატეგორიით იქნენ დასჯილნი - დახვრეტილები, პატიმრობამისჯილები და გადასახლებულები.

## 12. საქველმოქმედო აქციები

რელიგიის სააგენტო საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების მხარდაჭერით სისტემატურად ატარებს საქველმოქმედო აქციებს სხვადასხვა რელიგიური თემების საჭიროებების მოსაგვარებლად. 2024 წელს განხორციელდა შემდეგი საქველმოქმედო აქციები:

2024 წლის 10 იანვარს, ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციებისა და რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლები რუსთავის მეხუთე ქალთა პენიტენციურ დაწესებულებას ეწვივნენ და 380 ქალ მსჯავრდებულს საახალწლო საჩუქრები - ტკბილეული, პირადი ჰიგიენის ნივთები და 20 ფუთა ტანსაცმელი გადასცეს;

2024 წლის 22 იანვარს, რელიგიის სააგენტომ, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის ზარზმის მონასტერს საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული ტვირთი, 15 ფუთა ტანსაცმელი და 25 ყუთი ტკბილეული გადასცა;

2024 წლის 24 იანვარს, რელიგიის სააგენტოსა და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების წარმომადგენლები კასპის რაიონის სოფელ მეტეხში მცხოვრებ ცხინვალის რეგიონიდან დევნილ ბავშვებს საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული ტვირთი - 15 ფუთა ტანსაცმელი და 25 სასაჩუქრე ყუთი გადასცეს;

2024 წლის 5 თებერვალს, სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლას რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლები ეწვივნენ და სკოლის

მოსწავლეებს ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი 2024 წლის ინტერრელიგიური კალენდარი, ძველი აღთქმის მეხუთე კანონიკური წიგნი „მეორე რჯული“ და თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიისგან (წინამძღვარი, პასტორი ჩარლზ ჰობლიცი) 45 სასაჩუქრე ყუთი გადასცეს.

2024 წლის 15 თებერვალს, რელიგიის სააგენტომ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ლომისას წმ. გიორგის სახელობის დედათა და ბავშვთა თავშესაფარს „კიდევაც დაიზრდებიან“, სადაც 17 ბავშვია, 4 ფუთა ტანსაცმელი და 17 სასაჩუქრე ყუთი გადასცა;

2024 წლის 16 მარტს, რელიგიის სააგენტოს თანამშრომლები საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ მოწყალეების სახლს ეწვივნენ და ბენეფიციარებს საჩუქრები - 5 ფუთა ტანსაცმელი და 10 სასაჩუქრე ყუთი გადასცეს;

2024 წლის 24 აპრილს, რელიგიის სააგენტომ წმ. თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონს 7 ფუთა ტანსაცმელი, 10 ყუთი საკვები და 9 ყუთი ტკბილეული გადასცა. პანსიონში, რომელიც 2009 წელს დაარსდა, ცხოვრობენ ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები საქართველოს ყველა რეგიონიდან, ასევე, ჩვენი თანამემამულეები აზერბაიჯანიდან, ირანიდან და თურქეთიდან;

2024 წლის 25 აპრილს, რელიგიის სააგენტომ ვარკეთილის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძართან არსებულ მოწყალეების სახლს 8 ყუთი საკვები გადასცა;

2024 წლის 26 აპრილს, რელიგიის სააგენტოს თანამშრომლები სახარების რწმენის ეკლესიასთან არსებულ ორგანიზაცია „თიინ ჩელენჯ ჯორჯიას“ ეწვივნენ და ჰუმანიტარული დახმარება გადასცეს;

2024 წლის 29 აპრილს, თბილისის ჯუმა მეჩეთში, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომ და რელიგიის სააგენტომ მუსლიმი თემის წარმომადგენლებს რამადან ბაირამი მიულოცეს და სოციალურად დაუცველ ადამიანებს ჰუმანიტარული დახმარება - 500 ყუთი სხვადასხვა სახის საკვები დაურიგეს;

2024 წლის 1 მაისს, რელიგიის სააგენტოს თანამშრომლები ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებასთან ერთად წინასააღდგომო საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, ზაქვის არასრულწლოვანთა N11 პენიტენციურ დაწესებულებას ეწვივნენ და საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული ტვირთი - 208 ფუთა ტანსაცმელი, ტკბილეულის სასაჩუქრე ყუთები და ბიბლია გადასცეს;

2024 წლის 10 ივნისს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს, რომლის ფარგლებშიც მართლმადიდებელი ეკლესიის ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის სოფელ საირხის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიას გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული დახმარება - 30 ფუთა ტანსაცმელი და 50 სასაჩუქრე ყუთი გადასცეს;

2024 წლის 10 აგვისტოს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ ქუთაის-გაენათის ეპარქიაში ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს და ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიას წყალტუბოს წმ. გაბრიელ

ეპისკოპოსის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის განკუთვნილი, ქრისტიანული მისია „ფრიდენს ბოტეს“ და „დახმარების საერთაშორისო ქსელის“ ჰუმანიტარული ტვირთი, 25 ფუთა ტანსაცმელი და 200 კგ. ბრინჯი გადასცეს;

2024 წლის 13 აგვისტოს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ 200 კგ. ბრინჯი გადასცეს ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ წარმომადგენლებს, რომლებიც 60 მიუსაფარ ბავშვს უვლიან;

2024 წლის 16 აგვისტოს, თბილისში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებისა და გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული დახმარება - 25 ფუთა ტანსაცმელი და 500 კგ. ბრინჯი გადაეცათ;

2024 წლის 22 აგვისტოს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ ორი საქველმოქმედო აქცია გამართეს: ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციას კასპის რაიონის სოფელ თელიანში ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობისათვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული დახმარება -10 ფუთა ტანსაცმელი და 300 კგ. ბრინჯი გადაეცა. ასევე, თბილისის სათნოების სახლს „კათარზისი“, რომელშიც ქართველებთან ერთად უკრაინელი შეჭირვებული ხანდაზმულები ყოველდღიურად სადილობენ, 300 კგ. ბრინჯი გადაეცა;

2024 წლის 23 აგვისტოს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მანგლისისა და წალკის ეპისკოპოსს გრიგოლს (კაცია) წალკაში მცხოვრები შეჭირვებულებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციის ჰუმანიტარული დახმარება - 300 კგ. ბრინჯი გადასცა;

2024 წლის 6 სექტემბერს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ მართლმადიდებელი ეკლესიის ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის სოფელ საირხის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიას საერთაშორისო ორგანიზაციის „დახმარების საერთაშორისო ცენტრი“ ჰუმანიტარული დახმარება - 500 კგ. ბრინჯი და 23 ყუთი ტანსაცმელი გადასცეს;

2024 წლის 3 ოქტომბერს, მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანის დევნილთა დასახლებაში რელიგიის სააგენტოსა და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გაიმართა და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ 207 ოჯახს საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტესგან“ - 18 ფუთა ტანსაცმელი და საერთაშორისო ორგანიზაცია „დახმარების საერთაშორისო ცენტრისგან“ - 54 ყუთი (730 კგ.) ბრინჯი გადასცეს;

2024 წლის 27 ნოემბერს, რელიგიის სააგენტომ ზაჰესის არასრულწლოვანთა N11 პენიტენციური დაწესებულების 40 არასრულწლოვანს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ 40 ცალი ტკბილეულის სასაჩუქრე ყუთი გადასცეს;

2024 წლის 30 დეკემბერს, რელიგიის სააგენტოსა და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების ჰუმანიტარული ტვირთი - 20 ყუთი ტანსაცმელი და 20 ყუთი ტკბილეული ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის სოციალურად დაუცველ მრევლს გადაეცა.

### 13. საქართველოს მესამე გუნდური ინტერრელიგიური ჩემპიონატი ჭადრაკში

2024 წლის 28 მაისს, თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის უკვე მესამედ გაიმართა საქართველოს გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში რელიგიურ ორგანიზაციებს შორის. მესამე ჩემპიონატის გამარჯვებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გუნდი გახდა, მეორე ადგილი დაიკავა მუსლიმთა სამმართველოს გუნდმა, ხოლო მესამე ადგილზე სახარების რწმენის ეკლესიის გუნდი გავიდა. რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები თასებით, ხოლო მონაწილეები კი საპატიო დიპლომებით დააჯილდოვა.

### 14. ვიზიტები საზღვარგარეთ

#### 14.1. ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში

2024 წლის 21-25 თებერვალს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შემდეგი შეხვედრები:

2024 წლის 21 თებერვალს, თურქეთის რესპუბლიკის მთავარ აუდიტორთან (ომბუდსმენტთან), შერეფ მალქოჩთან;

2024 წლის 22 თებერვალს, თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარე, პროფესორ ალი ერბაშთან, რომელმაც შეხვედრაზე ხაზი გაუსვა დიანეთის პროგრესს განათლების სფეროში და აღნიშნა გასულ წელს დააარსებული რელიგიური აკადემია და ქართული მხარის დაინტერესების შემთხვევაში, გამოთქვა მზაობა, საქართველოსთან ისლამური რელიგიური განათლების საკითხებზე თანამშრომლობის დაწყების თაობაზე.

2024 წლის 23 თებერვალს, თურქეთის პრეზიდენტის მთავარ მრჩეველთან ისრაფილ ქიშლამთან. თურქეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს ქართულ-თურქული ურთიერთობების ხარისხს და მნიშვნელობას სამეზობლო პოლიტიკის ყველა სფეროში და გამოთქვეს თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი.

2024 წლის 25 თებერვალს, სტამბოლის მთავარ მუფთთან, საფი არპაგუსისთან, რომელიც სტამბოლის მთავარ სამუფთოში შედგა, სადაც რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ქართული ისლამის ფენომენზე და სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს მუსლიმი თემის მიმართ მხარდაჭერაზე ისაუბრა.

## 14.2. ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

2024 წლის 6 მაისს, საქართველოს მფარველი წმ. დიდმოწამე გიორგი კაბადოკიელის აღსრულების დღესთან დაკავშირებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს დელეგაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონს ეწვია. მართლმადიდებელმა მრევლმა, საქართველოს საპატრიარქოს, პარლამენტის და მთავრობის წარმომადგენლებმა გიორგობა ტრადიციულად, კახის რაიონში, თანამემამულეებთან ერთად იხეიმეს.

კახის რაიონის სოფელ კახ-ინგილოს წმ. გიორგის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, ხორნაბუჯის, ჰერეთის და ნეკრესის ეპარქიის დროებითმა მმართველმა თეოდორემ (ჭუაძე) და კახის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარმა მღვდელმა პეტრემ (ხუმარაშვილი) აღავლინეს. წირვის დასრულების შემდეგ, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ და სააგენტოს თანამშრომლებმა მრევლს საჩუქრად ბიბლია, ახალი აღთქმა და ქართული ხალხური საკრავები გადასცეს. მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) პარაკლისი გადაიხადა კახში მცხოვრები ქართველობის მთავარ რელიგიურ სიწმინდესა და სალოცავში - ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში.

აღსანიშნავია, რომ რელიგიის სააგენტო ბოლო წლებში აქტიურად მხარს უჭერს და ეხმარება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართულ დიასპორას და ჩვენს მუსლიმ და ქრისტიან თანამემამულეებს გადასცემს მათ რელიგიურ წიგნებს (ბიბლია, ახალი აღთქმა, ყურანი), ქართულ მუსიკალურ საკრავებს, ტრადიციულ შესამოსელსა და საცეკვაო ატრიბუტიკას.

მოგვიანებით, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარე და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ზურაბ პატარიძე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის რაიონის სოფელ ითითალას კულტურის ცენტრში იქ მცხოვრებ ქართულ დიასპორას შეხვდნენ. სპეციალურად ამ შეხვედრისთვის სოფ. ითითალაში ჩავიდნენ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს დასავლეთ საქართველოს მუფთი ადამ შანთაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი ეტიპარ ემინოვი და შეიხი ფაიგ ნაბიევი. დელეგაციის წევრები გაესაუბრნენ ადგილობრივ მცხოვრებელს, დაინტერესდნენ მათი პრობლემებით და ქართულ ენაზე თარგმნილი ყურანი და ქართული ხალხური საკრავები გადასცეს.

### 14.3. ვიზიტი უნგრეთში

2024 წლის 3-8 დეკემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია უნგრეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა და შემდეგი შეხვედრები გამართა:

2024 წლის 5 დეკემბერს, უნგრეთის პრემიერ-მინისტრის აპარატის სახელმწიფო მდივანთან ეკლესიისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებში, მიკლოშ შოლტისთან. სააგენტოს თავმჯდომარემ შოლტის გააცნო საქართველოს რელიგიური პოლიტიკა და ხაზი გაუსვა საქართველო-უნგრეთს შორის პარტნიორობის მნიშვნელობას. სააგენტოს თავმჯდომარემ ასევე დააყენა საკითხი ქართული დიასპორისთვის, ქართული მრევლისთვის და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში შენობა-ნაგებობების გადმოცემის თაობაზე; შეხვედრაზე სააგენტოს თავმჯდომარემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სავალალო მდგომარეობასა და ოკუპანტი ქვეყნის-რუსეთის მხრიდან ეთნიკური და რელიგიური დისკრიმინაციის ფაქტებს.

2024 წლის 6 დეკემბერს, ფუნდამენტური უფლებების კომისარ (ომბუდსმენი), აკოშ კოზმასთან, რომელსაც სააგენტოს თავმჯდომარემ გააცნო ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური დენომინაციების დაფინანსებისა და საკულტო ნაგებობების დაბრუნების პროცესის შესახებ;

2024 წლის 7 დეკემბერს, უნგრეთის პარლამენტის იუსტიციის კომიტეტის თავმჯდომარე, ვეიკე იმრესთან, რომელმაც ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის, საქართველოსა და უნგრეთის ისტორიის მსგავსებასა და თანხვედრას ტრადიციული ღირებულებების პატივისცემაში. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიმართ უნგრეთის მხარდაჭერა.

2024 წლის 8 დეკემბერს, საინტოლოგიური ეკლესიის ხელმძღვანელ, ატილა მიკლოვიჩთან.

## 15. მემორანდუმების გაფორმება

### 15.1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება შპს "ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქსთან"

2024 წლის 7 ივნისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ხელი მოეწერა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და შპს "ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა რელიგიური სარწმუნოების პაციენტთა რელიგიური უფლებების სრულფასოვანი რეალიზების ხელშეწყობას, მათ შორის, თანამშრომლობას საავადმყოფოში კაპელანური მსახურების შემოღების თაობაზე.

## 15.2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება შპს „ჯეო ჰოსპიტალსთან“

2024 წლის 19 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ხელი მოეწერა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც სამედიცინო კაპელანის პროექტის ფარგლებში გაფორმდა და ითვალისწინებს სხვადასხვა რელიგიური სარწმუნოების პაციენტთა რელიგიური უფლებების სრულფასოვანი რეალიზების ხელშეწყობას, მათ შორის, თანამშრომლობას საავადმყოფოში კაპელანური მსახურების შემოღების თაობაზე.

## 16. რელიგიის სააგენტოს სხვადასხვა შეხვედრები

### 16.1. შეხვედრა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელთან

2024 წლის 11 იანვარს, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს საქართველოში, იასპერ მოლერს უმასპინძლა. მან სტუმარს მოკლედ გააცნო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობა და მისი ძირითადი აქტივობები. საუბრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო რელიგიის სააგენტოს თანამშრომლობას საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობასთან, კერძოდ: ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რელიგიურ ლიდერთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, რელიგიის სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებულ სემინარს „სასულიერო პირების როლი ბავშვის უფლებების დაცვის საქმეში“, რომლის მიზანი იყო ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებში რელიგიური ლიდერების როლისა და მნიშვნელობის ზრდა; ასევე, სააგენტოსა და ფონდის ერთობლივი ძალისხმევით, ჩატარებულ ტრენინგს „რელიგიის თავისუფლება და ბავშვის საუკეთესო ინტერესები“, რომელშიც საქართველოში რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

### 16.2. შეხვედრა სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან

2024 წლის 23 იანვარს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, საქართველოს უსინათლოთა კავშირისა და სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლის წარმომადგენლები ეწვივნენ. სააგენტოს თავმჯდომარემ სოციალური პროექტის „უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ მოქალაქეთა მხარდასაჭერად“ აქტივობებზე ისაუბრა, რომელსაც სააგენტო 2018 წლიდან ახორციელებს. შეხვედრას დაესწრო საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძე, რომელმაც

დადებითად შეაფასა რელიგიის სააგენტოს სოციალური აქტივობა და აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინებისა და მათი პრობლემების გადაჭრისთვის.

### 16.3. შეხვედრა საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს დელეგაციასთან

2024 წლის 28 მარტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს დელეგაციას უმასპინძლა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩი საქართველოში, მელინე არაკელიანი, ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო ელჩი რწმენისა და რელიგიის საკითხებში, ბეა ტენ ტუმერი, ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის დეპარტამენტის თანამშრომელი ალექსანდერ აკერბოში და ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოლიტიკური მრჩეველი ლელა ლომია. სტუმრები დაინტერესდნენ საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკით, მათ შორის, რელიგიის სააგენტოს პრიორიტეტებით, სახელმწიფოს მიერ საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა რელიგიებისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურების მექანიზმით, სახელმწიფოს ურთიერთობით მართლმადიდებელ ეკლესიასთან.

### 16.4. შეხვედრა ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან

2024 წლის 8 მაისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლებს - აიათოლა დიბაჯის, აიათოლა გარავის და აბდულრაჰიმ ფორუტანის შეხვდა. ზაზა ვაშაყმაძემ სტუმრებს სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ესაუბრა და ყურადღება გაამახვილა ინტერრელიგიური სათათბიროს საქმიანობაზე.

### 16.5. შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის დელეგაციასთან

2024 წლის 13 ივნისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ მიიღო აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის დელეგაცია, თავმჯდომარის რამინ მამედოვის ხელმძღვანელობით. შეხვედრაზე განიხილეს ორ სტრუქტურას შორის თანამშრომლობის ასპექტები, საქართველოში მუსლიმი თემისა და აზერბაიჯანში ქართველი მართლმადიდებელი მრევლის რელიგიური უფლებების დაცვის საკითხები და სამომავლო პერსპექტივები.

## 16.6. შეხვედრა ეზიდური თემის წარმომადგენლებთან

2024 წლის 15 ივნისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ახტიარ დიმიტრი ფირბარსა და ეზიდური თემის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შეხვდა. დელეგაციის სტუმრობა უკავშირდებოდა საქართველოს ეზიდთა თემის „ტავაფა ეზიდის“ დღესასწაულს (თბილისის სალოცავის დღეს), რომელსაც ტრადიციულად, მრავალი სტუმარი ეწვია სხვადასხვა ქვეყნიდან.

## 16.7. შეხვედრა საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ქალ წარმომადგენლებთან

2024 წლის 8 ივლისს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებითა და აშშ-ს არაკომერციული ორგანიზაციის „გიყვარდეს შენი მეზობელი თემი“ (LYNC) ინიციატივით, საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ქალ წარმომადგენლებთან შეხვედრა შედგა, რომელიც გაიმართა რელიგიის სააგენტოსა და გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის (IGE) მეორე ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციის „რელიგიური განათლების როლი თანამედროვე გლობალური გამოწვევების დასაძლევად“ ფარგლებში. ორგანიზაციის დამფუძნებელმა, ვეიდ კუსაკმა და კონფერენციის ქალთა პარალელური ღონისძიების ორგანიზატორმა, გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის ქალთა ჩართულობის თანამშრომელმა ჰალინა კუსაკმა წარმოადგინეს პრეზენტაცია თემაზე: „საზოგადოებების გაძლიერება ქალთა ლიდერობის ხელშეწყობით რელიგიის თავისუფლებისა და სოციალური ერთობის სფეროში“.

## 16.8. შეხვედრა სახალხო დამცველთან

2024 წლის 24 ივლისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე საქართველოს სახალხო დამცველს, ლევან იოსელიანს შეხვდა, სადაც რელიგიის სააგენტოსა და სახალხო დამცველის ოფისის შორის ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე ისაუბრეს. სააგენტოს თავმჯდომარემ სტუმარს გააცნო რელიგიის სააგენტოს საქმიანობა და მისი მთავარი პრიორიტეტები, კერძოდ: ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკაზე და მისი მხრიდან რელიგიების თანადგომაზე, რელიგიის სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროექტებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ უმძიმეს ვითარებაზე. შეხვედრაზე გამოითქვა ორ უწყებას შორის მემორანდუმის გაფორმებისა და ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების სურვილი.

## 16.9. იმამ ჰასანის სახელობის მეჩეთის გახსნა

2024 წლის 27 ივლისს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახლოლალოში, იმამ ჰასანის სახელობის მეჩეთი გაიხსნა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შეიხი ფაიგ ნაბიევი, აღმოსავლეთ საქართველოს მუფთი, ეტიბარ ემინოვი, საქართველოს პარლამენტის წევრი ზაურ დარგალი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი კენან ომაროვი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე, ასევე თურქეთის, აზერბაიჯანისა და ირანის საელჩოების წარმომადგენლები.

## 16.10. შეხვედრა საქართველოში საინტოლოგიური ეკლესიის წარმომადგენლებთან

2024 წლის 3 ოქტომბერს, საქართველოში საინტოლოგიური ეკლესიის წარმომადგენლების კორნეი გონჩალოვის, ალიონა ვერუხინასა და ნუგზარ ბარდაველიძის ინიციატივით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა შეხვედრა რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარესთან, რომლებმაც სახელმწიფოსთან და რელიგიის სააგენტოსთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

## 16.11. შეხვედრა აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენელთან

2024 წლის 4 ოქტომბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გენდერულ და ინკლუზიის საკითხთა ანალიტიკოსს, ელიონორ ბენუას შეხვდა და რელიგიის სააგენტოს საქმიანობა და მისი მთავარი პრიორიტეტები გააცნო. სტუმარი დაინტერესდა რელიგიის სააგენტოს ფუნქციებითა და როლით რელიგიათაშორისი ურთიერთობებისა და დიალოგის ფორმატში და ამ კუთხით სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმებით, მათ შორის, დაფინანსების, საკულტო ნაგებობების გადაცემის თვალსაზრისით. შეხვედრაზე სტუმარმა გამოთქვა რელიგიის სააგენტოსთან სამომავლო ურთიერთობების სურვილი.

## 16.12. შეხვედრა ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის VII სინოდის მე-4 სხდომის წევრებთან

2024 წლის 7 დეკემბერს, თბილისის შერიგების ეკლესიაში, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის VII სინოდის მე-4 სხდომა გაიმართა, რომელსაც საქართველოსა და აზერბაიჯანის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიების მაღალი რანგის სასულიერო პირები, დიპლომატიური კორპუსისა და სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსის, როლფ ბარაისის მიწვევით, სინოდის სხდომის პირველ ნაწილს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ. მათ მადლობა გადაუხადეს ეპისკოპოსს კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის და წარმატებები უსურვეს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის სინოდს.

## 17. შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ტრადიციულად აქტიურად თანამშრომლობს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მართავს გაცნობითი და სამუშაო ხასიათის შეხვედრებს და აცნობს მათ სააგენტოს საქმიანობას, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებს. 2024 წელს გაიმართა შემდეგი შეხვედრები:

- საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, მელინა არაკელიანსთან - 25.01.2024;
- საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, აშოტ სმბატიანთან - 12.03.24;
- საქართველოში ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ბერგლიოტ ჰოვლანდთან - 13.03.24;
- საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ალი ქაან ორბაისთან - 13.03.24;
- საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, მასიმილიანო დ'ანტუნოსთან - 02.04.24;
- საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, მაჰმუდ ადიბისთან - 29.04.24;
- საქართველოსა და სომხეთში ვატიკანის ელჩთან, მთავარეპისკოპოს ანტე იოზიკთან - 16.10.24.

## 18. მედიასთან ურთიერთობა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს ღია და გამჭვირვალე ურთიერთობას მედიასთან.

სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთულია რელიგიის სააგენტოს ნებისმიერი პუბლიკაცია, ინტერრელიგიური კალენდარი და რელიგიური რუკები. ინფორმაცია სააგენტოს წარმომადგენელთა ნებისმიერი აქტივობის შესახებ, იქნება ეს შეხვედრები, ვიზიტები, კონფერენციები, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა იტვირთება სააგენტოს ვებგვერდზე, „ფეისბუკზე“, „ტვიტერზე“, შუქდება და ვრცელდება მედიასაშუალებებით, ასევე, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მეშვეობით.

2024 წელს, სააგენტოს ვებგვერდსა და „ფეისბუკზე“ გავრცელდა 286 ინფორმაცია თავისი ფოტომასალით; „ტვიტერით“ გავრცელდა 27 ინგლისურენოვანი ინფორმაცია; 279 ინფორმაცია საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მეშვეობით; სხვადასხვა ტელევიზიების საინფორმაციო პროგრამებში გაშუქდა რელიგიის სააგენტოს 54 ღონისძიება.

## 19. დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში

### დანართი - სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხარჯების შესახებ ინფორმაცია

2024 წელს ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გაფორმებულია 41 (ორმოცდაერთი) ხელშეკრულება, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერით 6 (ექვსი) ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით 4 (ოთხი) ხელშეკრულება, ხოლო გამარტივებული შესყიდვით 31 (ოცდათერთმეტი) ხელშეკრულება.

ყოველთვიურად ელექტრონულად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილია ელექტრონული დეკლარაციები.

ყოველ კვარტალურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ელექტრონულად (<https://www.ebudget.ge/>) წარდგენილია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონულად ატვირთულია გეგმა (EPLAN), ყველა ხელშეკრულება და ყველა ხელშეკრულების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც CMR-ზე, ასევე SPA-ზე.

განხორციელდა 6 (ექვსი) ელექტრონული ტენდერი. ატვირთულია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ტექნიკური დოკუმენტაცია, შესაბამისი ოქმები, ხელშეკრულებები, შესრულებები და გადახდები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირებულია 41 (ორმოცდაერთი) ადმინისტრაციული ხელშეკრულება (ორგანიზაციული კოდი 5001) და 8 (რვა) სხვადასხვა რელიგიურ წარმომადგენლობებთან (ორგანიზაციული კოდი 5002) გაფორმებული ხელშეკრულებები (სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო (2), სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი (2), სსიპ სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია (2) და სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია (2)).

## 20. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ

### სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა 2024 წელი	საკასო შესრულება	შესრულების პროცენტული მაჩვენებელი საკასო შესრულების დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში
<b>50 00</b>	<b>სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო</b>			
00	ჯამური	7,500,000.00	7,459,580.31	99.46%
2	ხარჯები	7,494,000.00	7,458,580.31	99.53%
2.1	შრომის ანაზღაურება	761,000.00	750,729.00	98.65%
2.2	საქონელი და მომსახურება	231,500.00	206,373.26	89.15%
2.5	სუბსიდიები	6,500,000.00	6,500,000.00	100.00%
2.8	სხვა ხარჯები	1,500.00	1,478.05	98.54%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,000.00	1,000.00	16.67%
<b>50 01</b>	<b>სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო-ადმინისტრაცია</b>			
00	ჯამური	1,000,000.00	959,580.31	95.96%
2	ხარჯები	994,000.00	958,580.31	96.44%
2.1	შრომის ანაზღაურება	761,000.00	750,729.00	98.65%
2.2	საქონელი და მომსახურება	229,500.00	206,373.26	89.92%
2.8	სხვა ხარჯები	1,500.00	1,478.05	98.54%

31	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,000.00	1,000.00	16.67%
<b>50 02</b>	<b>რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება</b>			
00	ჯამური	6,500,000.00	6,500,000.00	100.00%
2	ხარჯები	6,500,000.00	6,500,000.00	100.00%
2.5	სუბსიდიები	6,500,000.00	6,500,000.00	100.00%

## 21. ინფორმაცია მივლინების შესახებ

მივლინება	ხარჯი (ლარი)
მივლინება ქვეყნის შიგნით	7092
მივლინება ქვეყნის გარეთ	17233
<b>სულ მივლინების ხარჯი</b>	<b>24325</b>

## 22. რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება

დასახელება	2024 წელი ბიუჯეტი	2024 წელი მთავრობის სარეზერვო ფონდი	2024 წელი სულ მთავრობის სარეზერვო ფონდის გათვალისწინებით
სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო	3 350,000	800,000	4,150,000
სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია	650,000	50,000	700,000
სსიპ სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია	1 000,000	100,000	1,100,000
სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი	500,000	50,000	550,000
სულ	5,500,000	1,000,000	6,500,000

### 23. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი

საგრანტო ხელშეკრულების ნომერი	FR-23-13674	2024 წლის საკასო ხარჯი
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	18.12.2023	
<b>ხარჯვის კატეგორიები</b>	გრანტის ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული ასიგნება	
	პირველი ტრანში	
- ჯამი	<b>59990</b>	<b>59,039</b>
<b>01 - ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება</b>	<b>39840</b>	<b>39,840</b>
<b>02 - დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება</b>	<b>5000</b>	<b>4,992</b>
<b>03 - მივლინება</b>	<b>14650</b>	<b>13,907</b>
<b>04 - საქონელი და მომსახურება</b>	<b>500</b>	<b>300</b>

საგრანტო ხელშეკრულების ნომერი	FR-22-21090	2024 წლის საკასო ხარჯი ლარი
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	10.03.2023	
<b>ხარჯვის კატეგორიები</b>	გრანტის ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული ასიგნება	
	მეორე ტრანში	
- ჯამი	<b>59,240</b>	<b>44,940</b>
<b>01 - ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება</b>	<b>39,960</b>	<b>39,960</b>
<b>02 - დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება</b>	<b>19,280</b>	<b>4,980</b>

### 24. ინფორმაცია კორესპონდენციის შესახებ

კორესპონდენცია	რაოდენობა
შემოსული წერილები	396
გასული წერილები	1077
სამართლებრივი აქტები	246
შიდა დოკუმენტები	201

# რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

## 2025 წლის ანგარიში

### სარჩევი

1. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2024-2026 წწ....	87
1.1 ტრენინგები საჯარო მოხელეებისათვის.....	87
1.2. კვლევა „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში“ .....	87
1.3. საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისათვის დაბრუნების პროცესი	88
2. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით.....	88
2.1. ყოველწლიური გამოცემა „ინტერრელიგიური კალენდარი“ .....	88
3. შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა.....	89
3.1. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი ...	89
3.2. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი კანონიკური წიგნები .....	89
4. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან .....	89
4.1. პრემიერ-მინისტრის სახელით მუსლიმი თემისთვის გამართული იფტარი .....	90
4.2. საქართველოს მთავრობის მეთაური ხანუქაზე .....	90
5. ინტერრელიგიური სათათბირო.....	90
6. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში .....	90
7. რელიგიური გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია.....	92
7.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები.....	92
8. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე .....	94
9. პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“ .....	95
10. საერთაშორისო კონფერენციები .....	96
10.1. საერთაშორისო კონფერენცია ჩეხეთის რესპუბლიკაში.....	96
10.2. ეროვნული არქივის X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა.....	97
11. ინტერრელიგიური ჩემპიონატი ჭადრაკში .....	97
12. საქველმოქმედო აქციები.....	97

<b>13. რელიგიის სააგენტოს სხვადასხვა შეხვედრები .....</b>	<b>99</b>
13.1. შეხვედრა სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან .....	99
13.2. შეხვედრა აზიზ ხუდაი ვაგფი ფონდის წარმომადგენლებთან.....	99
13.3. შეხვედრა „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის“ უფროს მეცნიერთან ...	100
13.4. შეხვედრა გაეროს მუდმივ წარმომადგენელთან .....	100
13.5. შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან .....	100
13.6. შეხვედრა სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლებთან.....	101
13.7. შეხვედრა ანტიკორუფციული ბიუროს უფროსთან .....	101
13.8. შეხვედრა აზერბაიჯანის კოლეგა ორგანიზაციასთან .....	101
13.9. შეხვედრა ირანის საპარლამენტო დელეგაციასთან.....	102
<b>14. ვიზიტები საზღვარგარეთ.....</b>	<b>102</b>
14.1. ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში .....	102
14.2. ვიზიტი აშშ-ში .....	103
<b>15. შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან .....</b>	<b>104</b>
<b>16. მედიასთან ურთიერთობა .....</b>	<b>105</b>
<b>17. დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში.....</b>	<b>1045</b>
<b>18. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ.....</b>	<b>106</b>
<b>19. ინფორმაცია მივლინების შესახებ .....</b>	<b>107</b>
<b>20. რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება.....</b>	<b>108</b>
<b>21. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი .....</b>	<b>108</b>
<b>22. ინფორმაცია კორესპონდენციის შესახებ.....</b>	<b>1089</b>

## 1. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2024-2026 წწ.

სახელმწიფო, შესაბამისად რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ხელმძღვანელობს „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიით“ და ამ სტრატეგიის შესაბამისი, წლების მიხედვით დამტკიცებული „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით“.

2024-2026 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში (მიზანი 9. - რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფა და სეკულარიზმის პრინციპების შემდგომი განმტკიცება), სააგენტო სისტემატურად ატარებდა ღონისძიებებს ტოლერანტობისა და არადისკრიმინაციული გარემოს მხარდასაჭერად, ამასთანავე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, სეკულარიზმის პრინციპების განსამტკიცებლად საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად.

### 1.1 ტრენინგები საჯარო მოხელეებისათვის

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის 9.1.1. პუნქტის (რელიგიისა და რწმენის თავისუფლების და მისი გარანტიების შესახებ ცნობიერების ამაღლების ტრენინგები საჯარო მოხელეებისათვის) შესაბამისად, 2025 წლის 17 სექტემბერს საჯარო მოხელეებისათვის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების და მისი გარანტიების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი“. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს სერტიფიკატი გადაეცათ.

2025 წლის 7 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის სააგენტოს თანამშრომლებმა რელიგიისა და რწმენის თავისუფლებისა და მისი გარანტიების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, აფხაზეთის ა/რ-ის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს საჯარო მოხელეებისათვის გამართეს ტრენინგი, თემაზე: „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი“. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს სერტიფიკატი გადაეცათ.

### 1.2 კვლევა „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში“

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის 9.1.5. პუნქტის (საზოგადოების ცნობიერების გაზრდის მიზნით კვლევა „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში“) შესაბამისად, 2025 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით გამოსცა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მიერ დაფინანსებული

2022 წლის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის (NFR-22-21090) ფარგლებში მომზადებული ნაშრომი – „რელიგიური ნიშნით რეპრესიები საბჭოთა საქართველოში (შსს არქივის მონაცემების მიხედვით)“, რომელიც თავისი არსით უნიკალურია. რეპრესიების საკითხი ზოგადად, სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილი სფეროა, თუმცა გარკვეული კვლევების სახით ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი. ამის გამო, საქართველოში სხვადასხვა რელიგიის რეპრესირებული ასეულობით სასულიერო პირის შესახებ ინფორმაციები დღემდე ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო, როგორც დაინტერესებული პირების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

პროექტი ითვალისწინებდა საბჭოთა საქართველოში (1921-1991 წლებში) „წითელი ტერორის“ და ათეისტური რელიგიური პოლიტიკის შედეგად, რელიგიური ნიშნით განხორციელებული რეპრესიების ფაქტების შესწავლას და რეპრესირებული სასულიერო პირების შესახებ ჩატარებული კვლევის გაშუქებას. პროექტის იდეას მხარი დაუჭირა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებულმა ინტერრელიგიურმა სათათბირომ, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისტორიული რელიგიებისა და სხვა მცირერიცხოვანი კონფესიების ჩათვლით.

### 1.3. საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისათვის დაბრუნების პროცესი

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის 9.1.6. პუნქტის (საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისათვის დაბრუნების პროცესის გაგრძელება), შესაბამისად საანგარიშო წლის პერიოდში მუსლიმ თემს დაუბრუნდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ჩამორთმეული 4 საკულტო ნაგებობა და მიწის ნაკვეთი.

## 2. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით

### 2.1. ყოველწლიური გამოცემა „ინტერრელიგიური კალენდარი“

2025 წელს ტრადიციულად გამოიცა ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი, რომელშიც ასახულია საქართველოში მოქმედი სხვადასხვა ძირითადი რელიგიური თემის (სულ 13) - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ებრაული, კათოლიკე, მუსლიმი, სომეხთა სამოციქულო, სულიერ ქრისტიანთა-მოლოკანი, ეზიდის, ევანგელურ-ლუთერული, ევანგელურ-პროტესტანტული, ბაპტისტური თემების, სახარების რწმენის ეკლესიისა და საქართველოში „ხსნის არმიის“ რელიგიური დღესასწაულები.

კალენდარი, 2014 წლიდან გამოიცემა და ვრცელდება არა მხოლოდ რელიგიურ თემებში, არამედ, ყველა საჯარო უწყებაში, საჩუქრად გადაეცემა საქართველოში აკრედიტირებულ სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებს, ქართული საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს.

### 3. შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად და შშმ პირთა უფლებების დაცვისა და ინკლუზიური ტოლერანტული გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით, რელიგიის სააგენტომ შეიმუშავა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა 2025 წლისთვის. დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერო-ს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ის პრიორიტეტული მიმართულებები და ღონისძიებები, რომელიც 2025 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. სამოქმედო გეგმის მიხედვით საანგარიშო წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

#### 3.1. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ყოველწლიური ინტერრელიგიური კალენდარი

უსინათლო და მხედველობადაქვეითებულ მოქალაქეთა მხარდასაჭერად, 2025 წელს ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა ინტერრელიგიური კალენდარი, რომელიც გადაეცა სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლას და საქართველოს უსინათლოთა კავშირს.

#### 3.2. ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი კანონიკური წიგნები

რელიგიის სააგენტო უსინათლოთა კავშირის წევრთა სურვილის გათვალისწინებით 2020 წლიდან, ბრაილის შრიფტით გამოსცემს ბიბლიის წიგნებს. 2025 წელს ბრაილის შრიფტით გამოიცა ბიბლიის მეექვსე კანონიკური წიგნი „იესო ნავეს ძე“ (ორ წიგნად), რომელიც გადაეცა სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლას და საქართველოს უსინათლოთა კავშირს.

### 4. სახელმწიფოს ურთიერთობა რელიგიურ ორგანიზაციებთან

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლები, ტრადიციულად, ესწრებიან საქართველოში

მოღვაწე ისტორიული რელიგიების უმთავრეს დღესასწაულებს, მათ შორის – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდეს დღესასწაულებს – აღდგომას, შობასა და სვეტიცხოვლობას; მუსლიმი თემის მთავარ დღესასწაულებს. პრემიერ-მინისტრი რამადანის მარხვასთან დაკავშირებით მუსლიმი სასულიერო პირებისათვის იფტარს მართავს; საქართველოს პრემიერ-მინისტრი ებრაელთა თემის ხანუქას დღესასწაულზე, სინაგოგაში, სიმბოლურად, პირველ სანთელს ანთებს. ასევე, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო რეგულარულად ხვდება სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებს და ესწრება უმთავრეს რელიგიურ დღესასწაულებსა და წლიურ ანგარიშებს, მართავს საქველმოქმედო აქციებს, კონფერენციებს, განიხილავს მათგან შემოსულ მიმართვებსა და განცხადებებს და ეხმარება საჭიროებების მიხედვით.

#### 4.1. პრემიერ-მინისტრის სახელით მუსლიმი თემისთვის გამართული იფტარი

2025 წლის 28 მარტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მუსლიმ თემს მთავრობის სახელით გამართულ ვახშამზე, იფტარზე უმასპინძლა, რომელსაც მუსლიმი თემის ლიდერებთან ერთად საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, ადგილობრივი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსისა და რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

6 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარესთან ერთად, თბილისის ჯუმა მეჩეთს ეწვია და მუსლიმ სასულიერო პირებს, მრევლსა და ისლამური ქვეყნების ელჩებს ყურბან-ბაირამი მიულოცა.

#### 4.2. საქართველოს მთავრობის მეტაური ხანუქაზე

2025 წლის 14 დეკემბერს, ქართველმა ებრაელებმა ხანუქა იზეიმეს. დღესასწაულის აღსანიშნავად, სტუმრები თბილისის მთავარ სინაგოგაში შეიკრიბნენ. ებრაელ ხალხს ხანუქას დღესასწაული მიულოცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც სიმბოლურად ანთო ხანუქას პირველი სანთელი და ქართველებისა და ებრაელების მეგობრობის 26 საუკუნოვანი ტრადიცია გაიხსენა. შეკრებილ საზოგადებას დღესასწაული მიულოცა რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ზაზა ვაშაყმაძემ.

### 5. ინტერრელიგიური სათათბირო

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან ფუნქციონირებს ინტერრელიგიური სათათბირო, რომელშიც საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება მონაწილეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ისტორიული რელიგიებისა და სხვა მცირერიცხოვანი კონფესიების ჩათვლით, კერძოდ:

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;

- სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია;
- საქართველოს ებრაელთა კავშირი;
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია;
- საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანება;
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია;
- საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭო;
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება;
- „ხსნის არმია საქართველოში“;
- საქართველოს მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია.

2025 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ და ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უცხოური გრანტების გაცემისა და მიღების ახალი წესები განიხილეს. სათათბიროს წევრებს ინფორმაცია მთავრობის ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, თიკო ხაჭვანმა მიაწოდა.

პრეზენტაციის შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. რელიგიური ორგანიზაციების ლიდერებმა სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს უცხოურ გრანტებთან დაკავშირებული სიახლეების თაობაზე.

## 6. რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფარგლებში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო არ არის საბჭოთა რეჟიმის სამართალმემკვიდრე და შესაბამისად, საბჭოთა ტოტალიტარული პერიოდის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ აქვს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების ფარგლებში, 4 (ოთხ) რელიგიურ მიმდინარეობას – ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიურ გაერთიანებებს სიმბოლურად და ნაწილობრივ უნაზღაურებს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებულ ზიანს, რომელიც ხმარდება რელიგიური თემების განვითარებას, გამთლიანებასა და ქვეყანაში მშვიდობიან თანაარსებობას (იხილეთ ცხრილი).

წელი	მუსლიმი თემი	რომაულ-კათოლიკური თემი	სომხური სამოციქულო თემი	იუდეური თემი	სულ
2014	1 100 000	200 000	300 000	150 000	1 750 000
2015	2 200 000	400 000	600 000	300 000	3 500 000
2016	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2017	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2018	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2019	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2020	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2021	2 750 000	550 000	800 000	400 000	4 500 000
2022	3 350 000	650 000	1 000 000	500 000	5 500 000
2023	3 350 000	650 000	1 000 000	500 000	5 500 000
2024	4 150 000	700 000	1 100 000	550 000	6 500 000
2025	4 150 000	700 000	1 100 000	550 000	6 500 000
სულ	34 800 000	6 600 000	9 900 000	4 950 000	56 250 000

*\*თანხები მოცემულია ლარში*

ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები იღებენ ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

## 7. რელიგიური გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია

### 7.1. სარეკომენდაციო კომისიის სხდომები

2025 წელს, გაიმართა რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის 4 (ოთხი) სხდომა. ჯამში, კომისიამ განიხილა 182 საკითხი, კერძოდ:

- მართლმადიდებელი ეკლესია: დაკმაყოფილდა – 140, ხარვეზი – 0, უარი – 15;
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო: დაკმაყოფილდა – 1, ხარვეზი – 6, უარი – 0;
- მუსლიმი თემი: დაკმაყოფილდა – 6, ხარვეზი – 0, უარი – 0;

- სომხური თემი: დაკმაყოფილდა – 0, ხარვეზი – 11, უარი – 0;
- სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია: დაკმაყოფილდა – 2, ხარვეზი – 0, უარი – 0.

**2025 წლის 14 მარტი - I სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	78	72		6
მუსლიმი თემი	5	5		

**2025 წლის 13 ივნისი - II სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	არ განეკუთვნებოდა სააგენტოს კომპეტენციას	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	28	21	1	6
რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
მუსლიმი თემი	1	1		
სომხური თემი	5		5	

**2025 წლის 18 სექტემბერი - III სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	26	24		2
სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო	1		1	

სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია	1	1		
სომხური თემი	1		1	

**2025 წლის 1 დეკემბერი - IV სხდომა**

რელიგიური თემი	შუამდგომლობა	დაკმაყოფილდა	ხარვეზი	უარი
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	24	23		1
სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო	6	1	5	
სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია	1	1		
სომხური თემი	5		5	

სულ 2025 წელს, რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის 4 (ოთხი) სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტოს მიერ დადებითი რეკომენდაცია გაიცა მოთხოვნილი 4 902 890. 12 ლარიდან 2 016 689. 58 ლარის გადაცემის თაობაზე.

**8. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე**

ტოლერანტობის საერთაშორისო დღე 1995 წლიდან, UNESCO-ს ინიციატივით აღინიშნება, რომლის მიზანი შეუწყნარებლობის, ექსტრემიზმისა და დისკრიმინაციის საფრთხეებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგების ატმოსფეროს დამკვიდრებაა.

ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაამკვიდრა ტრადიცია, რომლის თანახმადაც, საქართველოში არსებული ერთ-ერთი რელიგიური თემი სხვა რელიგიური ორგანიზაციის ლიდერებსა და მრევლს მასპინძლობს.

- 2016 წლის 16 ნოემბერს, რელიგიურ თემებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია მასპინძლობდა. მიღება საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენციაში გაიმართა;

- 2017 წლის 16 ნოემბერს, მასპინძელი საქართველოს ებრაელთა კავშირი იყო – მიღება დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში შედგა;
- 2018 წლის 16 ნოემბერს, რელიგიურ ორგანიზაციებს ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციამ უმასპინძლა;
- 2019 წლის 16 ნოემბერს ტოლერანტობის საერთაშორისო დღე სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოში აღინიშნა;
- 2020 წლის 16 ნოემბერს მასპინძელი იყო საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანება;
- 2021 წლის 16 ნოემბერს - საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- 2022 წლის 16 ნოემბერს - საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია;
- 2023 წლის 16 ნოემბერს - სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
- 2024 წლის 16 ნოემბერს - საქართველოს ეზიდთა სასულიერო საბჭო.

2025 წლის 16 ნოემბერს თბილისის შერიგების ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიაში ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების, სახალხო დამცველის ოფისისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ამავე წლის 13 ნოემბერს, ბათუმში, რელიგიის მუზეუმში ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა „რწმენათა დიალოგი“ გაიმართა, სადაც სხვადასხვა რელიგიების რარიტეტული მნიშვნელობის მქონე ხელნაწერი წიგნები, ღვთისმსახურების რიტუალისათვის საჭირო არტეფაქტები, რელიგიურ ნაგებობათა ამსახველი საარქივო ფოტომასალის ბეჭდური ვერსიები იყო წარმოდგენილი.

ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ყოველწლიური შეხვედრები, რელიგიური შემწყნარებლობის ქართული კულტურის გამოვლინებად, უძველესი ტრადიციის გაგრძელებად და კონფესიათა მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

## 9. პროექტი „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“

2025 წელს კვლავ გაგრძელდა სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, სახელწოდებით: „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“, რომელიც 2019 წლიდან სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან ერთად ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების ლიდერები და სასულიერო პირები სახელმწიფო ენას ეუფლებიან. მიმდინარე წელს პროექტში მონაწილეობდა საქართველოს მუსლიმი თემის, სომხური სამოციქულო და კათოლიკური ეკლესიის სულ 19 წარმომადგენელი.

4 მარტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, გაიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ერთობლივი ღონისძიება, რომლის ფარგლებში პროექტის - „სახელმწიფო ენა

სასულიერო პირებისათვის“ მეოთხე ეტაპის მონაწილე სასულიერო პირებს გადაეცა სახელმწიფო ენის შესწავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

2019 წლიდან 2025 წლის ჩათვლით ქართულ ენას სხვადასხვა დონეზე დაეუფლა ზემოთ აღნიშნულ რელიგიურ თემთა სულ 252 პირი, მათ შორის მუსლიმი თემის - 175, ლუთერული თემის - 26, სომხური სამოციქული ეკლესიის - 24 და კათოლიკური ეკლესიის - 27 წარმომადგენელი.

## 10. საერთაშორისო კონფერენციები

### 10.1. საერთაშორისო კონფერენცია ჩეხეთის რესპუბლიკაში

12-15 ნოემბერს პრაღაში, ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ეგიდით, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საერთაშორისო ალიანსის კონფერენცია გაიმართა თემაზე: „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც მდგრადობისა და რელიგიური ჩართულობის წყარო“. კონფერენციას ესწრებოდა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია სააგენტოს თავმჯდომარის, ზაზა ვაშაყმაძისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დავით დავითაშვილის შემადგენლობით.

13 ნოემბერს, კონფერენციის მონაწილეებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ მიმართა. გამოსვლა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დარღვევის ფაქტებს მიემდგნა. კერძოდ, ქართველი მართლმადიდებლებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, ღვთისმსახურების, გადაადგილების, საოკუპაციო ხაზის მიღმა მდებარე ტაძრებში რელიგიურ დღესასწაულებზე დასწრების უფლების აკრძალვას, რაც არის ეთნიკურ-რელიგიური დისკრიმინაცია და სეგრეგაცია მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლების და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურთა მიმართ. მან ასევე აღნიშნა, რომ ორივე რეგიონში ინგრევა და ნადგურდება ქართული მართლმადიდებლური ტაძრები, სისტემატურად მიმდინარეობს არალეგალური სარესტავრაციო სამუშაოები, მძვინვარებს ე.წ. შავი არქეოლოგია, იშლება ქართული კვალი, ყოველგვარი დასტური იმისა, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია.

რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ საკითხით რამდენიმე უცხოელი ჟურნალისტი დაინტერესდა. მსმენელები, ასევე, დაინტერესდნენ სააგენტოს პუბლიკაციით - „ოკუპირებული მემკვიდრეობა“, რომელიც აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში არსებული სალოცავების მდგომარეობას ასახავს.

14 ნოემბერს, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო ევრაზიის პანელში, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა. სააგენტოს თავმჯდომარემ აღნიშნულ პანელზე ისაუბრა რელიგიურ რეპრესიებზე საბჭოთა საქართველოში, რელიგიის თავისუფლებაზე თანამედროვე საქართველოში, ინტერრელიგიურ დიალოგზე და რელიგიის სააგენტოს საქმიანობაზე. გამოსვლის შემდეგ

გაიმართა ინტერაქტიური დიალოგი. სამინისტროს ფოიეში, რელიგიის სააგენტოს ბანერთან განთავსებულმა პუბლიკაციამ „ოკუპირებული მემკვიდრეობა“ მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატები და ჟურნალისტები ეცნობოდნენ ფოტომასალას, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას ასახავდა.

15 ნოემბერს, რელიგიის სააგენტომ პრადის კონფერენციის „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც მდგრადობისა და რელიგიური ჩართულობის წყარო“ ფარგლებში გამოცემის - „ოკუპირებული მემკვიდრეობა“ პრეზენტაცია გამართა. პუბლიკაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთის ა/რ-სა და ცხინვალის რეგიონში არსებული სალოცავების სავალალო მდგომარეობას ეხება.

რელიგიის სააგენტოს ბანერთან გამოფენილ წიგნებს გაეცნენ კონფერენციის მონაწილეები - სასულიერო პირები, სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატები და ჟურნალისტები.

## 10.2. ეროვნული არქივის X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა

2025 წლის 25 სექტემბერს გაიმართა საქართველოს ეროვნული არქივის X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე - „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“, რომელიც მეფე ვახტანგ VI-ის დაბადებიდან 350-ე წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციაზე რელიგიის სააგენტოს აჭარის რეგიონულმა წარმომადგენელმა წაიკითხა მოხსენება „სასულიერო პირთა რეპრესიები საბჭოთა პერიოდის საქართველოში (ცენტრალური და ადგილობრივი არქივების მონაცემების მიხედვით)“.

## 11. ინტერრელიგიური ჩემპიონატი ჭადრაკში

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით 2022 წლიდან თბილისში ყოველწლიურად ტარდება ინტერრელიგიური ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც ინტერრელიგიური სათათბიროს წევრი რელიგიური ორგანიზაციების სასულიერო პირები და მრევლი მონაწილეობს.

2025 წლის 5 ივნისს რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ჭადრაკში საქართველოს მეოთხე გუნდური ჩემპიონატი გაიმართა, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გუნდის გამარჯვებით დასრულდა. მეორე ადგილი დაიკავეს საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებმა, მესამე ადგილზე კი ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის გუნდი გავიდა.

## 12. საქველმოქმედო აქციები

რელიგიის სააგენტო საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების მხარდაჭერით სისტემატურად ატარებს საქველმოქმედო აქციებს სხვადასხვა რელიგიური

თემების საჭიროებების მოსაგვარებლად. 2025 წელს განხორციელდა შემდეგი საქველმოქმედო აქციები:

2025 წლის 7 მარტს, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩომ, მუსლიმთა სამმართველომ და რელიგიის სააგენტომ, რამადანის (მარხვის) თვის დაწყებასთან დაკავშირებით, თბილისის ჯუმა მეჩეთში, მუსლიმ მრევლს, როგორც სუნიტი და შიიტი თემის წარმომადგენლებს, ჰუმანიტარული დახმარება - 800 ყუთი სხვადასხვა სახის საკვები გადასცეს;

2025 წლის 14 მაისს, რელიგიის სააგენტომ, ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ და აფხაზეთის მთავრობამ ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს თბილისში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების დასახმარებლად, რომელთაც გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული დახმარება - 20 ფუთა ტანსაცმელი და 30 სასაჩუქრე ყუთი გადასცეს;

2025 წლის 15 მაისს, სააგენტოსა და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების წარმომადგენლები სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ და გარდაბნის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ოჯახებისთვის საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული დახმარება - 20 ფუთა ტანსაცმელი და 30 სასაჩუქრე ყუთი გადასცეს;

იმავე დღეს სააგენტოს წარმომადგენლებმა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ლომისის წმ. გიორგის სახელობის დედათა და ბავშვთა თავშესაფარს, „კიდევაც დაიზრდებიან“ სხვადასხვა საკვების 8 ყუთი და 17 ბავშვთა სასაჩუქრე ყუთი გადასცეს;

2025 წლის 16 მაისს, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ წმ. თამარ მეფის სახელობის სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეებს სააგენტოს წარმომადგენლებმა ჰუმანიტარული დახმარება - 50 ცალი სასაჩუქრე და 8 ცალი ტკბილეულის ყუთი გადასცეს;

2025 წლის 19 მაისს, რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლებმა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ორგანიზაციას, „ახალგაზრდული სახლი“, 7 შეკვრა სხვადასხვა სახის საკვები და 30 სასაჩუქრე ყუთი გადასცეს;

2025 წლის 13 ივნისს, რელიგიის სააგენტოს თანამშრომლებმა ჰუმანიტარული ტვირთი - 20 ცალი სასაჩუქრე ყუთი და 30 ფუთა ტანსაცმელი გადასცეს ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის სოფელ საირხის წმ. ნინოს სახელობის მართლმადიდებელი სკოლის წარმომადგენლებს;

იმავე დღეს სააგენტოს თანამშრომლებმა ჰუმანიტარული ტვირთი - 30 ცალი სასაჩუქრე ყუთი და 27 ფუთა ტანსაცმელი გადასცეს ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიას;

2025 წლის 23 ოქტომბერს, რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლებმა გორის რაიონის სოფელ საქაშეთში ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდენს ბოტეს“ ჰუმანიტარული დახმარება, 25 ფუთა ტანსაცმელი გადასცეს ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოსახლეობას;

2025 წლის 24 ნოემბერს, რელიგიის სააგენტო და ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს დაეხმარნენ. რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ზუგდიდში მცხოვრები ოჯახებისთვის აფხაზეთის მთავრობას ჰუმანიტარული ტვირთი - 40 ფუთა ტანსაცმელი გადასცა;

2025 წლის 3 დეკემბერს, რელიგიის სააგენტომ და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანებამ ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გამართეს. მათ ჰუმანიტარული ტვირთი - 36 ფუთა ტანსაცმელი გადასცეს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის სოფელ საირხეს წმ. ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის წარმომადგენლებს;

2025 წლის 18 დეკემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების წარმომადგენლები საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ წმ. თამარ მეფის სახელობის ხელოვნების სკოლას ეწვივნენ. გიმნაზიის მოსწავლეებს მათ ჰუმანიტარული დახმარება - 50 ცალი სასაჩუქრე ტკბილეულის ყუთი გადასცეს;

2025 წლის 22 დეკემბერს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და საქართველოს ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების გაერთიანების წარმომადგენლები საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ თბილისის ლომისის წმ. გიორგის სახელობის დედათა და ბავშვთა თავშესაფარს ეწვივნენ და საჩუქრად ტკბილეულის 20 სასაჩუქრე ყუთი გადასცეს.

### 13. რელიგიის სააგენტოს სხვადასხვა შეხვედრები

#### 13.1. შეხვედრა სსიპ ქ. თბილისის N202 (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან

2025 წლის 29 იანვარს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ უმასპინძლა საქართველოს უსინათლოთა კავშირისა და თბილისის 202-ე (უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა) საჯარო სკოლის წარმომადგენლებს და ტრადიციისამებრ სტუმრებს საჩუქრად გადასცა 100 ცალი 2025 წლის ინტერრელიგიური კალენდარი და ასევე 30 ცალი ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ბიბლიის მეექვსე კანონიკური წიგნი - „იესო ნავეს ძე“.

#### 13.2. შეხვედრა აზიზ ხუდაი ვაგფი ფონდის წარმომადგენლებთან

2025 წლის 7 თებერვალს, სააგენტოს თავმჯდომარე აზიზ ხუდაი ვაგფი ფონდის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა. სააგენტოს თავმჯდომარემ სტუმრებს გააცნო საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა, სააგენტოს საქმიანობა და განხორციელებული პროექტები. სტუმრები დაინტერესდნენ სააგენტოს საქმიანობით და მომავალი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

### 13.3. შეხვედრა „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის“ უფროს მეცნიერთან

2025 წლის 13 თებერვალს, სააგენტოს თავმჯდომარემ „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის“ უფროს მეცნიერს, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართულების ხელმძღვანელს, ორგანიზაცია „გიყვარდეს შენი მეზობელი თემის“ დამფუძნებელს, ვეიდ კუსაკსა და „საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების მრგვალი მაგიდის“ თანათავმჯდომარეს, გრეგ მიტჩელს უმასპინძლა. რელიგიის სააგენტოს და აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციას, „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტი“ - ორწლიანი თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ: 2023 წელს მათ ჩაატარეს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „რელიგია და კანონის უზენაესობა“, 2024 წელს კი - „რელიგიური განათლების როლი თანამედროვე გლობალური გამოწვევების დასაძლევად“.

### 13.4. შეხვედრა გაეროს მუდმივ წარმომადგენელთან

2025 წლის 25 თებერვალს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარესა და საქართველოში გაეროს მუდმივ წარმომადგენელ დიდიე ტლბიუკს შორის. შეხვედრაზე სააგენტოს თავმჯდომარემ სტუმარს გააცნო საქართველოს რელიგიური პოლიტიკა, საქართველოში არსებული რელიგიური ლანდშაფტი და რელიგიის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტები.

შეხვედრაზე სააგენტოს თავმჯდომარემ ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართველი მოსახლეობის რელიგიური უფლებების დარღვევისა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ისტორიული კვალის წაშლის ფაქტებზე.

გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა სააგენტოს თავმჯდომარეს მასპინძლობისთვის და გამოთქვა სააგენტოსთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი.

### 13.5. შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან

2025 წლის 17 მარტს, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, რამინ მამედოვს უმასპინძლა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს ორ სტრუქტურას შორის თანამშრომლობის ასპექტები, საქართველოში მუსლიმი თემისა და აზერბაიჯანში ქართველი მართლმადიდებელი მრევლის რელიგიური უფლებების დაცვის საკითხები და სამომავლო პერსპექტივები. სააგენტოს თავმჯდომარე დაინტერესდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, კახის რაიონში მცხოვრები ქართველი მართლმადიდებლების რელიგიური უფლებების დაცვის, ასევე ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში მცხოვრები ქართველი სუნიტი მუსლიმების მდგომარეობით და ხაზი გაუსვა ორ უწყებას შორის არსებულ კეთილმეზობლურ თანამშრომლობას, აზერბაიჯანელი კოლეგის მზადყოფნას, მაქსიმალურად იქნას დაცული ქართველი მართლმადიდებლების რელიგიური უფლებები და

იმედი გამოთქვა, რომ ორივე მხარისთვის სასარგებლო ურთიერთთანამშრომლობის ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება.

### 13.6. შეხვედრა სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლებთან

2025 წლის 23 აპრილს, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარე, სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელს, არაქს ფაშანიანს და აკადემიის წევრებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვდა. შეხვედრის მიზანი საქართველოს რელიგიური პოლიტიკის, ინტერრელიგიური დიალოგის და ისლამის მიმართულებით რელიგიის სააგენტოს საქმიანობის, გამოცდილებისა და პროექტების გაცნობა იყო.

### 13.7. შეხვედრა ანტიკორუფციული ბიუროს უფროსთან

2025 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა შეხვედრა რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარეს ზაზა ვაშაყმაძესა და საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს უფროსს რაჯდენ კუპრაშვილს შორის. შეხვედრის თემას რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა და გრანტების გაცემის პროცესების გამჭვირვალობა წარმოადგენდა.

### 13.8. შეხვედრა აზერბაიჯანის კოლეგა ორგანიზაციასთან

2025 წლის 11 დეკემბერს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, გაიმართა შეხვედრა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლებს შორის, რომელთაც განიხილეს რელიგიის სფეროში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებისა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ წამოჭრა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რეგისტრაციისა და ქართული ეკლესიების გადმოცემის საკითხი. იგი ასევე დაინტერესდა კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში მცხოვრები როგორც ქრისტიანი, ისე მუსლიმი ქართველების რელიგიური უფლებების დაცვის მდგომარეობით.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიურ გაერთიანებებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საჰობ ნაგიევმა მადლობა გადაუხადა ზაზა ვაშაყმაძეს გულთბილი მიღებისთვის და ბაქოში, საპასუხო ვიზიტით დაპატიჟა.

### 13.9. შეხვედრა ირანის საპარლამენტო დელეგაციასთან

2025 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე ირანის ისლამური რესპუბლიკის პარლამენტის წევრებს ჰუჯათულისლამ ისმაილ სიავოშს (ფერეიდნელი ქართველი-იოსელიანი) და აჰად ბიუთეს შეხვდა.

რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ირანელ სტუმრებს გააცნო რელიგიის სააგენტოს საქმიანობა, ძირითადი ფუნქციები და განხორციელებული პროექტები. მან ასევე ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში არსებულ ტოლერანტულ გარემოსა და რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების, საკულტო ნაგებობების გადაცემის საკითხებზე, მათ შორის, მუსლიმი თემისთვის. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიოში არსებული დაპირისპირებების ფონზე, საქართველოში სუნიტი და შიიტი მუსლიმები ერთ მეჩეთში ლოცულობენ. ზაზა ვაშაყმაძემ ისაუბრა ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების, მათ შორის, რელიგიური უფლებების უხეში დარღვევის ფაქტებზე.

ირანელმა პარლამენტარებმა, მადლობა გადაუხადეს რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარეს მასპინძლობისთვის, საინტერესო საუბრისთვის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაპატიჟეს.

## 14. ვიზიტები საზღვარგარეთ

### 14.1. ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში

2025 წლის 29 აპრილს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია, სააგენტოს თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დავით დავითაშვილისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის, ალექსანდრე შეყილაძის შემადგენლობით, სომხეთის რესპუბლიკას ეწვია. ქართული დელეგაციის წევრები სომხეთის ეთნიკურ უმცირესობათა ოფისში შეხვდნენ სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მრჩეველს რელიგიურ საკითხებში, არტაშეს თუმანიანს, სომხეთის მთავრობის ეთნიკურ უმცირესობათა და რელიგიურ საქმეთა განყოფილების უფროსს, ვარდან ასცატრიანსა და სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზღვრე ქვეყნების დეპარტამენტის უფროსს, დავით ჯანაზიანს. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, სამართლებრივი სტატუსის მინიჭებისა და რეგისტრაციის თაობაზე მოლაპარაკების დაწყების საკითხი. საქმიანი საუბრის ფორმატში, მხარეებმა დასახეს სამომავლო თანამშრომლობის კონკრეტული ნაბიჯები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში, გიორგი შარვაშიძე, ელჩის მრჩეველი გიორგი ფიფია და სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, აშოტ სმბატიანი.

2025 წლის 30 აპრილს, რელიგიის სააგენტოს დელეგაციამ სომხეთის რესპუბლიკაში, ისტორიულ ქართულ კუთხეში - ლორე-ტაშირში, ახტალას მონასტერი მოინახულა.

## 14.2. ვიზიტი აშშ-ში

2025 წლის 20-27 მაისს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დელეგაცია, სააგენტოს თავმჯდომარის ზაზა ვაშაყმაძის, სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დავით დავითაშვილისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის, ალექსანდრე შეყილაძის შემადგენლობით, სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი შეხვედრები გაიმართა, კერძოდ: 21 მაისს, პასტორ მარკ ბერნსთან, რომელსაც გააცნეს საქართველოს რელიგიური შემადგენლობა, სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა და ხაზი გაუსვეს საქართველო-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობას; „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის“ უფროს მეცნიერთან, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მიმართულების ხელმძღვანელთან, ორგანიზაცია „გიყვარდეს შენი მეზობელი თემის“ დამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორთან, ვეიდ კუსაკთან და „საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების მრგვალი მაგიდის“ დამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორთან, გრეგ მიტჩელთან; 22 მაისს, ვაშინგტონში ევრაზიული ებრაელობის მხარდამჭერი ნაციონალური კოალიციის (NSCE) აღმასრულებელ ვიცე-თავმჯდომარესა და გენერალურ დირექტორთან, მარკ ლევინთან, შეხვედრაზე სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა ქართულ-ებრაულ 26 საუკუნოვან მეგობრულ ურთიერთობაზე. მარკ ლევინმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ აშშ-ს კონგრესში იმართება მოსმენა „გლობალური ანტისემიტიზმის შესახებ“, სადაც საქართველოს რასაკვირველია, არ ახსენებენ ნეგატიურ კონტექსტში.; საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების საგანგებო დავალებათა ელჩის მოადგილესთან, მარიაჰ მერსერთან. შეხვედრის ერთ-ერთი თემა იყო ამერიკის საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების ოფისის მიერ გამოქვეყნებულ საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების ყოველწლიურ ანგარიშებში საქართველოს შესახებ ინფორმაციის ობიექტურად ასახვა და ამ კუთხით ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება. ზაზა ვაშაყმაძემ თავის მხრივ ხაზი გაუსვა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას და ურთიერთობების უფრო მაღალ დონეზე აყვანის საჭიროებას. ორგანიზაცია „ბ'ნაი ბ'რითის ინტერნაციონალის“ ცენტრალურ აღმასრულებელ დირექტორთან, დანიელ მარიაშინთან. შეხვედრაზე ისაუბრეს ქართულ-ებრაულ უნიკალურ ურთიერთობებზე, ებრაული თემის მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერასა და ებრაელთა საფლავების მოვლა-პატრონობაზე; 23 მაისს, აშშ-ის საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების კომისიის (USCIRF) თავმჯდომარესთან, სტივენ შნეკთან, კვლევისა და პოლიტიკის მიმართულების დირექტორთან, გილერმო კანტორთან და პოლიტიკის ანალიტიკოსთან, დილან შექსნიდრთან. შეხვედრაზე სააგენტოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს შესახებ ინფორმაციის ობიექტურად ასახვაზე აშშ-ს საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების ყოველწლიურ ანგარიშებში და ხაზი გაუსვა საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიულ პარტნიორობასა და ურთიერთობების მაღალ დონეზე აყვანის აუცილებლობას.

2025 წლის 23 მაისს, ვაშინგტონში, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების - „საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების სამდივნოს“ (IRF Secretariat) და „გიყვარდეს შენი მეზობელი თემის“ (LYNC) მიერ დაგეგმილი ფორუმის „თანამშრომლობითი ჩართულობა და მშენებლები“ („Cooperative Engagement & Builders“) გახსნაზე, რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარე, ზაზა ვაშაყმაძე, თეთრი სახლის რწმენის ოფისის მრჩეველს, ჰაულა უაით-კეინს შეხვდა. სააგენტოს თავმჯდომარემ თეთრი სახლის რწმენის ოფისის მრჩეველს მოკლედ გააცნო საქართველოს რელიგიური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები და რელიგიის სააგენტოს ფუნქციები. მან ხაზი გაუსვა საქართველოს მნიშვნელოვან როლს სამხრეთ კავკასიაში და გამოთქვა აშშ-თან თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი, მით უფრო იმ ფონზე, როცა საქართველოს დასავლური პოლიტიკა უცვლელია და მისი კურსი ევროკავშირია.

2025 წლის 27 მაისს, ვაშინგტონში, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების, „საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების სამდივნოსა“ (IRF Secretariat) და „გიყვარდეს შენი მეზობელი თემის“ (LYNC) ორგანიზებით, გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „თანამშრომლობითი ჩართულობა და მშენებლები“ („Cooperative Engagement & Builders“), რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ფორუმზე გამართული დისკუსიის ერთ-ერთი თემა იყო საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიაში, სადაც მონაწილეებს სიტყვით მიმართა რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ. მან მონაწილეობა მიიღო კონფერენციის პანელში „რეგიონული ინიციატივები რელიგიური თავისუფლების, თანასწორი მოქალაქეობის, სოციალური ერთიანობისა და კონვენციური პლურალიზმის განსავითარებლად“. რელიგიის სააგენტოს თავმჯდომარემ ისაუბრა საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის, სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობისა და სახელმწიფოს როლზე რელიგიებს შორის ტოლერანტული თანაცხოვრების განმტკიცებაში. ფორუმზე გამოსვლისას, მან აქცენტი გააკეთა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე.

იმავე დღეს რელიგიის სააგენტომ ორ ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან – „საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების სამდივნოსა“ (IRF Secretariat) და LYNC-თან „გიყვარდეს შენი მეზობელი თემი“ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა, რომელიც მიზნად ისახავს რელიგიის თავისუფლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, სამოქმედო გამოცდილების გაზიარებას და მშვიდობისა და თანაცხოვრების ხელშეწყობას.

## 15. შეხვედრები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

რელიგიის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მართავს გაცნობითი და სამუშაო ხასიათის შეხვედრებს და აცნობს მათ სააგენტოს საქმიანობას, განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებს. 2025 წელს სააგენტოს თავმჯდომარემ მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა, კერძოდ:

- საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, რობერტ გერშნერთან - 31.01.2025;
- საქართველოში სლოვაკეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, მატუშ ბუშოვსკისთან - 18.03.2025;

- საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ჟოუ ცინისთან - 4.06.2025;
- საქართველოში უნგრეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, პეტრა პონევაჩ-პანასთან - 24.09.2025;
- საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ვალიდ აბუ-ჰაიასთან - 21.10.2025;
- საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ოლივიე კურტოსთან - 6.11.2025.

## 16. მედიასთან ურთიერთობა

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს ღია და გამჭვირვალე ურთიერთობას მედიასთან.

სააგენტოს ვებგვერდზე ატვირთულია რელიგიის სააგენტოს ნებისმიერი პუბლიკაცია, ინტერრელიგიური კალენდარი და რელიგიური რუკები. ინფორმაცია სააგენტოს წარმომადგენელთა ნებისმიერი აქტივობის შესახებ, იქნება ეს შეხვედრები, ვიზიტები, კონფერენციები, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა იტვირთება სააგენტოს ვებგვერდზე, „ფეისბუკზე“, „ტვიტერზე“, შუქდება და ვრცელდება მედიასაშუალებებით, ასევე, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მეშვეობით.

2025 წელს, სააგენტოს ვებგვერდსა და „ფეისბუკზე“ გავრცელდა 253 ინფორმაცია თავისი ფოტომასალით; „ტვიტერით“ გავრცელდა 22 ინგლისურენოვანი ინფორმაცია; 245 ინფორმაცია საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მეშვეობით; სხვადასხვა ტელევიზიების საინფორმაციო პროგრამებში გაშუქდა რელიგიის სააგენტოს 24 ღონისძიება.

## 17. დანართი - ადმინისტრაციული ანგარიში

**დანართი - სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხარჯების შესახებ ინფორმაცია**

2025 წელს ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გაფორმებულია 40 (ორმოცი) ხელშეკრულება, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერით 5 (ხუთი) ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით 5 (ხუთი) ხელშეკრულება, ხოლო გამარტივებული შესყიდვით 30 (ოცდაათი) ხელშეკრულება.

ყოველთვიურად ელექტრონულად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილია ელექტრონული დეკლარაციები.

ყოველ კვარტალურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ელექტრონულად (<https://www.ebudget.ge/>) წარდგენილია ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონულად ატვირთულია გეგმა (EPLAN), ყველა ხელშეკრულება და ყველა ხელშეკრულების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც CMR-ზე, ასევე SPA-ზე.

განხორციელდა 5 (ხუთი) ელექტრონული ტენდერი. ატვირთულია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ტექნიკური დოკუმენტაცია, შესაბამისი ოქმები. ხელშეკრულებები, შესრულებები და გადახდები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში დარეგისტრირებულია 40 (ორმოცი) ადმინისტრაციული ხელშეკრულება (ორგანიზაციული კოდი 5001) და 4 (ოთხი) სხვადასხვა რელიგიურ წარმომადგენლობებთან (ორგანიზაციული კოდი 5002) გაფორმებული ხელშეკრულებები (სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო, სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი, სსიპ სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია და სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია).

## 18. ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	დამტკიცებული გეგმა 2025 წელი	საკასო შესრულება	შესრულების პროცენტული მაჩვენებელი საკასო შერულების დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში
50 00	სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო			
00	ჯამური	7,600,000.00	7,559,016.00	99.46%
2	ხარჯები	7,593,000.00	7,553,526.00	99.48%
2.1	შრომის ანაზღაურება	863,000.00	844,712.00	97.88%
2.2	საქონელი და მომსახურება	226,700.00	205,895.00	90.82%
2.5	სუბსიდიები	6,500,000.00	6,500,000.00	100.00%
2.8	სხვა ხარჯები	3 300	2,919.00	88.45%

31	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,000.00	5,490.00	78.43%
<b>50 01</b>	<b>სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო-ადმინისტრაცია</b>			
00	ჯამური	1,100,000.00	1,059,016.00	96.27%
2	ხარჯები	1,093,000.00	1,053,526.00	96.39%
2.1	შრომის ანაზღაურება	863,000.00	844,712.00	97.88%
2.2	საქონელი და მომსახურება	226,700.00	205,895.00	90.82%
2.8	სხვა ხარჯები	3 300	2,919.00	88.45%
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,000.00	5,490.00	78.43%
<b>50 02</b>	<b>რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება</b>			
00	ჯამური	6,500,000.00	6,500,000.00	100.00%
2	ხარჯები	6,500,000.00	6,500,000.00	100.00%
2.5	სუბსიდიები	6,500,000.00	6,500,000.00	100.00%

## 19. ინფორმაცია მივლინების შესახებ

მივლინება	ხარჯი (ლარი)
მივლინება ქვეყნის შიგნით	2 880
მივლინება ქვეყნის გარეთ	46 840
<b>სულ მივლინების ხარჯი</b>	<b>49 720</b>

20. რელიგიური გაერთიანებების (კონფესიების) დაფინანსება

დასახელება	<i>2025 წ. ბიუჯეტი</i>
სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო	4,150,000
სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია	700,000
სსიპ სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია	1,100,000
სსიპ საქართველოს ებრაელთა კავშირი	550,000
სულ	<b>6,500,000</b>

21. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი

საგრანტო ხელშეკრულების ნომერი	FR-23-13674
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	18.12.2023
ხარჯვის კატეგორიები	2025 წლის საკასო ხარჯი
- ჯამი	<b>56 587</b>
01 - ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება	<b>36 105</b>
02 - დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება	<b>4,992</b>
03 - მივლინება	<b>14 940</b>
04 - საქონელი და მომსახურება	<b>550</b>

საგრანტო ხელშეკრულების ნომერი	FR-22-21090
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	10.03.2023
ხარჯვის კატეგორიები	2025 წლის საკასო ხარჯი

- ჯამი	25 735
01 - ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება	9 990
02 - დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება	1 245
04 - საქონელი და მომსახურება	14 500

## 22. ინფორმაცია კორესპონდენციის შესახებ

კორესპონდენცია	რაოდენობა
შემოსული წერილები	432
გასული წერილები	114
სამართლებრივი აქტები	276
შიდა დოკუმენტები	289